საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№45 (469)
12 - 18 დეკემბერი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## რატომ ვერ ეღირსა საქართველოს პრეზიდენტის «მამობრივი» ტიპი 21

## «ისინი არიან მოსამართლის მანტიით შემოსილი გამყიდველები ქვეყნისა» 2




„სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაძლოა, ელიტურ კორუფციას უკავშირდებოდეს... ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი, ეჭვი გვქონდეს კორუფციაზე ხელისუფლების მაღალ ეშელონებში“

## უცხოელების სადარაჯოზე 3 ქართველების დისკრიმინაციის ხარჯზე

## რა არის «ინვესტი» და რას მოუტანს ის საქართველოს მოსახლეობას 10




## საქართველო — დასავლეთის კოლონია თუ სამკაული რუსეთის იმპერიისა? 6



## «ილიას გაკვეთილებიდან» «ღიმილიან საქართველომდე»



„ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს“ 18

მამა გიორგი (რაზმაძე):

## უკვე მერამდენედ ვიხილეთ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, დაწყევლილი ქალაქის მერით, დამთავრებული პრემიერითა და მინისტრებით, ხანუქას დღესასწაულზე 4



## ბუნტი თავისუფლების წინააღმდეგ: რატომ სურთ კიევში, ემსახურონ კონსტანტინოპოლს 15



„უკრაინის ერთიანი მართლ-მადიდებელი ეკლესია“ კონსტან-ტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთი „პროვინცია“ იქნება



გოგი თოიძე: 16

## დავხატავდი ისევ ჩემს ძველ თბილისს



პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმ ექვს მოსამართლეს, რომლებმაც მორატორიუმი მოხსნეს, ადრე თუ გვიან სრული სიმკაცრით მოუწევს პასუხისგება მომავალი თაობების წინაშე. სხვათა შორის, ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებმაც მცირე ხნის წინათ მხარი დაუჭირეს მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციას და ამით, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ჩვენს ახალგაზრდობას. კიდევ ვიმეორებ: ძალიან მწარედ დაიმახსოვრებს ისტორია მათ სახელებს და, ადრე თუ გვიან, პასუხისგება მოუწევთ“.**

# სასამართლოს 9-კაციანმა პლენუმმა ქართული მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა 9 დღით შესაძლებელი გახადა

**7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უკვე მესამედ, უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე დაწესებული მორატორიუმი ძალადაკარგულად ცნო. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლეებისგან შემდგარმა ცხრაკაციანმა პლენუმმა, რომლის შემადგენლობაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძეც შედის, ექვსი ხმით სამის წინააღმდეგ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოაცხადა (აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიზეზი, მსგავსად წინა ორი შემთხვევისა, ამჯერადაც უცხო ქვეყნის, კერძოდ, საბერძნეთის მოქალაქეების სარჩელი გახდა).**

გამომდინარე იქიდან, რომ პლენუმს ანალოგიური გადაწყვეტილება 2012 და 2014 წლებში უკვე მიღებული აქვს, მოსამართლეებმა ჩათვალეს, რომ საკმარისი პრაქტიკა აქვთ გადაწყვეტილების პირდაპირ მისაღებად (თანაც, როგორც ჩანს, კონსტიტუციურ ცაიტნოტში მყოფმა სასამართლომ განხილვებში დროის კარგვა საჭიროდ არ მიიჩნია, რადგან 16 დეკემბერს ძალაში შედის ახალი კონსტიტუცია, რომელიც გაუქმებულ მორატორიუმს ისევ აამოქმედებს). მოკლედ, მორატორიუმის გაუქმებიდან ახალი კონსტიტუციის ამოქმედებამდე საჯარო რეესტრთან უცხო ქვეყნის მოქალაქეების რიგი დადგა (ოფიციალური ინფორმაციით, დროის ამ მცირე მონაკვეთში 2500 განცხადება დარეგისტრირდა და ეს რიცხვი იზრდება). თუმცა ცხრაკაციანი პლენუმის ამ ცხრადღიან გადაწყვეტილებას საზოგადოების პროტესტიც უმალ მოჰყვა — 10 დეკემბერს იუსტიციის სახლთან დაიწყო პერმანენტული აქციები, რომლებიც, ორგანიზატორების განმარტებით, 16 დეკემბრამდე, ანუ ახალი კონსტიტუციის ამოქმედებამდე გაგრძელდება...

**თუ რას ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაზე დაწესებული მორატორიუმის მოხსნა და რეალურად რა ოდენობის მიწა შეიძლება გასხვისდეს ცხრა დღეში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება 10 დეკემბერს იუსტიციის სახლთან დაწყებული აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ ცხრა დღე იქნება ძალაში. მოდი, კიდევ ერთხელ ავუხსნათ საზოგადოებას, რა შეიძლება მოხდეს ამ ცხრა დღეში და ვის სჭირდება ეს ყველაფერი?**

— ეს ცხრა დღე, ხელ-ფეხს უხსნის იმ 2500 უცხოელს, რომლებსაც უკვე შეტანილი აქვთ განცხადება სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენაზე. მათთვის ეს ცხრა დღე, ფაქტობრივად, ღია შლაგბაუმია, „სამართლებრივი პროცედურების“ დაცვით დაიკანონონ ქართული მიწა და ეს არ იქნება ერთი ან ორი შემთხვევა, აქ საუბარია მასობრივ დაკანონებაზე.

რაც შეეხება სასამართლოს ქმედებას, **7 დეკემბრის გადაწყვეტილება არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადადგა ასეთი მოღალატეობრივი ნაბიჯი. მოგეხსენებათ, მათ აქამდე ორჯერ გააუქმეს ანალოგიური მორატორიუმი და შედეგად ასობით ჰექტარი მიწა იყიდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა.** თუმცა ვფიქრობ, დღევანდელი შემთხვევა განსაკუთრებით საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ახალი კონსტიტუციის ამოქმედებამდე ცხრა დღით ადრე, ანუ, ფაქტობრივად, სასწრაფო წესით მოხსნეს ეს მორატორიუმი და ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: **ვის სჭირდებოდა ეს, რომ სასამართლომ, ყოველგვარი განხილვისა და მსჯელობის გარეშე, ასე ერთი ხელისმოსმით დააკმაყოფილა უცხო ქვეყნის მოქალაქის სარჩელი?**

**— თქვენი აზრით, ვის სჭირდება?**

— ვინც გასუსულია და ხმას არ იღებს იმ აქციების ფონზე, რომლებიც, უკვე რამდენიმე დღეა, იუსტიციის სახლთან მიმდინარეობს. სხვათა შორის, ჩვენ 10 დეკემბერს მთელი დღე ვავრცელებდით განცხადებებს და ვთავაზობდით მოლაპარაკებას ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, რომ გამოსულიყვნენ სამართლებრივი ჩიხიდან, მაგრამ არც ერთმა ინსტიტუციამ — პარლამენტმა, მთავრობამ და მის შემადგენლობაში შემავალმა იუსტიციის მინისტრმა — არ გააკეთა საპასუხო განცხადება. ხომ შეიძლებოდა, ერთი შემხვედრი განცხადება ყოფილიყო, მაგრამ არა. ამიტომ დავიწყეთ პერმანენტული აქცია. თუმცა ეს აქცია არ არის ყველაფერი. იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე ხელისუფლების მხრიდან არ ამოქმედდება შესაბამისი ბერკეტები, ჩვენ ვაანონსებთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას.

**— დაუმორჩილებლობას რა ფორმით?**

— უწინარესად, შევქმნით საგაფიცვო კომიტეტებს და ამ პროცესში ჩაერთვება სრულიად საქართველო. კიდევ ვიმეორებ, ხელისუფლების კრიტიკა და ქუჩაში დგომა ან მმართველი გუნდის ლანძღვა არ არის არავის თვითმიზანი, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში, ალბათ, სწორედ ეს დაუმორჩილებლობა იქნება ერთადერთი გამოსავალი, რომ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და შემდეგ ჩვენი მიწების ნაციონალიზაცია მოხდეს.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტსაც, **რომ მორატორიუმის მოხსნა არაა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების შიდა სამზარეულოში მიღებული გადაწყვეტილება. როგორც ჩანს (და ამაში დარწმუნებული ვარ), ეს არის ევროკავშირის ერთ-ერთი მკაცრი და კატეგორიული მოთხოვნა, ამიტომააცაა, ფაქტობრივად, დამალული და გასაიდუმლოებული ასოცირების ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც ეკონომიკურ შეთანხმებას ეხება. თუმცა ხელისუფლებაშიც ბევრია დღეს ისეთი ადამიანი, რომელსაც დიდი ძალდატანება არ სჭირდება მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად.**


დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ისინი არიან მოსამართლის მანტიით შემოსილი გამყიდველები ქვეყნისა

**— სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაძლოა, ელიტურ კორუფციას უკავშირდებოდეს...**

— ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც მთელ ამ პროცესებში იკვეთება, ანუ ჩვენთვის ცნობილი შეიქნა, რომ **იმ 2500 ე.წ. ინვესტორს შორის, რომლებმაც განაცხადი შეიტანეს მიწის შესყიდვაზე, არიან ისეთებიც, რომლებსაც სახელმწიფო ფონდში არსებული მიწის ნაკვეთების შეძენა სურთ. აქ საუბარია დიდ ნაკვეთებზე, დაახლოებით 200-300-ჰექტარ ფართობებზე, სადაც ან გარკვეული ტიპის ურბანული დასახლებები უნდა გაჩნდეს, ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა დაიწყოს. აი, ეს არის რეალობა, რომელსაც თვით ხელისუფლებაც ვერ უარყოფს და ბუნებრივია, როცა ერთ მხარეს არის, სიტყვაზე, არაბი შეიხი კოლოსალური თანხით და მეორე მხარეს — სრულიად საქართველო, რომელიც ეწინააღმდეგება მისთვის მიწის მიყიდვას, ცხადია, შეკითხვას აჩენს ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს იმ ერთი უცხოელის ინტერესის გათვალისწინებით.** ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი, ეჭვი გვქონდეს კორუფციაზე ხელისუფლების მაღალ ეშელონებში, ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, დაინტერესდეს ამ საკითხით და, პირველ რიგში, დაინტერესდეს იმ მოსამართლეების ვინაობით, რომლებმაც ასე ხელაღებით მიიღეს მორატორიუმის გაუქმების გადაწყვეტილება. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა ის ფაქტიც, რომ **დღემდე არსად არის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომელი მოსამართლეები იყვნენ მორატორიუმის გაუქმების წინააღმდეგნი და რომელი მომხრე. ვიცით მხოლოდ ის, რომ გადაწყვეტილება ექვსი ხმით იქნა მიღებული სამის წინააღმდეგ. არადა, საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს, ვინ იყო მომხრე ამ გადაწყვეტილების და ვინ — არა.**

**— როგორ ფიქრობთ, იუსტიციის სახლთან მიმდინარე აქციების ფონზე უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის პროცესი მაინც მიდის თუ აქციების შედეგად ეს პროცესი შეჩერებულია?**

— ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში ვერ გამოვრიცხავ, რომ აქციების პარალელურად მიდიოდეს მიწების გასხვისება. აი, ამიტომ ვცდილობთ, შევაჩეროთ ეს პროცესი და 10 დეკემბერს გამართულ აქციაზე ზუსტად ამ მიზნით საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის პარალიზება მოვახდინეთ დღის სამ საათამდე, თუმცა ამის შემდეგ პოლიციის კორდონები გამოიყენა ხელისუფლებამ და ასე აღადგინა სამუშაო პროცესი. მაქვს ინფორმაცია, რომ სამართალდამცველებს ნაბრძანები აქვთ, ყველაზე მკაცრი მეთოდებით გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს. მათ აქვთ მითითება, რომ ყველაფერს მიეცეს სამართალდარღვევის კვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში მოქალაქის მხრიდან განხორციელებული დაკავების საპირწონე რამე ქმედება. არადა, ეს არის პოლიტიკური აქტი და როცა პოლიტიკური აქტი ხორციელდება, არავის აქვს უფლება, მხედველობაში არ მიიღოს ორგანიზატორების დამოკიდებულება საკითხის მიმართ.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც გულგრილად უყურებენ ამ პროცესებს და ფიქრობენ, რომ ახალი კონსტიტუციის ამოქმედებამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში ვინ რა მიწის ყიდვა უნდა მოასწროსო, გადავხედოთ სტატისტიკას. 2010-დან 2014-ის ჩათვლით საქართველოში 11 ათასმა უცხოელმა მოიპოვა საკუთრების უფლება მიწაზე. აქ საუბარია ასობით და ათასობით ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ისევ დაუმუშავებელი და დაკონსერვებულია. ახლა **წარმოიდგინეთ, რა გეომეტრიული პროგრესიით ახორციელებს ამ პროცესს ჩვენი იუსტიციის სამინისტრო, რომ უცხო ქვეყნის 11 ათასმა მოქალაქემ 4 წელიწადში მოახერხა ნაკვეთების დარეგისტრირება. გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გამართული სისტემა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, უშეცდომოდ მუშაობს.**

აქვე უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ამ დღეებში, ფაქტობრივად, არც ერთმა ძირითადმა მედიასაშუალებამ, ტელევიზიებს ვგულისხმობ, სათანადოდ არ გააშუქა მიმდინარე აქციები. ზოგიერთმა ტელევიზიამ საერთოდ თვალი დახუჭა, თითქოს არაფერი ხდება. ეს იგნორირების პოლიტიკა არის იმ მიდგომის ნაწილი, რომ ნებისმიერი მოვლენა, რომელიც იქნება ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის გამოვლინება, უნდა იყოს მიჩქმალული. რატომ? — იმიტომ, რომ საკუთარი მიწის დაცვა და მისი უცხოელებისთვის მიყიდვის გაპროტესტება უკვე „შოვინიზმია“. აი, ეს არის თანამედროვე „ლიბერალური“ გაგება, რაც მიმაჩნია, რომ სამარცხვინოა და ამ იდეოლოგიის დრო უკვე წავიდა.

რაც შეეხება **იმ ექვს მოსამართლეს, რომლებმაც მორატორიუმი მოხსნეს, მათ უნდა იცოდნენ ერთი რამ: ადრე თუ გვიან სრული სიმკაცრით მოუწევთ პასუხისგება მომავალი თაობების წინაშე. სხვათა შორის, ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებმაც მცირე ხნის წინათ მხარი დაუჭირეს მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციას და ამით, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ჩვენს ახალგაზრდობას. კიდევ ვიმეორებ: ძალიან მწარედ დაიმახსოვრებს ისტორია მათ სახელებს და ადრე თუ გვიან პასუხისგება მოუწევთ.** ისინი არიან მოსამართლის მანტიით შემოსილი გამყიდველები ქვეყნისა; ისინი არიან მტრები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, საქართველოსი...

**«7 დეკემბრის გადაწყვეტილება არ არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადადგა ასეთი მოღალატეობრივი ნაბიჯი. მოგეხსენებათ, მათ აქამდე ორჯერ გააუქმეს ანალოგიური მორატორიუმი და შედეგად ასობით ჰექტარი მიწა იყიდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**არასამთავრობოები ერთ ხმაში გაჰყვირიან: საკონსტიტუციო სასამართლოს არავინ შეეხოს, ეს ქვეყნის უზენაესი ორგანოაო. ეს არასამთავრობოები უცხოელი დონორების მითითებით რომ მოქმედებენ, ფაქტია, რადგან სწორედ უცხოელ დონორებს აძლევთ ხელს ქართული მიწის გაყიდვა, იმიტომ, რომ წლების შემდეგ საქართველო ნაჭერ-ნაჭერ მთლიანად უცხოელების საკუთრება აღმოჩნდეს. საქართველოს ხელისუფლება კი გაიძახის: ხალხის მხარეს ვარ, ვაკეთებ, რაც შემიძლიაო...**

ქართული ინტერესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკონსტიტუციო სასამართლო, წესითა და რიგით, ნებისმიერ ქვეყანაში ქვეყნის სადარაჯოზე უნდა იდგეს და ერის ინტერესი დაიცვას. საკონსტიტუციო სასამართლო არის პრაქტიკულად ერთადერთი ორგანო, სადაც შეგიძლია ედავო და კანონიერად აჯობო სახელმწიფო მანქანას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის იმედია, სამართლის ბასტიონი, რომელსაც ვერაფერი ანგრევს, მაგრამ არა საქართველოში.**

# უცხოელების სადარაჯოზე ქართველების დისკრიმინაციის ხარჯზე



ჯერ იყო და, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით დაკანონდა მარიხუანის ლეგალიზაცია, ახლა კი ბრძოლით, აქციებითა თუ პროტესტით მოპოვებული მიწის უცხოელებზე გაყიდვის რეფორმის შეჩერება ერსა და ბერს თავზე გადაახიეს. დიახ, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცხოელებზე მიწის გაყიდვის აკრძალვა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და ისევ ამოქმედდა. მართალია, ექსპერტები ამბობენ, რომ, როგორც კი პრეზიდენტი ფიცს დადებს და ახალი კონსტიტუცია შევა ძალაში, აკრძალვა ისევ ამოქმედდება, მაგრამ...

ახალი კონსტიტუცია კი ამოქმედდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მუხლი არაკონსტიტუციურად ცნო და ვინ არის იმის გარანტი, რომ იგივე ორგანიზაცია ისევ არ შეიტანს სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში და ამ ახალ კონსტიტუციაში დიდი ასოებითა და სასოებით ჩაწერილ ნორმას ისევ თავზე არ გადაგვახევენ? — არავინ. და რაც მთავარია, **არასამთავრობოები ერთ ხმაში გაჰყვირიან, საკონსტიტუციო სასამართლოს არავინ შეეხოს, ეს ქვეყნის უზენაესი ორგანოაო. და არასამთავრობოები უცხოელი დონორების მითითებით რომ მოქმედებენ, ფაქტია, რადგან სწორედ უცხოელ დონორებს აძლევთ ხელს ქართული მიწების გაყიდვა, იმიტომ, რომ წლების შემდეგ საქართველო ნაჭერ-ნაჭერ მთლიანად უცხოელებს ჰქონდეთ ნაყიდი. საქართველოს ხელისუფლება კი გაიძახის: ხალხის მხარეს ვარ, ვაკეთებ, რაც შემიძლიაო...**

ის, რომ უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა არ შეიძლება, არ ნიშნავს, რომ მათ მიწებს არ აძლევენ. როგორ?! ძალიან მარტივად, ბატონებო: **უცხოელები მრავალწლიანი იჯარით იღებენ მიწებს, რომლებზეც ქართველებს მონებივით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ამუშავებენ, ქართულ მიწაზე მოწეული ნატურალური პროდუქცია საკუთარ ქვეყანაში მიაქვთ, თავიანთი ქვეყნებიდან კი გენმოდიფიცირებული პროდუქტი შემოაქვთ და და ჩვენზე ასაღებენ. აკი პირდაპირ თქვა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია „ჰი-პის" წარმომადგენელმა: საქართველოში მოწეული ვაშლი, რომლითაც ბავშვებისთვის ხილფაფებს ვაკეთებთ, მსოფლიოში უნიკალურია, პრაქტიკულად ანალოგი არ აქვს და ამიტომ უცხოურ ბაზარზე გაგვაქვსო.**

აი, საქართველოში კი უცხოეთში დამზადებული ხილფაფები შემოდის და მიზეზად, იცით, რას ასახელებენ? თურმე აქაური ნატურალური პროდუქტისგან დამზადებული ხილფაფების ყიდვის შესაძლებლობა არ აქვს ერს, რადგან ნატურალური საკვები ძვირია, ხელოვნური დანამატებით გამდიდრებული — იაფი და სწორედ ამ იაფი პროდუქციით ვწამლავთ მომავალ თაობას.

კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: ქვემო ქართლში, რუსთავის შემოგარენში, სულ რაღაც ერთი თვის წინათ ჩინურმა კომპანიამ ათწლიანი იჯარით უნიკალური ქვის კარიერის დამუშავების უფლება მიიღო. კარიერი რამდენიმე ჰექტარზეა გადაჭიმული, მაგრამ ათი წელი მის დამუშავებას ნამდვილად არ სჭირდება. მაშ, სად არის ძაღლის თავი დამარხული?!

**„კონტრაქტში პირდაპირ წერია, რომ კომპანია მკაცრად შემოსაზღვრულ ტერიტორიას არ უნდა გასცდეს, ანუ არ უნდა გააგრძელოს თხრა იმ კონკრეტულ ჰექტრებზე მეტ ადგილზე, მაგრამ კონტრაქტში არსად არის მითითებული, რა სიღრმეზე შეიძლება თხრა. ანუ, ჩინელებს შეუძლიათ კარიერის კილომეტრიან სიღრმეში წავიდნენ ან უფრო მეტზე და ამაზე პასუხს არ აგებენ. რაც მთავარია, იმავე კონტრაქტში მითითებულია, რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ ამოთხრილი ტერიტორია კომპანიამ უნდა ამოავსოს, თუმცა არ არის მითითებული, რით არ უნდა ამოავსოს. მათ შეუძლიათ იქ ნებისმიერი რამ ჩაყარონ და მე გეტყვით, რა იქნება ეს ნებისმიერი რამ. ისინი ჩინეთიდან ქიმიურ ნარჩენებს შემოიტანენ, რომლის ქვეყნიდან გატანისთვის ჩინეთის ხელისუფლება ცალკე თანხას გადაუხდის. რა გამოდის?! ამათ ჩინეთში გააქვთ უნიკალური ქვა, რომელშიც დიდ ფულს აკეთებენ, და შემოაქვთ ქიმიური ნარჩენი, რაშიც ასევე დიდ ფულს აკეთებენ. ერთადერთი დაზარალებული მხარე ამ შემთხვევაში ქართული სახელმწიფოა. აღარაფერს ვამბობ იმ შედეგებზე, რომლებიც სამომავლოდ ადამიანების ჯანმრთელობას აუცილებლად შეუქმნის საფრთხეს. სახელმწიფო უარს ვერ ეტყვის ნარჩენების შემოტანაზე, იმიტომ, რომ ხელშეკრულების დარღვევა გამოვა და ასეთ დროს ან ფულს გადაიხდის ხელისუფლება, ან იმ კარიერის ადგილზე დაგვრჩება, სულ ცოტა, ერთი კილომეტრი სიღრმისა და რამდენიმე ჰექტრის სიგანის ღრმული, რომელიც ასევე საფრთხის შემცველია",** — გვითხრა პიროვნებამ, რომელსაც აღნიშნული კარიერის იჯარით აღება თვითონ სურდა, სამწლიან იჯარას ითხოვდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სამ წელზე მეტს ვერ იმუშავებდა იმის გამო, რომ რელიეფი ამის შესაძლებლობას არ მისცემდა და გაჩენილი უფსკრულის ამოსავსებ მასალასაც ვერ მოიძევდა, მაგრამ ჩინურმა კომპანიამ აჯობა.

**არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ, რასაც ისინი საკუთარ ქვეყანაში არ აკეთებენ, ჩვენ რატომ გვაძალებენ? ან ჩვენ რატომ ვაძლევთ ამის უფლებას? რასაც თვლიან, რომ მათთვის და მათი ქვეყნის მომავლისთვის ცუდია, რატომ გვაიძულებენ (სწორედ რომ გვაიძულებენ), ჩვენ გავაკეთოთ?! ამაზე არავინ ფიქრობს ან ფიქრობს, მაგრამ დღეს აღებული ფული ურჩევნიათ ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაზე ფიქრს**

ანალოგიური ამბებია სხვა რეგიონებშიც. უცხოელები ვერ ყიდულობენ მიწებს, მაგრამ იღებენ გრძელვადიანი იჯარით და, თუ საქმე კარიერს ეხება, იქაურობას ისე ანადგურებენ, საუკუნეები დასჭირდება აღდგენას, ხოლო თუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია, მაშინ იქ ქართველები ჰყავთ მონებად, მიწას ბოლომდე იყენებენ, ფიტავენ, მოწეულ მოსავალს ასი პროცენტით საკუთარ ქვეყანაში გზავნიან და ჩვენ და ჩვენს მომავალს დასაღუპავად იმეტებენ. ახლა მოგვედავებიან არასამთავრობოები, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაიწყებენ საუბარს. კი მაგრამ, ქართველები ადამიანები არ ვართ? უცხოელის უფლება ჩვენი დისკრიმინაციის ხარჯზე რატომ უნდა დავიცვათ? გადახედეთ სხვა ქვეყნებს, ბატონებო, **არსად, ევროპის არც ერთ წამყვან ქვეყანაში არ არის შესაძლებელი იოლად მიწის ყიდვა. კარიერის აღება და მისი განადგურება ხომ საერთოდ ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ, რასაც ისინი საკუთარ ქვეყანაში არ აკეთებენ, ჩვენ რატომ გვაძალებენ ან ჩვენ რატომ ვაძლევთ ამის უფლებას? რასაც თვლიან, რომ მათთვის და მათი ქვეყნის მომავლისთვის ცუდია, რატომ გვაიძულებენ (სწორედ რომ გვაიძულებენ), ჩვენ გავაკეთოთ?! ამაზე არავინ ფიქრობს ან ფიქრობს, მაგრამ დღეს აღებული ფული ურჩევნიათ ქვეყნის გრძელვადიან განვითარებაზე ფიქრს.**

იქნებ დროა, ხელისუფლებამ გადახედოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და იმაზე იფიქროს, რომ ეს გადაწყვეტილებები ცნოს არაკონსტიტუციურად?! გვერწმუნეთ, ამ შემთხვევაში ხალხი იქნება თქვენ გვერდით და **იმის მიუხედავად, რას იტყვის საერთაშორისო საზოგადოება ან რას იტყვიან არასამთავრობოები, მისი უდიდებულესობა ხალხი არ გაგამტყუნებთ, მხარს დაგიჭერთ და ვინძლო შელახული ავტორიტეტი და იმიჯი აღიდგინოთ. სხვაგვარად ისე გამოვა, რომ სახელმწიფოსგან დარჩება ყოფილი სახელმწიფო და ერისგან დარჩება ყოფილი ერი. ამის საფრთხე რეალურად არსებობს და ზუსტად ვიცი, ამ დაფრთხეს თქვენც აცნობიერებთ, მაგრამ ვიღაცის თუ რაღაცის გამო, ხმამაღლა საუბარი არ გსურთ, სირაქლემის პოზაში ყოფნა გირჩევნიათ.**

სხვათა შორის, ისიც ვნახეთ, როგორ დაამშვიდეთ ხალხი, — აქაოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ ცხრა დღე იქნება, შემდეგ ისევ აკრძალვა მოხდებაო. და ამ ცხრა დღეში ნახევარი საქართველოს გასხვისება შეიძლება. სამი დღე გაგრელდა 2008 წელს აგვისტოს ომი და ამ დროის განმავლობაში იმჟამინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა დაახლოებით რვა ათასი ჰექტარი იყიდეს და გაყიდეს. სამ დღეში და სამჯერ რვა ათასი მართლა ნახევარი საქართველო გამოდის. ასე გაგრძელება კი, უბრალოდ, აღარ შეიძლება, **ასე გაგრძელება სახელმწიფოს, სამშობლოს ღალატია, იმ სამშობლოსი, რომლის სადღეგრძელოსაც დიდი მოწიწებით სვამთ იმ სუფრებზე, რომლებიც ისევ ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება და, საერთო ჯამში, 50 მილიონი ლარი შეადგინა.**

**...მიწის რეგისტრაციის რიგში არაერთი ქართველი დგას, მამაპაპისეული ქონების რეგისტრაცია სურთ, მაგრამ საშინელი ბიუროკრატიის გამო, თქვენ რომ თითქოს გააიოლეთ, წლებია, ამას ვერ ახერხებენ; ვერ ახერხებენ, რომ ძირძველ მიწას საკუთარი სახელი დაარქვან. ჰოდა, იმას, რასაც ქართველები საქართველოში, წლებია, ვერ ახერხებენ, სერიოზული ეჭვი გვაქვს, უცხოტომელები ცხრა დღეში მოახერხებენ და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს კანონიერად გააკეთებენ; იმ კანონებით, თქვენ რომ გააიოლეთ და რომლებიც იოლად მხოლოდ უცხოელებს ერგებათ. კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით — სულ რაღაც ერთი თვის წინათ რაჭაში, საკუთარი სახლის ეზოში რაჭველმა გლეხმა სპილენძის ზოდი იპოვა. წაიღო, გაიგო, რა შენადნობი იყო და, როცა გაირკვა, რომ საქმე სპილენძთან ჰქონდათ... სახლის დაცლა მოსთხოვეს, რეგისტრირებული არ გაქვსო; იმ სახლის, რომელიც მისმა დიდმა პაპამ ააშენა და აგერ უკვე მეორე საუკუნეა, ეს ოჯახი ცხოვრობს... ფრთხილად, ბატონებო, ფრთხილად!..**

**ბესო ბარბაქაძე**

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თავის დროზე ბატონი მარგველაშვილი აცხადებდა, რომ განსაკუთრებით ხაზი უნდა გასმოდა უმცირესობების უფლებების დაცვას. რას გულისხმობდა ამაში, ყველამ ვნახეთ მერე მიღებული კანონების სახით. მე მაინტერესებს, ახალი პრეზიდენტიც იმავე თვალსაზრისზეა? მასაც მიაჩნია, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ვერაა სათანადოდ დაცული და ამიტომ „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ აქტიურად უნდა ამოქმედდეს? მასაც მიაჩნია, რომ ქართული კულტურა ძალადობრივია და ჩაგრავს სექსუალურ, რელიგიურ, ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობებს?“**



# მამა გიორგი (რაზმაძე): ნებისმიერი ხელისუფალი, რომელიც წავა უფლის წინააღმდეგ და ამ ხელისუფლებამ ეს უკვე არაერთხელ გააკეთა, დაამთავრებს კრახით

**რამდენიმე დღის წინათ ხალხის მიერ „ცუდსა და უარესს“ შორის „ნაცსექტის“ შიშით არჩეულმა სალომე ზურაბიშვილმა გავლენიან ბრიტანულ გამოცემა Financial Times-ში ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. წერილში სათაურით „ღირებულებების დასაცავად საქართველოს მეტი მხარდაჭერა სჭირდება დასავლეთისგან“ მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „ლიბერალური ფასეულობების დაცვისა და გაძლიერების“ საკითხზე: „მე განვაგრძობ ბრძოლას დემოკრატიისთვის, რათა გავათავისუფლო ეს ქვეყანა ტოტალიტარული წარსულის ნარჩენებისგან. მე დავიცავ ჩემს ერს და მის ლიბერალურ ფასეულობებს“...**



## «უკვე მერამდენედ ვიხილეთ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, დაწყებული ქალაქის მერით, დამთავრებული პრემიერითა და მინისტრებით, ხანუქას დღესასწაულზე»

იმავე სტატიაში **ზურაბიშვილმა** პირობა დადო, რომ ბოლომდე გამოიყენებს პრეზიდენტის ძალაუფლებას, რათა დემოკრატიული განვითარების გზაზე ქვეყანაში დაცული იყოს „ინდივიდუალური თავისუფლებები“ და არავის ჰქონდეს შესაძლებლობა, „დაემუქროს ამ პრინციპებს“. მარტივად რომ ვთქვათ, ახალარჩეულმა პრეზიდენტმა პირდაპირ და ყოველგვარი დიპლომატიური კეკლუცობის გარეშე ერთი-ერთზე გაიმეორა წინამორბედების რიტორიკა, რომელიც პრიორიტეტებად სწორედ დასავლური, საქართველოს ეროვნულ იდენტობასთან შეუთავსებელი ლიბერალური ფასეულობების წარმოჩენას გულისხმობს (როგორც სტატიაშია ნათქვამი, „ის განაგრძობს“ და არა „იწყებს“ ან ხელს შეუწყობს ბრძოლას „დასავლური დემოკრატიისთვის“, რაც პირდაპირ თუ ირიბად იმის აღიარებაა, რომ იგი განუხრელად გააგრძელებს გარედან ნაკარნახევ ლიბერალურ დიქტატს)...

**რას ნიშნავს თანამედროვე დასავლური გაგებით „ლიბერალური ფასეულობების დაცვა“ და რას გულისხმობს პრეზიდენტი „ქვეყნის გათავისუფლებაში ტოტალიტარული წარსულის ნარჩენებისგან“?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი, მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, ამას წინათ სალომე ზურაბიშვილმა ერთ-ერთ გავლენიან ბრიტანულ გამოცემაში დაწერა, რომ მისი პრეზიდენტობის უმთავრესი მიზანი და პრიორიტეტი „ლიბერალური ფასეულობების“ დაცვა იქნება. მან აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ქვეყანა საბოლოოდ გაათავისუფლოს ტოტალიტარული წარსულის ნარჩენებისგან...**

— დავიწყოთ არჩევნებით. ის, რომ ამ არჩევნებზე ხალხი მასობრივად არ მივიდა და ნაციონალების პროცენტული მაჩვენებელი გაუთანაბრდა „ოცნებისას“, რამაც შექმნა საფრთხე, რომ ძალაუფლება ისევ ბნელ ძალებს ჩაეგდოთ ხელში, მიუთითებს მხოლოდ ერთ რამეზე — საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დღეს ამ ორ პარტიას შორის განსხვავება არ არსებობს და როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორიულად მიუღებელია ხალხისთვის. სხვათა შორის, დამოუკიდებელი საქართველოს არჩევნების ისტორიაში (ბოლო 25 წელს ვგულისხმობ) ეს არჩევნები იყო უპრეცედენტო შემთხვევა იმ თვალსაზრისით, რომ ხალხმა მოტყუებით კი არ გააკეთა მისთვის მიუღებელი არჩევანი, არამედ იძულებით. ანუ, აქამდე იყო მოტყუების პრაქტიკა, მოსყიდვა, ცრუ დაპირებებით მოჯადოება და ა.შ., ახლა პირდაპირ აღმოვჩნდით უცნაური რელობის წინაშე — **წარმოდგენილი ორი კანდიდატიდან ორივე მიუღებელი იყო, მაგრამ ერთ-ერთი აუცილებლად უნდა აგვერჩია. ეს ტრაგიკომედიაა.** რაც შეეხება **სალომე ზურაბიშვილს** და მის განცხადებას იმის თაობაზე, რომ დაიცავს ლიბერალურ ფასეულობებს, ეჭვიც არ მეპარება, რომ დაიცავს, მაგრამ იქნებ დააკონკრეტოს, რა არის მისთვის ლიბერალური ფასეულობები და როგორ წარმოუდგენია მისი დაცვა?

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის?**

— არ ვიცი მისი ფიქრები, მაგრამ ვიცი, რას ნიშნავს ლიბერალიზმი. ჯერ ერთი, ვინც კარგად იცნობს რომაულ მითოსს, იცის, რომ ლიბერი იყო წარმართული ღვთაება, რომელიც მფარველობდა ლოთებსა და მეძავებს. ეს ერთი და მეორე — თანამედროვე დასავლური გაგებით ლიბერალიზმი ნიშნავს, რომ ყველაფერი ნორმაა, რაც ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს, ანუ არ არსებობს ზნეობა, მორალი, პატიოსნება. მთავარია, სხვისი უფლებები არ შეზღუდო და, რასაც ფიზიკური სიამოვნება მოაქვს, ყველაფერი ნორმალურია. ახლა ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ კლასიკური ლიბერალიზმი სულ სხვა რამეა და ასე კატეგორიულები არ უნდა ვიყოთო... არ არსებობს ასეთი და ისეთი ლიბერალიზმი; ვისაც აინტერესებს, თავიდან დაიწყოს და ნახოს, საიდან მოდის ეს ტერმინი.

რაც შეეხება ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას ლიებრალური ფასეულობების დაცვაზე, თავის დროზე ბატონი **მარგველაშვილი** აცხადებდა, რომ განსაკუთრებით ხაზი უნდა გასმოდა უმცირესობების უფლებების დაცვას და რას გულისხმობდა ამაში, ყველამ ვნახეთ მერე მიღებული კანონების სახით. მე მაინტერესებს, **ახალი პრეზიდენტიც იმავე თვალსაზრისზეა? მასაც მიაჩნია, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ვერაა სათანადოდ დაცული და ამიტომ „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ აქტიურად უნდა ამოქმედდეს? მასაც მიაჩნია, რომ ქართული კულტურა ძალადობრივია და ჩაგრავს სექსუალურ, რელიგიურ, ეთნიკურ თუ სხვა უმცირესობებს?** აი, ეს ყველაფერი უნდა დააკონკრეტოს და აუხსნას საზოგადოებას, რათა ხალხმა იცოდეს, ვის ანდო ქვეყნის პირველი პირის სავარძელი. თუმცა ზურაბიშვილის შემთხვევაში ამის ცოდნას, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ხალხმა მას პოლიტიკური სიმპათიებისა და განწყობების გამო კი არ მისცა ხმა, არამედ იმიტომ, რომ მეორე მხარეს იდგა უფრო დიდი უბედურება „ნაცმოძრაობის“ სახით. ისე, მაინც კარგი იქნება, ცოტა მეტს თუ დაფიქრდება ხოლმე პრეზიდენტი, სანამ რამეს იტყვის. **ქართველი ერი მეძავი და ლოთი არასოდეს ყოფილა, ქართველი ერი ყოველთვის იყო ქრისტეს გზაზე მავალი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, ჭეშმარიტი ქრისტიანული ღირებულებები და ფასეულობები დაეცვა.**

**— ახალარჩეული პრეზიდენტი აცხადებს, რომ განაგრძობს დემოკრატიისთვის ბრძოლას და ლიბერალური ფასეულობების დაცვას. აქ ძალიან მნიშვნელოვანია სიტყვა „განვაგრძობ“. როგორ ფიქრობთ, ეს ხომ არ ნიშნავს დასავლეთიდან ნაკარნახევი იმ ფასეულობების დამკვიდრების გაგრძელებას, რომელიც სრულიად შეუთავსებელია ქართულ ეროვნულ იდეოლოგიასთან?**

— არ მინდა უსაფუძვლო დასკვნები გამოვიტანო და მკითხაობა გამომივიდეს, ამიტომ ვსვამ შეკითხვას — როდესაც ახალარჩეული პრეზიდენტი ხაზგასმით აცხადებს, რომ დაიცავს ლიბერალურ ფასეულობებს, **ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, გულისხმობს თუ არა იმას, რომ მხარს დაუჭერს, ვთქვათ, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებას, თუ დადგა ეს საკითხი? ასევე, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მხარს უჭერს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას?** ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს, იმიტომ, რომ, ასე თუ ისე, ის უკვე არჩეული პრეზიდენტია, მაგრამ გარკვეულწილად ხალხმა, ალბათ, დაუშვა კიდეც ის ალბათობა, რომ ცუდსა და უარესს შორის არჩეული პრეზიდენტი მისთვის მიუღებელ ნაბიჯებს გადადგამს. ისე, **ხელისუფლების თავკაცებს ნუ ჰგონიათ, რომ გაინაღდეს ძალაუფლება და აწი რასაც მოისურვებენ, იმას გააკეთებენ, ორ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია. არა მგონია, ხალხს 2020 წლამდე დაავიწყდეს ამათი ნამოქმედარი და ძალიან მძიმე პოლიტიკურ განაჩენს მიიღებენ...** სხვათა შორის, აქ მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ ამ არჩევნების შემდეგ ყველა, ვისაც არ ეზარება, მესამე ძალის აუცილებლობაზე ლაპარაკობს. კი, ეს საჭიროა და უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ საზოგადოება უნდა იყოს ფრთხილად. ძალიან ბევრი ფარისეველი შეეცდება ამ ვითარებით სარგებლობას და შეძრომას იმ ძალაში. ძალიან ბევრი უკვე ემზადება და კბილებს ილესავს...

**— არის საუბარი იმაზეც, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“, შესაძლოა, დესტაბილიზაცია მოაწყოს. ეს რეალურად მიგაჩნიათ?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ და განსაკუთრებით **მიხეილ სააკაშვილს** ძალა რომ შესწევდეს, რა თქმა უნდა, არც დაფიქრდება, ისე აამხედრებს საზოგადოებას, მაგრამ ეს საუბრები მოსალოდნელ საფრთხეებზე დიდწილად მაინც ხელისუფლების მიერ შექმნილი ილუზია მგონია, ანუ ეს არის ის საფრთხობელა, რომელითაც დღემდე შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება და დღესაც ძველი მეთოდებით ცდილობენ ხალხის დაშინებას, თუმცა ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ ეს საფრთხობელა აღარ გამოადგებათ. კიდევ ვიმეორებ: **ხალხი მიხვდა, რომ ნაცები და ქოცები ერთმანეთზე უარესნი არიან და ეს კარგია, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ალტერნატივა არ არსებობს.** აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ერთ საკითხსაც გამოვეხმაურო. ამას წინათ **უკვე მერამდენედ ვიხილეთ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, დაწყებული ქალაქის მერით, დამთავრებული პრემიერითა და მინისტრებით, ხანუქას დღესასწაულზე. სწორად გამიგეთ, გართულება არ მაქვს ებრაელი ერის მიმართ, პირიქით — ძალიან დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი, მაგრამ ხანუქას დღესასწაული (ერთხელ და სამუდამოდ მინდა გასაგები იყოს ყველასთვის) არის სხვა მესიის მოლოდინი. ძველ აღთქმაში აღწერლია, რომ როდესაც მაკაბელებმა რომის იმპერიის ბატონობისგან გაათავისუფლეს ისრაელი და შევიდნენ იერუსალიმის ტაძარში, ნახეს, რომ მხოლოდ ერთი ლიტრი ზეთი იყო დარჩენილი. ეს ზეთი მათ ერთი დღე უნდა ჰყოფნოდათ, მაგრამ, როცა აანთეს მენორა, მოხდა სასწაული და ერთი დღის ნაცვლად რვა დღე ეყოთ. აი, იმ დღის აღსანიშნავად დააწესეს ხანუქის დღესასწაული, მაგრამ რეალურად რას ნიშნავს ეს დღე? — როდესაც მესია მოვიდა, ებრაელებმა ჯვარზე გააკრეს... სხვათა შორის, ებრაელი რაბინები თვითონ არ ანთებენ ხანუქას სანთელს, ისინი ამას აკეთებინებენ გოებს, რაც ძველ ებრაულ ენაზე დაბალი რანგის თუ რასის ადამიანს, სახარჯო ადამიანურ მასალას ნიშნავს. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, როდესაც შენი ხელისუფალი შენსავე ქვეყანაში მიდის ებრაელების სალოცავში და ანთებს ხანუქას სანთელს, ნებსით თუ უნებლიეთ, ის თავს ეკლესიის გარეთ აყენებს. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ის მესიად არ იღებს ქრისტეს და ელოდება ანტიქრისტეს, რომელსაც ებრაელები მიიღებენ მესიად. აი, ამას ნიშნავს რეალურად ამ დღესასწაულში მონაწილეობა და მე მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით შევაგონო ჩვენს ხელისუფალთ, რომ ეს არის ქრისტეს გამყიდველობა. ადრე თუ გვიან, მათ ძალიან მკაცრად მოეთხოვებათ ამისთვის ღვთისა და ერის წინაშეც. ასე რომ, კარგი იქნება, თუ შეისმენენ და უგუნურ ნაბიჯებს მომავალში აღარ გადადგამენ.**

**— იმედი გაქვთ, რომ შეისმენენ?**

— წინასწარ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ, მე ერთი ვიცი დ ამაში ნამდვილად ვარ დარწმუნებული: ნებისმიერი ხელისუფალი, რომელიც წავა უფლის წინააღმდეგ და ამ ხელისუფლებამ ეს უკვე არაერთხელ გააკეთა, დაამთავრებს კრახით, ვინც უნდა იდგეს მის უკან და რა ძალაც უნდა უმაგრებდეს ზურგს; მერე ვერც დასავლეთი უშველით და ვერც მისი ლიბერალური ფასეულობები, ჩამოენგრევათ და დაემხობათ თავზე ყველაფერი!

*ესაუბრა* **ჯაბა ჟვანია**

**მთავარი პრობლემა ხელისუფლებისთვის ამ ეტაპზე არის ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს, „შური იძიოს“ იმისთვის, ივანიშვილმა თავისი მაინც რომ გაიტანა და სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდა, ან იმისთვის, რომ „ნაციონალების“ დაბრუნების შიშით იძულებული იყო, ხმა ზურაბიშვილისთვის („ქართული ოცნებისთვის“) მიეცა, მაშინ, როდესაც ეს არ უნდოდა.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნაცმოძრაობა» გზაგასაყარზე და მოთხოვნა მესამე ძალაზე

**საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ორი კვირა გავიდა. დაძაბულობამ მნიშვნელოვნად იკლო. მართალია, 16 დეკემბერს შეიძლება „რეციდივი“ მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ „ნაცმოძრაობა“ ინაუგურაციის ადგილის სიახლოვეს ხმაურიან აქციას გამართავს, მაგრამ ემოციების ამოფრქვევას, სავარაუდოდ, ერთჯერადი, ხანმოკლე ხასიათი ექნება. ფაქტია, — არჩევნები დასრულდა, საზოგადოება მალე საახალწლო პაუზას აიღებს, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა მიეცემათ, ტაქტიკურიდან სტრატეგიულ პრობლემებზე გადაერთონ.**



პოსტსაარჩევნო დღეების დაძაბული ფსიქოლოგიური ფონი ნაწილობრივ 2 დეკემბერს განიმუხტა, როდესაც „ნაცმოძრაობამ“, დაანონსებული „დაუმორჩილებლობის“ მიუხედავად, შთამბეჭდავი, ხალხმრავალი აქცია ვერ გამართა. ამ მცირერიცხოვანმა მიტინგმა ერთგვარი წყალგამყოფის როლი შეასრულა. 2 დეკემბრამდე სააკაშვილის ოპონენტები ნაციონალების ნებისმიერ ნაბიჯს შიშითა და უნდობლობით, ანუ სავსებით სერიოზულად უყურებდნენ, ხოლო მიტინგის შემდეგ დასცინოდნენ მათ. ეს, პრინციპში, გასაგები რეაქციაა — ტრაგედია, რომელსაც ისინი ელოდნენ, მოულოდნელად გადაიქცა ფარსად, ხოლო მათი წარმოსახვით შექმნილი ურჩხული — ჭიანჭველად. ამ სიცილში, რასაკვირველია, იყო რაღაც ისტერიკული, მაგრამ ფაქტია — მან დაძაბულობა ასე თუ ისე განმუხტა.

ფარსის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ეგზისტენციური სიცარიელეა. ძნელი სათქმელია, რა შეიძლება შესთავაზოს მიხეილ სააკაშვილმა თავის მომხრეებს ამ ეტაპზე, 2 დეკემბერს ეკრანიდან წარმოთქმული ფრაზის გარდა: **„როგორც კი დამიძახებთ, ფიზიკურად გავჩნდები თქვენთან“.** სხვათა შორის, ამას მეორედ ამბობს. 13 ნოემბერს მან თქვა: „როგორც კი დამიძახებთ, ეგრევე ჩამოვალ ყვარელში“ და იწინასწარმეტყველა, რომ ყვარელში „ქართული ოცნება“ მეორე ტურში ვერ გაიმარჯვებდა (არადა, გაიმარჯვა, თუმცა შედარებით მცირე სხვაობით: 9333/8357). ალბათ, არის ამ ფორმულაში რაღაც კვაზირელიგიური, მაგრამ ის აშკარად არასაკმარისია იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობამ“ მოახერხოს საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული მხარდაჭერის კონვერტირება პოლიტიკურ წარმატებაში — ამას ახალი სტრატეგია და რესურსები დასჭირდება.

2008 წელს გაერთიანებულმა ოპოზიციამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა. ის მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებას აპროტესტებდა და ნაკლებად ფიქრობდა მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. ოპოზიციურმა საზოგადოებამ დიდი იმედგაცრუება განიცადა, როდესაც დაინახა, რომ ლიდერები, მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ენერგიის კონცენტრირება მოახდინეს (13 და 20 იანვარს მიტინგებზე დამსწრეთა უპრეცედენტო რაოდენობა გამოვიდა), ვერ ბედავდნენ რევოლუციის დაწყებას და, ამავე დროს, ვერ ახერხებდნენ უდავოდ უსამართლო, გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმების მიღწევას. მუხტი დაიკარგა და საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციამ მიიღო გაცილებით ნაკლები ხმა, ვიდრე ვარაუდობდა.

„ნაციონალური მოძრაობა“ ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას. მისი ლიდერები საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ, მას გაყალბებულს და მოპარულს უწოდებენ, მაგრამ 2008 წლის მაგალითი ცხადყოფს, რომ ახლო წარსულზე ზედმეტი კონცენტრაცია საზიანოა, იმ პირობებში, როდესაც რევოლუციას (ალბათ, მაინც) ვერ მოაწყობენ, ხოლო მსოფლიო, ხარვეზების მიუხედავად, არჩევნებს დემოკრატიულად აღიარებს.

თუ რიგგარეშე არჩევნები არსებული სისტემით ჩატარდება, „ქართული ოცნება“, ხელისუფლებას, სავარაუდოდ, არ დაკარგავს, რადგან მაჟორიტარულ ოლქებში ათეულობით მანდატს მიიღებს. პროპორციულ სისტემაზე გადასვლა კი თითქმის შეუძლებელი ჩანს, რადგან მმართველმა პარტიამ ჯერ კიდევ საკონსტიტუციო ცვლილებების პერიოდში განაცხადა, რომ მისი მაჟორიტარები ამას ეწინააღმდეგებიან, შესაბამისად, მას, უბრალოდ, არ ეყოფა ხმები იმისთვის, რომ არსებული სისტემა 2024 წლამდე შეცვალოს.

ამ თემის გამოყენება ოპოზიციისთვის მომგებიანია, რადგან შესაძლებლობას აძლევს, „ქართული ოცნება“ უსამართლოდ მოპოვებული პრივილეგიების დამცველად წარმოაჩინოს; ამასთანავე, შეაგროვოს ხელმოწერები, გამართოს რეფერენდუმი და, დიდი ალბათობით, მოიგოს ის, რადგან საზოგადოების უმრავლესობა, პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, მაჟორიტარულ სისტემას ხელისუფლებისათვის უსამართლოდ მინიჭებულ ფორად აღიქვამს. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნების გაუქმების პერიოდში, „ოცნებისტების“ მნიშვნელოვანი ნაწილი ამას უსამართლობად აღიქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ პარტიას საპირისპირო პოზიცია ჰქონდა.

**მოთხოვნა «მესამე ძალაზე» ძალიან დიდია. პოტენციურად «სამოქალაქო მოძრაობას» შეუძლია მიიღოს ყველა იმ ამომრჩევლის ხმა, რომლებმაც საპრეზიდენტო არჩევნებში, ზიზღის მიუხედავად, აიძულეს საკუთარი თავი, ხმა «ნაკლები ბოროტებისთვის» მიეცათ ან სახლში დარჩნენ**

ძნელი სათქმელია, წამოწევს თუ არა „ნაცმოძრაობა“ მაჟორიტარული ოლქების გაუქმების მოთხოვნას წინა პლანზე თუ დაელოდება (ან მოაწყობს) სხვა თემასთან დაკავშირებულ კრიზისს, ხოლო შემდგომ, მისი განმუხტვის პირობად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას დაასახელებს. ამ ეტაპზე მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ მოთხოვნის გარშემო „მცირე“ ოპოზიციური პარტიების გაერთიანება, რათა შინ და გარეთ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა „მთელ ოპოზიციას“ სურს.

ნაციონალებთან თანამშრომლობაზე 99%-იანი ალბათობით არ წავლენ „პატრიოტთა ალიანსი“ და სხვა კონსერვატიული პარტიები. „შენების მოძრაობის“ ლიდერი **დავით უსუფაშვილი,** პირიქით, ემხრობა სასწრაფო გადასვლას პროპორციულ სისტემაზე. დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს **ალეკო ელისაშვილის** „სამოქალაქო მოძრაობის“ პოზიციას, რომლის პრეზენტაცია გასულ პარასკევს გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი პარტიაა და მისი რესურსი მცირეა, მას შეუძლია გავლენის მოხდენა ამომრჩეველთა იმ კლასტერებზე, რომლებთანაც „ნაცმოძრაობას“ არ მიესვლება, და ხელი შეუწყოს „ქართული ოცნების“ იზოლირებას ამ საკითხის მიმართ. რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნებს, ეს ელისაშვილს, ალბათ, არ დააინტერესებს — მას სჭირდება დრო იმისთვის, რომ პარტია ფეხზე დააყენოს, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაცმოძრაობამ“ ერთმანეთს რაც შეიძლება დიდი ზიანი მიაყენონ და მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისთვის არა მხოლოდ ძნელად ასატანი, არამედ აუტანელი გახდნენ.

მოთხოვნა „მესამე ძალაზე“ ძალიან დიდია. პოტენციურად „სამოქალაქო მოძრაობას“ შეუძლია მიიღოს ყველა იმ ამომრჩევლის ხმა, რომლებმაც საპრეზიდენტო არჩევნებში, ზიზღის მიუხედავად, აიძულეს საკუთარი თავი, ხმა „ნაკლები ბოროტებისთვის“ მიეცათ ან სახლში დარჩნენ. მთავარი საფრთხე „მესამე ძალისთვის“ არის წარმოჩენა „პირველის“ ან „მეორის“ სატელიტად, მათი დაკვეთის შემსრულებლად. შესაბამისად, **ელისაშვილი მალე აღმოჩნდება რთული არჩევანის წინაშე — რა ფორმით დაუჭიროს მხარი საარჩევნო რეფორმას და ვისთან ერთად.**

ხელისუფლებისთვის სასურველია, არ დაუშვას საზოგადოების კონცენტრირება მაჟორიტარული ოლქების პრობლემაზე, თუმცა ამისთვის სხვა, ერთი შეხედვით არანაკლებ აქტუალური თემები უნდა შესთავაზოს. ვინაიდან „ქართული ოცნება“ პროაქტიურობით არასოდეს გამოირჩეოდა. ეს, სავარაუდოდ, არ გამოუვა. ერთადერთი შეღავათი მისთვის ისაა, რომ თემა ვიწრო-პოლიტიკურია და ყველას როდი აინტერესებს.

მთავარი **პრობლემა ხელისუფლებისთვის ამ ეტაპზე არის ის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს, „შური იძიოს“ იმისთვის, ივანიშვილმა თავისი მაინც რომ გაიტანა და სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდა; ან იმისთვის, რომ ნაციონალების დაბრუნების შიშით იძულებული იყო, ხმა ზურაბიშვილისთვის („ქართული ოცნებისთვის“) მიეცა, მაშინ, როდესაც ეს არ უნდოდა.** ეს განწყობა ნაწილობრივ განეიტრალდება „საახალწლო პაუზის“ პერიოდში, თუმცა აქტუალური, სავარაუდოდ, გაზაფხულზეც იქნება. ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ამა წლის 31 მაისის და შემდგომი დღეების საპროტესტო აქციები — მაშინ საზოგადოების ნაწილმა არა მხოლოდ დაუჭირა მხარი **ზაზა სარალიძეს**, არამედ გამოხატა მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლების პოლიტიკის და ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მიმართ. შემდეგ მიტინგების ორგანიზებაში ღიად ჩაერთო „ნაციონალური მოძრაობა“, ამის გამო მონაწილეების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და საბოლოოდ, ზაზა სარალიძე იძულებული შეიქნა, აქციების ძველ ფორმატზე უარი ეთქვა. ამ მაგალითიდან კარგად ჩანს — საკმარისია გაჩნდეს მნიშვნელოვანი საბაბი პროტესტისთვის და ხელისუფლება თავს ცუდად იგრძნობს. **„ნაცმოძრაობისთვის“ მნიშვნელოვანია, უახლოეს მომავალში იპოვოს მსგავსი საბაბი და მოახდინოს მისი კონვერტირება პოლიტიკურ კრიზისში, ვინაიდან აქცენტის სასწრაფოდ გადატანა მაჟორიტარული ოლქების პრობლემაზე და მით უმეტეს წაგებული არჩევნების „გადათამაშებაზე“ მისთვის შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს.**

საპროტესტო მუხტის დაცემას ბოლო დღეებში უცნაური ახალი ამბებიც უწყობდა ხელს. გაირკვა, რომ სააკაშვილი აპირებს, უკრაინაში წინასაარჩევნო პოლიტიკური ტელეგადაცემა წაიყვანოს. **გიორგი ვაშაძე** სააკაშვილის დაუძინებელი ოპონენტის, **პეტრე პოროშენკოს,** შტაბთან თანამშრომლობას გეგმავს. რესპუბლიკელმა **დავით ბერძენიშვილმა,** რომელიც ორიოდე კვირის წინათ აქტიურად უჭერდა მხარს ნაციონალების კანდიდატს, „პალიტრანიუსის“ ეთერში სააკაშვილზე შემდეგი რამ თქვა: „ის აქ არ ჩამოვა იმიტომ, რომ ტრაპზევე დააპატიმრებენ. საერთოდ, დახურული სივრცე მისთვის არ არის კომფორტული. ორი დღე იჯდა ის „კა-პე-ზეში“ უკრაინაში და პოროშენკოს მისწერა შემრიგებლური, შეცდომების აღიარების წერილი, რბილად რომ ვთქვათ“. ყოველივე ამის უკან ნაკლებად იგრძნობა თავდაუზოგავი ბრძოლის პათოსი, სამოკავშირეო ერთობა და რევოლუციური აღმაფრენა, ეს უფრო ფარსისთვის დამახასიათებელი ეგზისტენციური სიცარიელეა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს სურს, შეინარჩუნოს ის მხარდაჭერა, რომელიც მისი პარტიის კანდიდატმა მოიპოვა, მუხტის შემცირება იმედგაცრუების ფონზე თითქმის გარდაუვალი ჩანს. უპირველესად, იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებმა პირველად ექვსი წლის განმავლობაში დაიჯერეს, რომ გამარჯვების მიღწევა შეუძლიათ, მაგრამ ვერ მიაღწიეს მას საპრეზიდენტო არჩევნებზე, საპარლამენტოსგან განსხვავებით, „ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი“, წარმომადგენლობითი ფრაქციის შექმნის სახით, არ არსებობს. ამიტომ, „საახალწლო პაუზის“ შემდეგ, სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ აქტიური მოქმედების განახლება შეცვლილი ფსიქოლოგიური ფონის პირობებში, ფაქტობრივად, სუფთა ფურცლიდან მოუწევთ, ისევე, როგორც თავის დროზე გაერთიანებულ ოპოზიციას 2008 წლის უილბლო საარჩევნო მარათონის დასრულების შემდეგ.

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რატომ და რისთვის ასეთი იმედისმომცემი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც 2008 წლის შემდეგ აღვირახსნილი რუსოფობია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰყავს აყვანილი? — რატომ და იმიტომ, რომ რუსეთის ხელისუფლება ერთმორწმუნე ქართველ ერს კი არ მიიჩნევს პათოლოგიური რუსოფობიის ავტორად, არამედ საქართველოს სოროსისტ, ნეოლიბერალ ხელისუფლებებს, ე.წ. ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული დღემდე.**

**გაზეთის წინა ნომერში აღვნიშნეთ, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ან უკვე არჩევნების შემდეგაც, ბევრ რამეს დაერქვა თავისი სახელი და ბევრსაც კიდევ დაერქმევა. აქედან გამომდინარე, მკითხველს შევპირდით, რომ ყველა თემაზე მომავალში ცალ-ცალკე ვისაუბრებდით.**

# საქართველო — დასავლეთის კოლონია თუ სამკაული რუსეთის იმპერიისა?



წინამდებარე წერილის განსახილველ თემად შევარჩიეთ ჩვენ მიერ ასე სახელდებული „საქართველოს საგარეო პოლიტიკა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ"... საშინაო პოლიტიკას კი, ხატოვნად თუ ვიტყვით, რამდენი კოვზი შაქარი უნდა ჩავიყაროთ ჩაიში, აშშ-ის საელჩოსა და მის დამქაშ ე.წ. ასოებს უთანხმებს ქოცების ხელისუფლება და საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად არჩევა-წარმართვის „ფუფუნებას" ვინ მოგვაშავებს?!

თითქმის 30 წელიწადია, რაც აშშ-ევროპის ლიბერასტული ძალების რეკომენდაციების მიხედვით წარმატებით ვასრულებთ რუსეთის გამაღიზიანებლის როლს; რის გამო დე იურედაც დავკარგეთ დე ფაქტო ისედაც დიდი ხნის წინათ დაკარგული სოხუმ-ცხინვალი; აქედან „ნა-ტო, ნატოს" უაზრო ღნავილისა და იქიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციების უკვე ამაზრზენი „აკომპონიმენტის" თანხლებით, ე.წ. მავთულხლართები ნელ-ნელა, მაგრამ სულ უფრო მოცოცავმოხოხავს...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მცირე, მაგრამ მაინც გვქონდა იმედი, რომ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი რუსეთის მიმართ რაიმე ახალს შემოგვთავაზებდა, მაგრამ, დიდი ილიასი არ იყოს, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?" ახლა, მავანი გვეტყვის: ჯერ რა დროს სიახლეებზე საუბარია, როდესაც ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაც არ ჩატარებულა და იქნებ ცოტა ვაცალოთო?

კი, ბატონო, ვაცალოთ, მაგრამ წინასაარჩევნოდ და მეორე ტურის შემდგომ გაკეთებული განცხადებებით ეტყობა, რომ სალომე ზურაბიშვილისგან რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენაში (რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის დაკვეთაა) ახალსა და პოზიტიურს არაფერს არ უნდა ველოდოთ, მხოლოდ ისევ ნატოს კარზე ამაოდ კაკუნსა და ევროკავშირის ქიმერის დევნას.

საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს...

მავანი შემოგვედავება: ოკუპანტ ქვეყანასთან რომელ დიპლომატიურ ურთიერთობებზე შეიძლება ლაპარაკიო?! რაც, ერთი შეხედვით, რკინისებური არგუმენტია! დიახ, ერთი შეხედვით, რადგან რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის გამოუცხადებელი ომი, აგერ უკვე მეხუთე წელიწადია, მიმდინარეობს, რომლის შედეგადაც მოსკოვმა უზარმაზარი (აბა, ერთი ციცქნა სოხუმ-ცხინვალი რა სახსენებელია?!) ყირიმის ნახევარკუნძული სამუდამოდ მიუერთა რუსეთის იმპერიას, მაგრამ კიევი დღემდე ინარჩუნებს მოსკოვთან დიპლომატიურ ურთიერთობებს, მეტიც, უკრაინა არც ე.წ. დსთ-ის დატოვებას ჩქარობს.

საქართველომ კი აგვისტოს ომის შემდეგ დიპლომატიური კავშირიც გაწყვიტა რუსეთთან, დსთ-დანაც გამოვიდა და რუსეთთან ერთადერთ „საჭიდაო ხალიჩად" მხოლოდ ევროსაბჭო-ნატოს სივრცე დაიტოვა. რა სიკეთეები მოუტანა ამ „ჭიდაობამ" საქართველოს, ზემოთ ვთქვით — დროებით დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, ლტოლვილების ახალი ტალღა, ეკონომიკური სიდუხჭირე და ა.შ. როგორც დავით გურამიშვილი ამბობს, „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენამჭევრი"...

თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას სამუდამო აქტი ვუწოდეთ, ხოლო სოხუმ-ცხინვალის ოკუპაციას — დროებითი მოვლენა. რატომ, რის საფუძველზე? — იკითხავს მკითხველი და სამართლიანადაც.

მიმდინარე მოვლენების ანალიზიდან გამომდინარე ცხადია, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დათმობს უკრაინას. ყირიმის გამო მესამე მსოფლიო ომის დამწყებიც არის კრემლი და, რაც უმნიშვნელოვანესია, ამ ყველაფერზე რუსეთის მზადყოფნას არც აშშ აყენებს ეჭვქვეშ. კიევი ყირიმს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბრუნებს, თუ უკრაინა დაუბრუნდება რუსეთს. სერიოზულად თუ ვიტყვით, ეს, ადრე თუ გვიან, ასეც მოხდება, რადგანაც რუსები და უკრაინელები, პრაქტიკულად, ერთი ერია, საერთო ისტორიითა და კულტურით...

რაც შეეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, უფრო სწორად, აგვისტოს ომის შემდეგ ურთიერთობის პრაქტიკულად არ არსებობის მიუხედავად, ნიშანდობლივი ფაქტია, რომ რუსეთის ფედერაცია მის მიერვე ოკუპირებული და დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებული სოხუმ-ცხინვალის მიერთებას ჯერჯერობით არ აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ თვითაღიარებულ რესპუბლიკებში ამ საკითხზე რეფერენდუმებიც ჩატარდა. **ასევე იქცევა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც — ჯერჯერობით ისიც არ აღიარებს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას, მიიჩნევს რა ამ ეკლესიებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში.**

**უმადურობამ რა «ჩიტიც დაგვაჭერინა» 2008-ში, ვნახეთ და, თუ არ გვინდა, ორიათას «იქსში» უფრო დიდი «ჩიტი დაგვაჭერინონ», მადლიერება იქით იყოს და, თუნდაც მხოლოდ პრაგმატულობიდან გამომდინარე, ადგილი ერთმორწმუნე რუსეთის გვერდით უნდა ვეძებოთ. მით უმეტეს, რომ ამ «პრაგმატულობის» სანაცვლოდ, მატროსოვივით ამბრაზურაზე გადაფარებას კი არა, რუსეთის იმპერიის მკერდზე დაბნეული ძვირფასი სამკაულის როლის თამაშს გვთავაზობენ არტისტული ბუნების ქართველებს...**

აქედან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური კითხვა — **რატომ და რისთვის ასეთი იმედისმომცემი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც 2008 წლის შემდეგ აღვირახსნილი რუსოფობია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰყავს აყვანილი? — რატომ და იმიტომ, რომ რუსეთის ხელისუფლება ერთმორწმუნე ქართველ ერს კი არ მიიჩნევს პათოლოგიური რუსოფობიის ავტორად, არამედ საქართველოს სოროსისტ, ნეოლიბერალ ხელისუფლებებს, ე.წ. ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული დღემდე.**

ერთი რამის თქმა უეჭველად შეიძლება — ერთმორწმუნე რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი ტკბილ-მწარე ურთიერთობები რუს-ქართველთა ერთობლივი ბედისწერაა; ამ გახლისტებულ მსოფლიოში ორი მართლმადიდებელი ერი მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის ვართ „განწირულნი" და შესაბამისად, დიდი შერიგება ორ კულტურულ ერს შორის მხოლოდ დროის ამბავია..

**სერგეი დორენკო** ცნობილი რუსი ჟურნალისტია, რომელიც ე.წ. დერჟავნიკული აზროვნებით გამოირჩევა. მან ასევე რუსი ცნობილი ჟურნალისტის, **ვლადიმერ პოზნერის** (რომელიც, დერჟავნიკი კი არა, ნეოლიბერალია), საავტორო გადაცემაში რამდენიმე წლის წინათ „დერჟავნიკულად" აგვიხსნა სიყვარული ქართველებს: **მიუხედავად აგვისტოს ომისა, ჩვენ ქართველები გვიყვარს. ისინი კარგი თამადები, პოეტები, მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, ექიმები არიან. ერთი სიტყვით, ქართველები შემოქმედი, ინტელექტუალი ხალხია. საქართველო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის გულზე დაბნეული ძვირფასი სამკაული იყო და ჩვენ, რუსები, არასოდეს დავთმობთ ამ სამკაულს** და ა.შ. ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ეს თქვა რუსმა „დერჟავნიკმა" ჟურნალისტმა.

რუსეთი საქართველოსთვის ეჭვიანი ცოლივით არის, რომელმაც ქმარი სადღაც ტყე-ღრეში დაფლეთილ-დაგლეჯილი, სულთმობრძავი იპოვა, მოუარა, სიკვდილს გადაარჩინა, ხოლო მოღონიერებულმა ქმარმა ერთგული ცოლის სიყვარულს სხვა ქალთან ვნებიანი ურთიერთობა არჩია და, ასეთი უმადური ქმარი სასიკვდილოდ რომ გაიმეტოს ცოლმა, გაემტყუნება? რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც ხომ ზემოხსენებული ცოლ-ქმრის ისტორიას ჰგავს?

200 წლის წინათ ზუსტად ასეთი სულთმობრძავი, ისლამის ოკეანეში დასახრჩობად განწირული საქართველო ჩააბარა პატარა კახმა დიდ რუსეთს, რომელმაც მოუარა, მოასულიერა და ფიზიკურ-მენტალურად გადარჩენის სანაცვლოდ 200 წლის განმავლობაში საქართველოსთვის არაფერი მოუთხოვია; **უმადურმა საქართველომ კი რუს „ნატაშას" ევროპელი „ნატო" არჩია და ახლა გვიკვირს, რაც 2008 წლის აგვისტოში დაგვემართა?** ზევით არაერთხელ ვახსენე სიტყვა „ჯერჯერობით" და ახლა მინდა ვთქვა, რომ ეს „ჯერჯერობით" უსასრულოდ ვერ გაგრძელდება...

დღეს, სირიაში იქნება ეს თუ უკრაინაში, პრაქტიკულად, გამოუცხადებელი მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს. მთელი ლიბერასტული დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებელ რუსეთს; რუსეთს, რომელსაც დამარცხება არ უწერია, რადგანაც ამ ომში მართლმადიდებელი რუსეთის დამარცხება სატანისტების ღმერთზე გამარჯვებას ნიშნავს, რასაც არ დაუშვებს არსთა გამრიგე. უმადურობამ რა „ჩიტიც დაგვაჭერინა" 2008-ში, ვნახეთ და, თუ არ გვინდა, ორიათას „იქსში" უფრო დიდი „ჩიტი დაგვაჭერინონ", მადლიერება იქით იყოს და, თუნდაც მხოლოდ პრაგმატულობიდან გამომდინარე, ადგილი ერთმორწმუნე რუსეთის გვერდით უნდა ვეძებოთ. მით უმეტეს, რომ ამ „პრაგმატულობის" სანაცვლოდ, მატროსოვივით ამბრაზურაზე გადაფარებას კი არა, რუსეთის იმპერიის მკერდზე დაბნეული ძვირფასი სამკაულის როლის თამაშს გვთავაზობენ არტისტული ბუნების ქართველებს.

**დავით მხეიძე**

**P.S. „რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — სწერდა ილია ჭავჭავაძე თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი — ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა-არ ყოფნის საკითხთან... დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისათვის". ეს მერამდენედ ვიყენებ დიდი ილიას ნააზრევს... მართლაც გენიოსია — რის სათქმელადაც მთელი სტატია დამჭირდა, მარტივად ერთ აბზაცში მოათავსა საქართველოს უგვირგვინო მეფემ, აწ და მარადის ილია მართალმა... დასასრულ, ქოც-ნაცების ხელისუფლებასა და „ყველას პრეზიდენტ" სალომეს მივმართავ: ჩვენი თუ არ გჯერათ, ეგებ ილია ჭავჭავაძისა მაინც დაიჯეროთ? იმ ილიასი, რომლის სურათებიც ანტურაჟად გიკიდიათ „ევრო-ფეშენ" კაბინეტებში, მაგრამ, როგორც იტყვიან, „მეტი არაა ჩემი მტერი". ისევ შენ აირჩიე, ქართველო ხალხო, რომელი გირჩევნია — დასავლეთის „შინრობა" თუ ჩრდილოეთის იმპერიის სამკაულობა? არჩევანი შენზეა, „ჩემო კარგო ქვეყანავ!"**

**უმადურმა საქართველომ რუს «ნატაშას» ევროპელი «ნატო» არჩია და ახლა გვიკვირს, რაც 2008 წლის აგვისტოში დაგვემართა?**

**ამერიკასა და ევროპას ქართველი ლიდერების ავტორიტეტზე არასდროს უფიქრიათ, რადგან მათ საქართველო დამონებული სურთ და არა ავტორიტეტებით. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერი თუ პარლამენტის თავმჯდომარე; მთავარია, ყველა მათი მითითება უსიტყვოდ შესრულდეს; არც ის აინტერესებთ, როგორ იცხოვრებს საქართველოში ხალხი. პრინციპში, მათ ზუსტად იციან, რომ ასეთ პირობებში განვითარება და წინსვლა გამორიცხულია, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, ყოველწლიურად ზუსტად იმდენი გაიღონ, რომ ერი მშიერი არ მოკვდეს, კონკრეტული ადამიანები იმაზე მეტად გამდიდრდნენ, ვიდრე აქამდე და დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელოა. ჰო, კიდევ ის არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს ნებისმიერმა ლიდერმა კვირაში ერთხელ მაინც გამოხატოს მკაფიო პოზიცია, რომ რუსეთი მტერია, რომ ყველაზე საშიშია, რომ მასთან საუბარს აზრი არ აქვს, რომ...**

## რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოლაპარაკება რუსეთთან თუ კოჭის გაგორება ევროპა-ამერიკისთვის

**პარადოქსია, მაგრამ ფაქტი — საპრეზიდენტო არჩევნები მთლიანად იმაზე იყო აწყობილი, ვინ ვის დააბრალებდა რუსეთის აგენტობას და რუსეთის სასარგებლოდ მუშაობას. სალომე ზურაბიშვილის შტაბი გრიგოლ ვაშაძეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობასა და რუსულ პასპორტს უხსენებდა, გაერთიანებული ოპოზიცია კი ზურაბიშვილს იმ განცხადების გამო ამუნათებდა, რომელშიც 2008 წლის ომის დამწყებად თითქოს საქართველო დაასახელა. ერთი სიტყვით, ორივე მხარე ამომრჩევლის გულის მოგებას იმით ცდილობდა, რომ რუსეთს ლანძღავდა და ამომრჩევლის მოთხოვნას, ეგებ საარჩევნო პროგრამები გაგვაცნოთო, ყურად არ იღებდა.**



სასაცილოა, რომ პროგრამები პრეზიდენტობის კანდიდატებს, უბრალოდ ვერ ექნებოდათ, რადგან ისეთი შეზღუდული უფლებები აქვს პრეზიდენტს, რომ გამორიცხულია, რამეზე რეალური გათვლა და განაცხადი გაეკეთებინათ. ასე იყო თუ ისე, ერთმანეთის კრიტიკასა და რუსეთის ლანძღვაში გალეულმა არჩევნებმა გამარჯვებულად ქალბატონი სალომე დაასახელა და... **არჩევიდან მეორე დღეს, ისე, რომ ჯერ ოფიციალური ინაუგურაცია და ფიცი არ ჰქონდა დადებული, ისეთები ილაპარაკა, წინასაარჩევნოდ რამდენჯერმე ნათქვამს ხაზი გადაუსვა და შეიძლება ითქვას, პირველი პრეზიდენტი გახდა საქართველოში, რომელმაც წინასაარჩევნოდ დადებული პირობა არჩევიდან მეორე დღესვე დაარღვია. რუსეთის გინების მიუხედავად, ზურაბიშვილი ამბობდა, რომ რუსეთთან საუბარი აუცილებელია, მას ამის გამოცდილება აქვს და მოლაპარაკებებს დაიწყებს, თუმცა „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ყველაფერი თავდაყირა დააყენა.**

„რუსეთი საოკუპაციო ძალაა და უდიდესი შეშფოთების საგანია, რომ მისი პროგნოზირება შეუძლებელია. როდესაც გყავს მტერი, რომელიც პროგნოზირებადია, იცი, რა იქნება შენი მომდევნო ნაბიჯი. ამ შემთხვევაში, გულწრფელად გითხრათ, არ ვიცი, რა უნდა იყოს საქართველოს შემდგომი ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობაში. ის მეტად არაპროგნოზირებადია და ჩვენს ტერიტორიაზე ზედმეტადაა წარმოდგენილი. გავხადოთ საქართველო უფრო მეტად აქტუალური, ეს ასევე არის გზა, რომ ევროპელ პარტნიორებთან ჩვენს ურთიერთობებზე რუსეთს ნაკლები გავლენა ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ შეგვიძლია, მეტი ვთხოვოთ ევროპელ პარტნიორებს და ჩემი განზრახვაა, ვიყო უფრო მომთხოვნი პარტნიორი ევროპელებისადმი და ასევე ჩვენი ნატოელი პარტნიორებისადმი. ჩემი მიზანია, შევარიგო საქართველოს დაყოფილი საზოგადოება. ზუსტად ეს სურს რუსეთს — დაყოფილი და დასუსტებული ქვეყანა, დისკრედიტირებული პრეზიდენტით, რომლის ლეგიტიმაციაზე შეტევა ხორციელდება", — განაცხადა ზურაბიშვილმა.

ანუ, ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მეტის მოთხოვნა შეუძლია ევროპა-ამერიკისთვის და სწორედ ევროპამ და ამერიკამ უნდა განახორციელოს ზეწოლა რუსეთზე. **ვერ გეტყვით, ქალბატონმა სალომემ დაივიწყა თუ დაავიწყეს ის, რომ ევროპა და ამერიკა, აგერ უკვე მერამდენე წელია, რუსეთზე ზეწოლას ახორციელებენ და დაწესებული სანქციებით ქვეყანას არაერთი მილიარდი დოლარის ზარალიც მიაყენეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, რუსეთი იმ პოლიტიკას განაგრძობს, რომელიც მისი ხალხისთვის არის კარგი.** აი, თუ ევროპა-ამერიკის სიჯიუტის გამო რომელიმე ქვეყანა დაზარალდება (მაგალითად უკრაინა, საქართველო), ამერიკელი და ევროპელი ლიდერები შეშფოთება-აღშფოთებით შემოიფარგლებიან და კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ერთმანეთს შეატოვებს ხოლმე. მერე იწყება დაუსრულებელი მისიები, სამშვიდობო ორგანიზაციების ახალი ოფისების გახსნა, გაუთავებელი მოლაპარაკებები და რეალურად არაფერი ხდება, კონფლიქტები იყინება და ასე გადის წლები, კონფლიქტურ ტერიტორიებზე განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს და სწორედ ეს უნდა ევროპა-ამერიკას — მუდმივად მათზე და მათ მიერ გადმოგდებულ გროშებზე ვიყოთ დამოკიდებულნი.

და როგორ გგონიათ, ამ ყველაფრის შემდეგ, რა უნდა გაეკეთებინა რუსეთს? ჩვენი გადმოსახედიდან, პოზიცია ხისტი იქნებოდა, მაგრამ არა.

„რუსეთს საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობები სურს. ვიმედოვნებთ, რომ არჩეული პრეზიდენტის დროს განვაგრძობთ კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარებისთვის გზების გამოძებნას. ჩვენ ზურაბიშვილს ვუსურვებთ, რომ ყველა ქართველის პრეზიდენტი იყოს და გააკეთოს ის, რაც მისი ხალხისთვის კარგია. რაც შეეხება ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს, თბილისთან კარგი ურთიერთობები გვსურს", — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა.**

**საქართველოსთვის რუსეთის უზარმაზარი ბაზარი ბოლომდე გახსნილი არ არის და, რაც არის, ისევ რუსეთის კეთილგანწყობით. ვიღებთ იმას, რომ ყველაზე დიდ დამსაქმებელთან სავიზო მიმოსვლა გვაქვს და ეს მაშინ, როცა უვიზო მიმოსვლა ევროპასთან იქ დასაქმების შესაძლებლობას არავის აძლევს, რომ რუსეთში მყოფი მილიონამდე ქართველი მუდმივად დარტყმის ქვეშაა, რადგან ერთ დღეს, შესაძლოა ჩრდილოელი მეზობელი საფუძვლიანად გაბრაზდეს, მობეზრდეს ჩვენი ფერება და კრიტიკის მოსმენა, რაც შედეგად ამ ადამიანების გამოძევებას მოგვიტანს და ისედაც მშიერ ერს კიდევ მილიონი უმუშევარი დაემატება... ეს არის ყველაფერი, რასაც ჩვენ ვიღებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკასა და ევროპას ვასიამოვნოთ**

მოდი, შევთანხმდეთ, რომ გავლენით ლავროვი რუსეთში მეორე კაცია. იმის მიუხედავად, რომ არსებობს პრემიერი და არსებობენ სხვა მინისტრები, საკვანო მოლაპარაკებებს პრეზიდენტის შემდეგ სწორედ ლავროვი მართავს, მნიშვნელოვან განცხადებებსაც სწორედ ის აკეთებს და შესაბამისად, მისი სიტყვები უნდა აღვიქვათ, როგორც რუსეთის მეთაურის პოზიცია. ჰოდა, **რუსეთი რომ გეუბნება, საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობა მსურსო და ამას ამბობს მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰკივი, არ ვიცი, რუსეთს რაზე უნდა ველაპარაკოო, ეს მტრობა კი არა, დიალოგის შესაძლებლობაა, მაგრამ...**

ამ ყველაფერს წინ ერთი საინტერესო ისტორია უძღოდა. არჩევნების მეორე დღეს, ზურაბიშვილმა მინიშნება გააკეთა, რომ რუსეთთან საუბარი შესაძლებელი იყო. ამ განცხადების შემდეგ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა, აქაოდა, ხალხის ნება ბოლომდე არ იყო გამოხატულიო. მერე იყო ის ინტერვიუ „როიტერთან" და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმაც ეს განცხადება დაივიწყა. და დაივიწყა იმის მიუხედავად, რომ გაერთიანებული თუ გასაერთიანებელი ოპოზიცია ამ განცხადებას ტელეეთერში ყველა ბრუნვაში ატრიალებდა. მერე კი, სავარაუდოდ, ოპოზიციასაც თავში ჩაარტყეს ამერიკელებმა: აქედან წამოსული გრანტები ღეჭეთ და საუბრისთვის ნაკლები დრო დაგრჩებათო. ისინიც გაჩუმდნენ და ამ ამბავმაც ჩაიარა, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ეს იყო შანტაჟი ამერიკის მხრიდან და შანტაჟი იმისა, რომ, თუ რუსეთს არ გააკრიტიკებდა ახალარჩეული პრეზიდენტი, მაშინ შტატები არჩევნებს არ აღიარებდა, ახალ რევოლუციასაც დაანაონსებდა, მოახდენდა კიდეც, მერე ყველაფერს რუსეთს დააბრალებდა, — აქაოდა, რუსეთის მხარეს იყო „ოცნება" და უარი იმიტომ უთხრესო, და მოვიდოდა სათავეში პროდასავლური მთავრობა...

სხვა საკითხია, როგორი ასატანია ის, რომ შენი ქვეყნის ახალარჩეული პრეზიდენტი პირველივე დღის ბოლოს ამერიკის შანტაჟის ქვეშ რომ ექცევა, გაკეთებულ განცხადებას ცვლის და, რაც მთავარია, რეგიონში ყველაზე დიდ და მძლავრ მეზობელთან მოლაპარაკებაზე უარს აცხადებს იმ მოტივით, რომ არ იცის, რაზე უნდა ელაპარაკოს. არადა, წინასაარჩევნოდ, სწორედ მისი დიპლომატიური გამოცდილებით გვაწონებდნენ თავს და, როცა გამოცდილმა დიპლომატმა არ იცის, რაზე უნდა ილაპარაკოს, ეგ ზურაბიშვილის ავტორიტეტს აკნინებს. თუმცა **ამერიკასა და ევროპას ქართველი ლიდერების ავტორიტეტზე არასდროს უფიქრიათ, რადგან მათ საქართველო დამონებული სურთ და არა ავტორიტეტებით. მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერი თუ პარლამენტის თავმჯდომარე, მთავარია, ყველა მათი მითითება უსიტყვოდ შესრულდეს; არც ის აინტერესებთ, როგორ იცხოვრებს საქართველოში ხალხი. პრინციპში, მათ ზუსტად იციან, რომ ასეთ პირობებში განვითარება და წინსვლა გამორიცხულია, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, ყოველწლიურად ზუსტად იმდენი გაიღონ, რომ ერი მშიერი არ მოკვდეს, კონკრეტული ადამიანები იმაზე მეტად გამდიდრდნენ, ვიდრე აქამდე, და დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელოა. ჰო, კიდევ ის არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს ნებისმიერმა ლიდერმა კვირაში ერთხელ მაინც გამოხატოს მკაფიო პოზიცია, რომ რუსეთი მტერია, რომ ყველაზე საშიშია, რომ მასთან საუბარს აზრი არ აქვს, რომ...**

და რას ვიღებთ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები? ვიღებთ იმას, რომ **საქართველოსთვის რუსეთის უზარმაზარი ბაზარი ბოლომდე გახსნილი არ არის და, რაც არის, ისევ რუსეთის კეთილგანწყობით. ვიღებთ იმას, რომ ყველაზე დიდ დამსაქმებელთან სავიზო მიმოსვლა გვაქვს და ეს მაშინ, როცა უვიზო მიმოსვლა ევროპასთან იქ დასაქმების შესაძლებლობას არავის აძლევს, რომ რუსეთში მყოფი მილიონამდე ქართველი მუდმივად დარტყმის ქვეშაა, რადგან ერთ დღეს, შესაძლოა, ჩრდილოელი მეზობელი საფუძვლიანად გაბრაზდეს, მობეზრდეს ჩვენი ფერება და თან კრიტიკის მოსმენა, რაც შედეგად ამ ადამიანების გამოძევებას მოგვიტანს და ისედაც მშიერ ერს კიდევ მილიონი უმუშევარი დაემატება.** ეს არის ყველაფერი, რასაც ჩვენ ვიღებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ამერიკასა და ევროპას ვასიამოვნოთ. რამდენად მართებულია ეს, თავად განსაჯეთ, მანამდე კი წინ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია გველოდება, პრეზიდენტის, რომელმაც პრაქტიკულად დიპლომატიური ომი გამოუცხადა რუსეთს და ამ ომის სანაცვლოდ რუსეთისგან ისევ გამოწვდილი ხელი მიიღო.

**პირდაპირ ვამბობთ — არ ჩამოართმევს ზურაბიშვილი ხელს რუსეთს, უარს იტყვის მოლაპარაკებაზე და ისევ ამერიკასა და ევროპას გაუგორებს კოჭს. ჩვენ კი ისევ იმ ნაღმზე ვიქნებით, რომლის აფეთქებასაც ნებისმიერ დროს შეძლებს ევროპაცა და ამერიკაც. სამწუხაროდ, აფეთქების ტალა მხოლოდ ჩვენ გადაგვივლის, თორემ შეშფოთება-აღშფოთება მათ არაფერს ავნებს, იმუნიტეტი აქვთ უკვე ამაზე გამომუშავებული.**

**ბესო ბარბაქაძე**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნიკა გვარამიას მიერ წარმოთქმულ დედის გინების ნიაღვარს ინგა გრიგოლია სრულიად წყნარად შეხვდა. ისიც გეხსომებათ, „ქართული მარშის“ ზოგიერთმა წევრმა ერთგვარ მუქარასავით რომ შეუთვალა „ლიბერასტებს“ და პირადად გურამ კაშიას ლგბტ სამკლაურის გაკეთების გამო, როგორი ისტერიკა დაიმართა ინგა გრიგოლიამ: არიქა, ქვეყნაში ღია ბულინგი მიმდინარეობს და ადამიანებს ემუქრებიან და აშინებენო! სამაგიეროდ, ინგა ისევ „ღირსეულად დუმს“, როდესაც ნიკა გვარამია გვემუქრება „კოჭების დახვრეტით“.**

# მიშას დილემა თუ «სიამოვნებითი რევოლუცია»?

## ინგა ისევ «ღირსეულად დუმს», გვარამია და გაფრინდაშვილი ისტრესებიან

**ასეთი არჩევანისა თუ დილემის წინაშე საქართველოს ექსპრეზიდენტმა დაგვაყენა. თუმცა ახლა ისეთი პერიოდია, უკვე გიორგი მარგველაშვილიც ექსპრეზიდენტად ითვლება და, მკითხველს რომ არ აერიოს, მიხეილ სააკაშვილს ზოგჯერ „რუსთავი 2“-ის საყვარელი ტერმინით — „საქართველოს მესამე პრეზიდენტად“ მოვიხსენიებ. მოკლედ, სწორედ გიჟმა მიშამ გახადა აქტუალური თემა სექსისა და რევოლუციის შესახებ. „რევოლუციური გამარჯვებები ნებისმიერ სექსზე უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებსო“, — განუცხადა მან ერთ-ერთ უკრაინულ ტელევიზიას.**

მიშა სააკაშვილის სექსუალურ დაუკმაყოფილებლობაზე და მის გარყვნილებაზე ბევრი თქმულა და დაწერილა და ამ მხრივ ახალს ვერაფერს ვიტყვით. უბრალოდ, მის ამ ფრაზაში უფრო საყურადღებო რევოლუციებთან დამოკიდებულებაა. რა გამოდის „მესამე პრეზიდენტის“ ნათქვამიდან? რა და ის, რომ ეს კაცი თურმე რევოლუციებს იმიტომ კი არ აწყობს ან იმიტომ კი არ ცდილობს მათ მოწყობას სხვადასხვა ქვეყანაში, რომ იგი ამის აუცილებლობას ან გადაუდებელ საჭიროებას ხედავს, არა. თურმე მას, უბრალოდ, ეს სიამოვნებს. საზოგადოდ, ნებისმიერი რევოლუცია, მით უმეტეს XXI საუკუნეში, ძალიან მიუღებელი რამ არის, რადგან კაცობრიობა უკვე შეთანხმდა, რომ ყველაზე „გამართლებულ“ რევოლუციასაც კი მოაქვს დიდი მსხვერპლი, ნგრევა, უბედურება და თაობების ფსიქიკური განადგურება, ამიტომ კაცობრიობა ცდილობს, ყველაზე მწვავე საკითხებიც კი რევოლუციისა და სისხლისღვრის გარეშე ან არჩევნებით, ან რეფერენდუმებით, ან უცხოელი პარტნიორების ჩარევით მოაგვაროს. თუკი მაინც მოხდა სადმე რევოლუცია, მისი ორგანიზატორები ცდილობენ, მსოფლიოს დაანახვონ და დაუმტკიცონ, რომ ეს აუცილებელი იყო, ამის გადაუდებელი საჭიროება არსებობდა და ისინი, უბრალოდ, იძულებულნი შეიქნენ, რევოლუცია მოეწყოთ. აი, საქართველოს „მესამე პრეზიდენტი“ კი ამ კუთხითაც უნიკალურია მსოფლიოში და პირდაპირ აცხადებს, რომ მას რევოლუციები, ანუ სისხლი, ნგრევა, მსხვერპლი და უბედურება ძალიან სიამოვნებს. ასეთი ადამიანი ჩვენს ქვეყანას 9 წელიწადს მართავდა და მანამდე კიდევ 7 წელიწადს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა... როგორ ფიქრობთ, არ ვართ ბეწვზე გადარჩენილები? სხვა საკითხია ისიც, რომ ამხელა კაცი სხვას ვერაფერს პოულობს ეტალონად და შესადარებელ კრიტერიუმად და რევოლუციასაც კი მის საყვარელ თემას — სექსს ადარებს. კარგი, ჯანდაბას, 15 წლის წინათ, „ვარდების რევოლუციის“ დროს, ჯერ კიდევ ჯეელი და უმწიფარი 36 წლის სააკაშვილი გახდა სახელმწიფოს პირველი პირი და ჯერაც არ ჰქონდა ჩამცხრალი და დაკმაყოფილებული სექსუალური ვნებები. მისგან „ბუჩქებში სექსზე“ ლაპარაკი მაშინაც ძალიან უხერხული იყო, მაგრამ დავუშვათ, „ახალგაზრდობით“ ეპატია... მაგრამ, როდესაც 50 წელს გადაცილებული, უკვე „ბაბუობის“ ასაკში შესული ნაპრეზიდენტალი ისევ და ისევ საჯაროდ გაიძახის „სექსი, სექსი“-ო და სხვა სალაპარაკო თემა არ აქვს, ეს უკვე მართლაც გადაჭარბებულად სამარცხვინოა. საზოგადოდ, ქართველებს ბოლო ორ პრეზიდენტში ძალიან „გაგვიმართლა“. ჩვენი „მეოთხე“, ანუ ახლა უკვე ისიც ექსპრეზიდენტი, ბატონი **გიორგი მარგველაშვილი,** გახსოვთ, თავისი „მდიდარი სექსით“ გვეტრაბახებოდა. აგერ, ორიოდე დღის წინათ კი ქართველი ფეხბურთელი **გურამ კაშია** ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. რით დაიმსახურა გურამ კაშიამ „ბრწყინვალების ორდენი“? საფეხბურთო მიღწევებით? არა, მას არც ჩემპიონთა ლიგა მოუგია და არც არაფერი ჩაუდენია სპორტში განსაკუთრებული. მასზე გაცილებით უკეთესი მიღწევები ჰქონდათ გასულ წლებში ქართველ ფეხბურთელებს... **გურამ კაშიამ პედერასტების დროშა შემოირტყა მკლავზე და ასე ირბინა 90 წუთი.** აი, რა დააფასა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა და აი, რაში გასცა საქართველოს პრეზიდენტის სახელით ბრწყინვალების ორდენი. სექსუალური უმცირესობების დიქტატურის დასაწყისი აშკარაა და, როგორც ხედავთ, ეს ჩვენს ბოლო ორ პრეზიდენტზეც პირდაპირ აისახება — სექსი მათი უსაყვარლესი თემაა და ამ ბაბუობის ასკაში შესულ „კაძახებს“ საჯაროდ სულ „სექსი, სექსი“-ს ძახილი დიდად არ უქმნით უხერხულობას.

ამ თემაზე საუბრისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს სექსის ორი დედალ-მამალი „მეტრი“ ქართული მედიიდან — **ნიკა გვარამია** და **ინგა გრიგოლია.** ეს ორი „სექს-ფლაგმანი“ თავის დროზე ძალიან აქტიურობდა და მარგველაშვილის „მდიდარ სექსს“ უწყობდა ხმას.

სადღეისოდ ნიკა გვარამია, თავისი ბელადის არ იყოს, უფრო „რევოლუციურ სიამოვნებებზეა“ გადაწყობილი და ისე შევიდა ეშხში, რომ „კოჭების დახვრეტითაც“ ემუქრება მაყურებელს. სხვათა შორის, აქ აუცილებელია, აღვნიშნოთ ინგა გრიგოლიას „ღირსეული დუმილი“!

გეხსომებათ, კორკოტამ მოკრძალებულად რომ შეიგინა სუფრაზე თავის ძმაკაცებთან და ეს ვიდეო ინტერნეტში აიტვირთა, რა დღეში ჩავარდა „ქართული ჟურნალისტიკის დედა“ ინგა გრიგოლია — ეს როგორ შეიძლებაო?! ვგმობ ყველანაირ ბილწსიტყვაობასა და უხამსობასო. საწყალი კორკოტა ლამის ოთხში ამოიღეს. **ნიკა გვარამიას მიერ წარმოთქმულ დედის გინების ნიაღვარს კი ინგა გრიგოლია სრულიად წყნარად შეხვდა. ისიც გეხსომებათ, „ქართული მარშის“ ზოგიერთმა წევრმა ერთგვარ მუქარასავით რომ შეუთვალა „ლიბერასტებს“ და პირადად გურამ კაშიას ლგბტ სამკლაურის გაკეთების გამო, როგორი ისტერიკა დაიმართა ინგა გრიგოლიამ: არიქა, ქვეყანაში ღია ბულინგი მიმდინარეობს და ადამიანებს ემუქრებიან და აშინებენო! სამაგიეროდ, ინგა ისევ „ღირსეულად დუმს“, როდესაც ნიკა გვარამია გვემუქრება „კოჭების დახვრეტით“.**

საერთოდ, როგორც ჩანს, ასეთი ორმაგი სტანდარტი, უკვე დიდი ხანია, ჩვევაში გადაუვიდათ ნაცებს და მათ „ჯიბის ჟურნალისტებს“. ეს უკვე მათ მიერ „ბულინგის“ აღქმაშიც გამოიხატება. მაგალითად, გასულ კვირაში მოვისმინეთ „რუსთავი 2“-ის წარმომადგენელთა გამუდმებული წუწუნი მათი ოჯახის წევრების საზოგადოების მხრიდან „დაბულინგებასთან“ დაკავშირებით. იმავე ნიკა გვარამიამ პირდაპირ ეთერში დაგვამუნათა: ქალაქში რომ ბანერებია გამოკრული, სადაც ჩემი სახეც არის გამოსახული და ქვეშ აწერია „არა ბოროტებას“, როდესაც ჩემი შვილები ამ ბანერს ხედავენ, ფსიქლოგიურად ითრგუნებიანო.

ასევე აგვიჩუყა გული „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა **მარიამ გაფრინდაშვილმა.** ეს ის ჟურნალსტია, **ნანა კაკაბაძეს** რომ შეუვარდა ოფისში და რაღაც შტერულ კითხვებზე პასუხის გაცემას აიძულებდა. მანამდე იგივე ჟურნალისტი მოქალაქეებს პირად ავტომობილებში უვარდებოდა და აძალებდა, ეღიარებინათ, რომ ისინი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არჩევნებს აყალბებდნენ. აი ეს ჟურნალისტი სოციალურ ქსელში წერს, რომ, როდესაც მასზე ვინმე რამე უარყოფითს ამბობს ან აქვეყნებს და ამას დედამისი ან მისი ოჯახის სხვა წევრები ნახულობენ და ისმენენ, ისინი ძალიან ისტრესებიან და ფსქიოლოგიურად ითრგუნებიან.

**როგორც ჩანს, მხოლოდ ნიკა გვარამიასა და მარიამ გაფრინდაშვილის დედები, მამები, დები, ძმები და ნათესავები არიან მხედველობაში მისაღები, თორემ, აბა, მათ გარდა ვინმეს ჰყავს ოჯახი?! განა ვინმე სხვა ისტრესება ან ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებს? თუნდაც იგივე ნანა კაკაბაძე და მისი ახლობლები რა სათვალავში ჩასაგდები არიან, ან ისინი, ვისაც ნიკა გვარამია პირდაპირ ეუბნებოდა: „დაგიმახსოვრებთ, სალომე ზურაბიშვილს რომ აძლევთ ხმას და სამშობლოს მოღალატედ გამოგაცხადებთო!“. იმ ხალხს, ზუსტად ვიცი, არც დედა ჰყავს, არც მამა, არც და-ძმა და არც შვილები!**

ამ ხალხზე არც ინგა გრიგოლია სწუხს და, თუკი მათ სააკაშვილის „რევოლუციური სიამოვნებების“ გამო მიადგებათ ზიანი, არც ესაა პრობლემა. მთავარია, გაირკვეს, რომელი უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებს „ბელადს“: სექსუალური რევოლუცია თუ რევოლუციური სექსი. სანამ ამას ვარკვევთ ქართველები, ამასობაში **დავით ქაცარავას** მიერ სოფელ ატოცთან „ვერშეკავებული რუსები“, არც მეტი არც ნაკლები, პირდაპირ პარიზამდე გაიჭრნენ და იქ მოაწყვეს ბარიკადები! „საფრანგეთის შესაბამისი სამსახურები იწყებენ გამოძიებას, რა როლი ეკუთვნოდა რუსეთს პარიზის ცენტრში გამართულ აგრესიულ საპროტექსტო აქციებში და იმართებოდა თუ არა ამ დღეების განმავლობაში პარიზის ქუჩები უშუალოდ კრემლიდან?“ — იუწყებიან საინფორმაციო საშულებები და ჩვენ კი ევროპელ პოლიტიკოსებს ვთხოვთ, ატოცში 12 სანტიმეტრით გადმოწეული მავთულხლართის გამო სანქციები დაუწესოს რუსეთს... რუსეთს, რომელიც თურმე პარიზს მართავს!

მდგომარეობა რომ ტრაგიკომიკურია, ამას უკვე ძალიან დებილიც კი უნდა ხვდებოდეს, თუმცა ფაქტია, საქართველოს 700 ათასმა მოქალაქემ ნაციონალებს მისცა ხმა...

ათიოდე წლის წინათ ერთ ადამიანს ვიცნობდი. ის ამბობდა ხოლმე, სკოლაშიც ასე ვიყავი და ცხოვრებაშიც ასე უნდა გააკეთო: როდესაც ბოროტი და კეთილი ჩხუბობენ, თუ გინდა გადარჩე და ხეირიც ნახო, აუცილებლად ბოროტის მხარეს უნდა დადგეო. მისი ფილოსოფია ასეთი იყო: თუკი შენ კეთილისკენ ხარ და ბოროტმა გაიმარჯვა, ის მერე შენც აუცილებლად გადაგივლის, გაგანადგურებს, — მე რატომ არ მიჭერდი მხარსო?! ხოლო თუ ბოროტისკენ ხარ და კეთილმა გიამარჯვა, ის მაინც არაფერს დაგიშავებს, ის ხომ კეთილია, პირიქით, შეეცოდები და შეიძლება გვერდითაც დაგიყენოს თავის ახლობლებზე მეტად ახლოც მიგიშვას, რადგან ისინი არ ეცოდება, შენ კი ეცოდები, რადგან დაჩაგრული ჰგონიხარო!

აი, მგონი, სწორედ ეს „ფილოსოფია“ გამოიყენა ნაცების ამომრჩევლების გარკვეულმა პროცენტმა და აკი ამართლებს კიდეც ეს მეთოდი. დარწმუნებულნი იმაში, რომ „ოცნება“ მათ მაინც არაფერს დაუშავებდა, ნაცების ბოროტების შიშით, მათ აძლევდნენ ხმას: ვაითუ მართლა მოიგონ, ემანდ არაფერი მოგვწიონო!

**ასეთი საზოგადოება, ანუ საზოგადოება, რომლის წევრების თუნდაც 30 პროცენტი მაინც ასე აზროვნებს, პროგრესს ნამდვილად ვერ მიაღწევს. ასე რომ, რაც უნდა სამწუხარო იყოს, რეალობაა — დღეს ქართველი საზოგადოება, „მიშას სექსუალურ-რევოლუციური დილემის“ გადაწყვეტაზე ფიქრის გარდა, მართლა არაფერს იმსახურებს!**



**როგორც ჩანს, მხოლოდ ნიკა გვარამიასა და მარიამ გაფრინდაშვილის დედები, მამები, დები, ძმები და ნათესავები არიან მხედველობაში მისაღები, თორემ, აბა, მათ გარდა ვინმეს ჰყავს ოჯახი?! განა ვინმე სხვა ისტრესება ან ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებს? თუნდაც იგივე ნანა კაკაბაძე და მისი ახლობლები რა სათვალავში ჩასაგდები არიან, ან ისინი, ვისაც ნიკა გვარამია პირდაპირ ეუბნებოდა: «დაგიმახსოვრებთ, სალომე ზურაბიშვილს რომ აძლევთ ხმას და სამშობლოს მოღალატედ გამოგაცხადებთო!». იმ ხალხს, ზუსტად ვიცი, არც დედა ჰყავს, არც მამა, არც და-ძმა და არც შვილები!**

„როგორც ვეტერანი, სასტიკი წინააღმდეგი ვარ სკოლაში აგვისტოს ომის საკითხზე ბავშვებთან ლაპარაკის, მათთვის იმ ომის შესახებ რაიმე გაკვეთილის ჩატარების, რადგან 2008 წლის აგვისტოს მოვლენა არ იყო ომი. ახლანდელი პრეზიდენტი ვალდებულია, გმირთა მოედანზე ვეტერანებთან მოვიდეს და ქედი მოიხაროს, ჩვენ ამ თემაზე აუცილებლად დაველაპარაკებით; იმედია, ჩვენს აზრს გაითვალისწინებს ქვეყნის მთავარსარდალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო აქციებით გამოვხატავთ ჩვენს უკმაყოფილებას აღნიშნული წიგნის სკოლაში შეტანის გამო“.

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### დავით მუხიგული:

# ნეტავ რა უნდა ასწავლონ აგვისტოს ომზე: ის, რომ ყველა იმალებოდა? ქვეყნიდან რომ გარბოდნენ? ფულს რომ მალავდნენ?

**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური განცხადებით გამოეხმაურა ქვეყნის 14 საჯარო სკოლაში ახალი საგნის „თავდაცვა და უსაფრთხოების“ სწავლებას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს და საზოგადოებას მკაფიოდ განემარტოს ამ საგნის სწავლების მიზანი და შედეგი, რომელსაც მომავალი თაობებისთვის გამოიღებს.**

## «2008 წლის ომი ფარსი იყო, გარიგება, ფულის გათეთრება, არ ვიცი, რა დაავარქვა ყველაფერს, რაც მაშინ იქ ვნახე»

„გვინდა, გამოვეხმაუროთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივ ინიციატივას, ქვეყნის თოთხმეტ საჯარო სკოლაში მოქმედი სამხედრო ოფიცრების მიერ ახალი საგნის — „თავდაცვა და უსაფრთხოების“ სწავლებას. როგორც ცნობილია, ხსენებული სახელმძღვანელო ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად მოიცავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ანალიზსა და შეფასებას. 2008 წლის ომზე მუდმივი აპელირება და მხოლოდ ამ ომის გმირების ღვაწლის აღნიშვნა და დაფასება, მაშინ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ჩვენს ქვეყანას არაერთი ომი თუ შეიარაღებული კონფლიქტი გადაუტანია, ვფიქრობთ, არასწორია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის უახლეს ისტორიაში წარმოებულმა ომებმა ქვეყანას მრავალი გმირი შეჰმატა, რომელთა თავდადების არაღიარება, მათი სახელებისა და ისტორიების სასწავლო პროგრამაში გაუთვალისწინებლობა ძალიან დიდი შეცდომაა; მეტიც, დანაშაულია ქვეყნისა და მომავალი თაობების წინაშე! მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ სახელმძღვანელოში მხოლოდ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და საერთაშორისო-სამშვიდობო მისიებისა და მათი გმირების ისტორია არ უნდა ისწავლებოდეს. სახელმძღვანელო აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 1991-1993 წლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოებული საომარი მოქმედებების, ასევე, კოდორში და 1998 წელს გალსა და 2004 წელს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტებისა და მათი გმირების ისტორიას, რათა არც ერთ ისედაც გულმოკლულ დედას, რომლის შვილმაც თავი სამშობლოს ერთიანობასა და დამოუკიდებლობას შესწირა, არ ჰქონდეს განცდა, რომ მისი ვაჟკაცის მიერ ქვეყნისთვის გაღებული სისხლი და სიცოცხლე დაუფასებელი და უგულებელყოფილია!“ — ნათქვამია ომის ვეტერანთა განცხადებაში. დაახლოებით იმავე შინაარსისაა „საქართველოს ვეტერანთა კლუბის“ განცხადებაც: „კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის საამებლად გადადგმულ ამ ნაბიჯს, რომელიც წინა ხელისუფლების, კონკრეტულად კი, **მიხეილ სააკაშვილის** არასწორი პოლიტიკის, მრწამსისა და სახელმწიფოებრივი ხედვის გაგრძელებაა — არათანაბარ პირობებში ჩაეყენებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მონაწილე შემადგენლობა; დაეყო ვეტერანთა დიდი ოჯახის დამსახურებული წევრები „ჩემს“ და „სხვის“ ვეტერანებად.

არასწორი და არასამართლიანია საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარ მხოლოდ ერთ, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით შეუსწავლელ, 2008 წლის ომზე მუდმივი აპელირება და მხოლოდ ამ ომის გმირების ღვაწლის აღნიშვნა და დაფასება, მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ჩვენს ქვეყანას არაერთი ომი, შეიარაღებული კონფლიქტი თუ საბრძოლო ეპიზოდი გადაუტანია 1918-1921, 1941-1945, 1991-1993, 1994-1996, 1998, 2001-2002, 2004 წლებში!“ — ნათქვამია განცხადებაში.

**სასკოლო სახელმძღვანელოზე „თავდაცვა და უსაფრთხოება“ გვესაუბრება ომის ვეტერანი, თადარიგის მაიორი დავით მუხიგული:**

— დღეს რატომღაც ასეთი ტენდენციაა: მხოლოდ 2008 წლის ომზე საუბრობენ და არავინ ახსენებს, რა ომები გადავიტანეთ 1990-იან წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მე ვიბრძოდი ყველგან, მათ შორის, 2008 წლის ომშიც, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში არ მქონია განცდა, რომ ომში ვიყავი. იქ იყო მხოლოდ დაბომბვები და ამას შეეწირნენ უგზო-უკვლოდ წაყვანილი ახალგაზრდები. ყოველთვის ვარიგებდი მათ ჭკუას, ვეუბნებოდი, რომ ეს ომია, მკვდრებსაც უნდა მიხედოთ და ცოცხლებსაც, ზურგს უკანაც უნდა იყუროთ და წინაც-მეთქი. არაფერი იცოდნენ... საინტერესოა, რა უნდა ასწავლონ ბავშვებს და რა უნდა ელაპარაკონ ამ ომზე.

1991-1993 წლის ომები მართლა ომები იყო, განსაკუთრებით სამაჩაბლოში. **2008 წელს ვინც იბრძოდა, მან არ თქვას, რომ ომი ნახა, ომში იყო. 13 თვესა და 13 დღეს ვიბრძოდით აფხაზეთში, ეს ცოტა დრო არ არის...**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, 1990-იან წლებში მებრძოლ ადამიანებს არ აფასებენ, 2008 წლის ომში ვინც იბრძოდა, ყველა თანამდებობაზეა, ყველას კარგი პირობები აქვს, ჩვენ არავის ვახსოვართ და, სამწუხაროდ, არც ის ომები ახსოვს ვინმეს.

**— ბევრს საუბრობენ იმაზე, ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი, ზოგი ამბობს, რომ საქართველომ დაიწყო, ზოგის აზრით — სააკაშვილმა, ზოგი ცდილობს, სააკაშვილი გამიჯნოს საქართველოსგან. წიგნი, სახელმძღვანელო, რომელშიც მხოლოდ აგვისტოს ომზეა საუბარი, ფიქრობთ, რომ სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს?**

— 2007 წელს ჩვენი რაზმები გადადიოდნენ ცხინვალში, აკონტროლებდნენ ყველაფერს, მაგრამ პირველი ვინ გაისროლა, არ ვიცი. ვიცი ის, რომ მე და ჩემი თანამებრძოლები, რომლებიც აფხაზეთსა და ცხინვალში ვიბრძოდით, როკის გვირაბთან რომ დავმდგარიყავით, შესაძლოა, ერთი ტანკიც არ გამოგვეტარებინა, ამიტომ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს ომი შეთანხმებული იყო სადღაც და ვიღაცასთან. 2008 წლის ომი მაიმუნობა იყო, მაპატიოს ყველამ ამ გამოთქმისთვის.

ერთ ამბავს მოგიყვებით: აგვისტოს ომში ჩემ გვერდით ერთი ბიჭი იყო, ძალიან კარგად აღჭურვილი, ჩაცმულ-დახურული... რაცია ჰქონდა, ვთხოვე, ჩემგან შორს არ წასულიყო, რადგან მინდოდა, რაციისთვის მესმინა და ვითარებაში გავრკვეულიყავი. **უცებ რაცია ჩაირთო და რუსი გენერალი ელაპარაკებოდა ერეკლე კოდუას: ვიცი, სად დგახართ, არ დაგბომბავთ. ორ წუთში თქვენს თავზე თვითმფრინავი გადმოიფრენს და არ ისვრისო. მართლაც ასე მოხდა, მაგრამ სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ისე ჩახტნენ ჯიპებში, ისეთი სიჩქარით მოსწყდნენ ადგილს, თვითმფრინავიც ვერ დაეწეოდა.** ჩვენ, მეომრები, დავრჩით, ფეხით დავიარეთ ყველა ადგილი, ავკრიბეთ იარაღი და დავაბრუნეთ თავის ადგილას, ყველა იარაღი თვლით და ნომრით ჩავაბარეთ. **2008 წლის ომი ფარსი იყო, გარიგება, ფულის გათეთრება, არ ვიცი, რა დავარქვა ყველაფერს, რაც მაშინ იქ ვნახე.** ასე რომ, ომი ვინ დაიწყო, ეს კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის, რა ომი იყო. თუ ამბობენ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე მტერი გადმოვიდა, უნდა დაეწყოთ ომი, აბა, რა უნდა ექნათ?! მაგრამ მაინც საეჭვოა ყველაფერი.



## «უცებ რაცია ჩაირთო და რუსი გენერალი ელაპარაკებოდა ერეკლე კოდუას: ვიცი, სად დგახართ, არ დაგბომბავთ. ორ წუთში თქვენს თავზე თვითმფრინავი გადმოიფრენს და არ ისვრისო, ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ისე ჩახტნენ ჯიპებში, ისეთი სიჩქარით მოსწყდნენ ადგილს, თვითმფრინავიც ვერ დაეწეოდა»

**ბავშვებს უნდა ასწავლონ არა 2008 წლის ომი ან როგორი ბოროტია რუსი, არამედ ომის დროს როგორ დაიცვან თავი, როგორ მოიქცნენ, თავი სად შეაფარონ, სამოქალაქო თავდაცვა ასწავლონ.**

შარშან მოსკოვში ვიყავი დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან ერთად, რომ შეიტყვეს, მეც ვეტარანი ვიყავი, აღფრთოვანდნენ, მტრულად არ შემოუხედავთ, ხომ მიხვდნენ, რომ 1990-იანი წლების ვეტარანი ვიყავი, მაგრამ დამოკიდებულება ჩემ მიმართ არ შეუცვლიათ. აქ კი, თბილისის აეროპორტში, მე კი არა, დიდი სამამულო ომის ვეტერან მოხუცებსაც უხეშად ექცეოდნენ, 95 წლის მოხუცებს კინაღამ თავზე გადაუარეს, რასაც რუსი არასოდეს იზამს, განსაკუთრებით მეომარის წინაშე. ახალგაზრდებმა იციან, რომ ზებრა გადასასვლელი მათი გზაა, ქვეითების, მაგრამ არ იციან, რომ ომის ვეტერანებს პატივი უნდა სცენ, ყველა ომის ვეტარანს და არა მხოლოდ 2008 წლის ომის.

**ბავშვებს უნდა ასწავლონ ქვეყნის ისტორია, ომის ვეტერანების პატივისცემა და არა სააკაშვილის, რომელმაც რამდენიმე დღეში დათმო ტერიტორიები...**

**ბავშვებს კაცობის მაგალითი მისცენ. რას აყურებინებენ, საზღვართან მდგარ შარვალჩახდილ მამაკაცებს? ასწავლონ, რომ ასე მოქცევა ქვეყნის სირცხვილია; ნეტავ რა უნდა ასწავლონ აგვისტოს ომზე? ის, რომ ყველა იმალებოდა? ქვეყნიდან როგორ გარბოდნენ? ფულს როგორ მალავდნენ?**

რუსებს ლანძღავენ, მაგრამ იმაზე არ ლაპარაკობენ, რამდენს ითმენს რუსი ჩვენგან, მაგალითად ისიც კმარა, რაც ამას წინათ საზღვარზე ჩაიდინეს, შარვალჩახდილები რომ იდგნენ და უკანალს უჩვენებდნენ.

ომის სწავლა წიგნით არ შეიძლება, ომის შედეგებს ისტორია განიხილავს, ომს კი თვითონ ომი გასწავლის.

ამ წიგნის სკოლაში შეტანა არ მომწონს, ვფიქრობ, ცუდი ჩანაფიქრი აქვთ და რაღაცას აპირებენ, ოღონდ ჯერ ვერ ვხვდები, რას... **თუკი რაიმეს სწავლება უნდათ ბავშვებისთვის, სკოლაში იაკობ გოგებაშვილი დააბრუნონ, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა არც იცის „დედა ენის“ ავტორი ვინ არის.**

როგორც ვეტერანი, სასტიკი წინააღმდეგი ვარ სკოლაში აგვისტოს ომის საკითხზე ბავშვებთან ლაპარაკის, მათთვის იმ ომის შესახებ რაიმე გაკვეთილის ჩატარების, რადგან თავშივე გითხარით, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენა არ იყო ომი. ახლანდელი პრეზიდენტი ვალდებულია, გმირთა მოედანზე ვეტერანებთან მოვიდეს და ქედი მოიხაროს, ჩვენ ამ თემაზე აუცილებლად დაველაპარაკებით, იმედია, ჩვენს აზრს გაითვალისწინებს ქვეყნის მთავარსარდალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო აქციებით გამოვხატავთ ჩვენს უკმაყოფილებას აღნიშნული წიგნის სკოლაში შეტანის გამო.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ნოუ-ჰაუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ინვესტის" მეშვეობით უპატრონოდ დარჩენილი უამრავი ქონება, რომელიც უსარგებლოა, გახდება სასარგებლო. „ინვესტით" გამოცოცხლდება მეორადი ბაზარი და აქტივებს დაეცემა ფასი. ეს გაგვიყვანს ეკონომიკური ზრდის ორნიშნა ციფრზე. ეს არის იაფი ფული და მოსახლეობის გამდიდრების გზა. „ინვესტი" ყველა მოქალაქეს მისცემს იმის საშუალებას, რომ საკუთარი ბიზნესოცნებები აისრულოს".**

# რა არის «ინვესტი» და რას მოუტანს ის საქართველოს მოსახლეობას

## რამაზ გერლიანი: «ინვესტით» შესაძლებელი იქნება აქციათა წილის ყიდვა, რომელიც თითოეული მოქალაქის მომავალს უზრუნველყოფს

**საქართველოს მოქალაქეებზე, შესაძლოა, ყოველთვიურად 1000 ერთეული სპეციალური საინვესტიციო ფული „ინვესტი" გაიცეს. ეს ინიციატივა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. საუბარია, 767 პირის მიერ წარდგენილ პეტიციაზე „საქართველოს ყოველი მოქალაქე ქვეყნის რეალურ მესაკუთრედ ვაქციოთ". მკითხველს დავპირდით, რომ ამ საკითხზე სპეციალისტების მოსაზრებებს შევთავაზებდით. გვესაუბრება აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ ავტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი რამაზ გერლიანი:**

— „ინვესტი" არის საპრივატიზაციო ნიშანი, საპრივატიზაციო ფული, საინვესტიციოდ გამოსაყენებელი, რომელიც ჩვენმა ჯგუფმა გამოიგონა, მისი ანალოგი არ არსებობს, ასე ვთქვათ, ნოუ-ჰაუა. სხვა ქვეყნებში ანალოგი არ არის, თუმცა პრივატიზების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, როდესაც გამოიყენება ვაუჩერული სისტემა. ასეთი სისტემა ჩვენ გვქონდა 1990-იან წლებში, რომელმაც არ გაამართლა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ქვეყანაში არ იყო წესრიგი და ვაუჩერიზაციის პროცესიც წესიერად არ მიმდინარეობდა. მოქალაქეებს თითო-თითო ერთეული ვაუჩერი დაურიგდათ და თანაც არ იცოდნენ, რაში გამოეყენებინათ. ზოგმა მართლაც კარგად გამოიყენა, მაგრამ დიდმა ნაწილმა გამოუსადეგარად ჩათვალა. მოგეხსენებათ, 1990-იან წლებში არ იყო შესაბამისი ცოდნა, არ იყო კომპიუტერული სისტემა და, საერთოდაც, იყო შემთხვევები, როდესაც სამ ადამიანს პასპორტის ერთი ნომერი ჰქონდა. მოკლედ, უამრავი მიზეზი იყო იმისა, რომ მაშინდელი ვაუჩერების ბედი კრახით დასრულებულიყო. 1990-იანებისგან განსხვავებით, ჩვენ მიერ შემუშავებულ პეტიციაში გაწერილია, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე, რომელსაც აქვს პირადობის მოწმობა და პირადი ნომერი, ყოვეთვიურად მიიღებს „ინვესტს". აღრიცხვა ისე მკაცრად იქნება გაწერილი, რომ გამორიცხულია, ვინმემ „ინვესტი" დაკარგოს ან წაართვან, ან შეისყიდონ მისი ნებართვის გარეშე.

„ინვესტებით" მოხდება სახელმწიფო ქონების შესყიდვა.

**— როგორ და რა ფორმით მიიღებს რიგითი მოქალაქე „ინვესტს"?**

**— საქართველოს ყველა მოქალაქეს ეკუთვნის 1000 „ინვესტი", რომელსაც ყოველთვიურად მიიღებს. ამ „ინვესტით" მათ შეეძლებათ შეისყიდონ ყველა ის ქონება, რომელიც იყიდება; იქნება ეს მიწა, საწარმო, კორპორაცია... ასევე შეუძლიათ აჩუქონ სხვას ან, უბრალოდ, შეინახონ იმ დრომდე, სანამ არ დააგროვებენ საკმარის რაოდენობას სასურველ საქმეში ჩასადებად. „ინვესტის" პატრონი შეზღუდული არ იქნება — თვითონ გადაწყვეტს, რა და სად დააბანდოს.**

**— მაგალითად მოვიყვან „რკინიგზას", რომელიც, შესაძლოა, გაიყიდოს. „ინვესტები" რომ ჰქონდეთ მოქალაქეებს, შეძლებენ რკინიგზის აქციების შესყიდვას, მეწილედ დარეგისტრირებას?**

— რა თქმა უნდა. ყველა მოქალაქეს, რომელსაც ექნება „ინვესტი", შეეძლება, შეისყიდოს „რგინიგზა", მაგრამ რამდენი იქნება იქიდან ერთი მოქალაქის წილი, არავინ იცის, რადგან შესაძლოა, ვიღაცამ 1000 „ინვესტი" შეიტანოს, ვიღაცამ გაცილებით მეტი. შეიძლება 1000 „ინვესტით" ერთ ადამიანს აქციათა პაკეტის 5% ერგოს, შესაძლოა — 0,3%. მოკლედ, ეს ადამიანის მოხერხებულობასა და გათვლაზე იქნება დამოკიდებული.

„ინვესტით" შესაძლებელი იქნება აქციათა წილის ყიდვა, რომელიც თითოეული მოქალაქის მომავალს უზრუნველყოფს. სწორედ ეს არის ამ პროექტის ძირითადი აზრიც. დავუშვათ, არის უპატრონოდ „დაგდებული" მიწა. ასეთ შემთხვევაში მოქალაქეები თვითონ გამოიჩენენ ინიციატივას მიწის შესყიდვისთვის, რა თქმა უნდა, „ინვესტებით", სახელმწიფო გამოიტანს აუქციონზე აღნიშნულ მიწას, რომელიც ლოტებით გაიყიდება და, ვისაც მეტი „ინვესტი" ექნება, მიწაც მას დარჩება.

**— ჩვენს ქვეყანაში სააქციო საზოგადოებებია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქციონერები ფულს ვერ იღებენ, საუბარია, ცოტა რაოდენობის აქციების მქონე მოქალაქეებზე...**

— კერძო საკუთრებას ჰყავს მსხვილი და წვრილი აქციონერები, მსხვილი მეტია და გაუგებრობებიც ამიტომ ხდება, ისინი ბაზარზე ღიად არ მოქმედებენ. განსხვავება „ინვესტსა" და კერძო საკუთრების აქციონერებს შორის ისაა, რომ „ივნესტის" მეპატრონეები ბევრნი იქნებიან და ვერც ერთი კომპანია ვერ გაბედავს, დაჩაგროს მოქალაქე. „სახალხო პრივატიზებით" პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ვინმეს დაჩაგვრა. **რაც მეტი იქნება „ინვესტის" მფლობელი, მით მეტი იქნება კომპანიაზე ზეწოლა.**

დანაშაულია, როდესაც კომპანია აქციონერს ფულს არ უხდის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად, საქართველოში აქციონერებს არ აქვთ ხმის უფლება, რადგან ცოტანი არიან. „ინვესტი" იქნება საყოველთაო და მას ვერ შეეხება ვერავინ. უცხოურ ბაზრებზე, საერთაშორისო ბირჟებზე არც კი ინტერესდებიან ისეთი ტიპის სააქციო საზოგადოებით, რომელსაც მრავალი მეპატრონე არ ჰყავს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ინვესტორები არ ჩამოდიან საქართველოში. მგონი, მხოლოდ ორი ბანკია, რომლის აქციებითაც ინტერესდებიან უცხოეთში.

განსხვავება „ინვესტის" მფლობელსა და აქციონერს შორის არის ის, რომ „ინვესტის" მფლობელი იქნება ასიათასობით ადამიანი და არა თითო-ოროლა, რომლებთანაც გარიგების დადება იქნება შესაძლებელი. „ინვესტის" მფლობელებთან გარიგებას ვერ დადებს ვერავინ, ვერავინ შეძლებს გამოისყიდოს „ინვესტი". იძულებით „ინვესტს" ვერავინ ვერავის დაათმობინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ინვესტის" ფასი აიწევს იმ დონემდე, რომ მის შესასყიდად ფული არავის ეყოფა. ბაზარზე როგორც კი გამოჩნდება, რომ ხალხი ამა თუ იმ კომპანიას ყიდულობს, ფასი გაიზრდება და გამოირიცხება მისი კაპიკებში ხელში ჩაგდება, ვერავინ „დაითრევს" ამა თუ იმ კომპანიას.

**— თქვით, რომ, ვისაც პირადი ნომერი აქვს, „ინვესტიც" ექნება, ვინ და რომელმა უწყებამ უნდა გადასცეს „ინვესტი" მოქალაქეებს?**

— „ინვესტის" გადაცემა მოხდება ავტომატურ რეჟიმში. ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ საფინანსო ინსტიტუტში ექნება მისი მიღების საშუალება. მაგალითად, თუ მიხვალთ ბანკში, თქვენს ანგარიშზე იქნება „ინვესტი", რომელსაც, რაშიც გინდათ, იმაში გამოიყენებთ; რასაც მოისურვებთ, იმის მეწილე გახდებით... გააჩნია, რამდენი „ინვესტის" მფობელი ხართ. შეგიძლიათ გაყიდოთ კიდეც.

**— რამდენად გაიყიდება „ინვესტი"?**

— რამდენად გაიყიდება „ინვესტი" ეს დამოკიდებული იქნება ბაზარზე. ვაუჩერების დროს ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ ვაუჩერს დაუწესეს ფასი — 30 დოლარი. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი იმხანად მზად იყო, 30 დოლარად დაეთმო ვაუჩერი, რამაც გამოიწვია ის, რომ ვაუჩერის ფასი კაპიკებამდე დაეცა.

„ინვესტის" ფასი თავისით უნდა დარეგულირდეს. შესაძლოა, თავდაპირველად 1000 „ინვესტის" ფასი იყოს 800 ლარი და შემდეგ აიწიოს, ან დაიკლოს. ეს პროცესი ბაზარს უნდა მივანდოთ, მოქალაქე არაფერს დაკარგავს.

თუკი ვინმე იაფად გაყიდის „ინვესტს" და ხვალ ნახავს, რომ სხვამ ძვირად გაყიდა ან სარფიანად დააბანდა, ანალოგიურ შეცდომას აღარ დაუშვებს და ფასიც შესაბამისად გაიზრდება. „ინვესტის" ფასი და ღირებულება დამოკიდებული იქნება მეპატრონეზე. პროექტში, რომელიც ჩვენ დავწერეთ, მკაცრად არის გაწერილი, რომ ყოველთვიურად ყველა მოქალაქე 1000 „ინვესტს" მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს „ინვესტის" ფასის გაზრდას. თუ „ინვესტის" პატრონი შეცდა, გამოასწორებს; თუ უნდა, დააგროვებს და დააბანდებს.

**„ინვესტს" მიიღებს ყველა — ახალშობილით დაწყებული, უხუცესი მოქალაქით დასრულებული. მეტიც, მოქალაქეობადაკარგული ქართველებიც მიიღებენ მას, ვგულისხმობთ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს.**

**— შესაძლებელი იქნება თუ არა „ინვესტის" შესყიდვა?**

— რა თქმა უნდა. და ეს ძალიან კარგი იქნება, თუკი ვინმეს ზედმეტი აღმოაჩნდება, ვიღაც შეისყიდის, მაგრამ ის, რომ სრულად შეისყიდოს ვინმემ, გამორიცხულია, რადგან „ინვესტი" ყოველთვე გაიცემა, რაც კარგი პრევენციაა. **ვგეგმავთ, რომ „ინვესტი" შევთავაზოთ აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრებთაც, მათ, ვისაც საქართველოს მოქალაქეებად მიაჩნიათ თავი. ისინიც მიიღებენ ამას ყოველთვიურად.**

**— პარლამენტს მოსწონს ეს კანონპროექტი, მოსახლეობა კი სკეპტიკურად აღიქვამს...**

— პროცესი მიმდინარეობს, პროექტი მოწონებულია, პირველ მოსმენაზე გავიდა, მერე დაიწყება ფორმირება, იურიდიულ ჩარჩოში ჩაჯდება, კანონის ფარგლებში მოექცევა. ჩვენ მივყვებით პროცედურებს...

**— თუ კანონად იქცა თქვენი პროექტი, მზად ხართ, დაიცვათ პროცესი, რომ შიდა დინებებმა „ინვესტის" ღირსება, ასე ვთქვათ, არ შელახოს?**

— პროცესის გაფუჭება უმნიშვნელო ფაქტორსაც კი შეუძლია, ზუსტად ისე, როგორც ვაუჩერის დროს მოხდა — ვიღაცამ ვაუჩერის ღირებულება განსაზღვრა... ჩვენი გუნდი მზად არის, კონტროლი გაუწიოს „ინვესტის" გაცემის პროცესს, მაგრამ, როდესაც კანონად იქცევა, ეს ყველაფერი მთავრობის ხელში გადავა და ჩვენ ვადევნებთ თვალყურს, მოსახლეობა უნდა ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას, რაც უმნიშვნელოვანესია ამ პროცესში. **კანონპროექტის კანონად დამტკიცების შემდეგ „ინვესტის" დარიგების პროცესამდე ექვსთვიანი სამუშაოებია ჩასატარებელი, მათ შორის, საინფორმაციო და ამის შემდეგ გაიცემა „ინვესტი".**

მოსახლეობა, ალბათ, პირველ რიგში, ფასით დაინტერესდება, მაგრამ, ვინც ფასს დაასახელებს, ის იქნება ან აფერისტი, ან დილეტანტი. ეს პროცესი საყურადღებოა და ჩვენ ამისთვის ვიქნებით მზად. **გლეხმაც კი არ იცის, თავისი მოყვანილი კარტოფილი რა ეღირება და „ინვესტს" ფასი ვინ და როგორ უნდა დაადოს? „ინვესტის" ფასი დამოკიდებული იქნება მოთხოვნა-მიწოდებაზე. „ინვესტი", კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იქნება ყოველთვიურად მიწოდებული მოქალაქეებზე. თუკი ვინმე ღვინოზე გადაცვლის „ინვესტს", ხვალ ინანებს და უფრო ყურადღებით იქნება, მაგრამ, თუ ასე არ მოხდა, მისი პრობლემაა და არა სახელმწიფოსი.**

**— რა სარგებლობა ექნება სახელმწიფოს?**

— სახელმწიფოს მიზანი თითოეული მოქალაქის გამდიდრებაა, „ინვესტი" ამის საშუალებას იძლევა. **„ინვესტის" მეშვეობით უპატრონოდ დარჩენილი უამრავი ქონება, რომელიც უსარგებლოა, გახდება სასარგებლო. „ინვესტით" გამოცოცხლდება მეორადი ბაზარი და აქტივებს დაეცემა ფასი. ეს გაგვიყვანს ეკონომიკური ზრდის ორნიშნა ციფრზე.**

ეს არის იაფი ფული და მოსახლეობის გამდიდრების გზა. „ინვესტი" ყველა მოქალაქეს მისცემს იმის საშუალებას, რომ საკუთარი ბიზნესოცნებები აისრულოს...

**P.S.** **ეს არის ინიციატივის ავტორის ხედვა. შემდეგ ნომრებში შევეცდებით შემოგთავაზოთ ექსპერტების კომენტარები.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



**«ვგეგმავთ, რომ «ინვესტი» შევთავაზოთ აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრებთაც, მათ, ვისაც საქართველოს მოქალაქეებად მიაჩნიათ თავი»**






პრეზიდენტობის პირველ წელიწადში მაკრონის რეიტინგი 40%-დან 30%-მდე შემცირდა, ხოლო ბოლოდროინდელი არეულობის პერიოდში, „იპოპ-ფიდუციალის“ მონაცემებით, 23%-მდე დაეცა. 2019 წლისათვის მაკრონი გაცილებით მტკივნეული რეფორმების გატარებას გეგმავდა — საპენსიო სისტემისა და საიმიგრაციო კანონმდებლობის, აგრეთვე, ევროკავშირის გარდაქმნის შესახებ რიგი ინიციატივების გასაჯაროებას, თუმცა კრიზისმა არა ამ ნაბიჯების, არამედ საწვავის ფასის მოსალოდნელი ზრდის გამო იფეთქა.

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რისთვის იბრძვიან «ყვითელი ჟილეტები»?

**8 დეკემბერს საფრანგეთს საპროტესტო აქციების მორიგმა ტალღამ გადაუარა. ქუჩაში 125 ათასი მოქალაქე გამოვიდა. ისევე, როგორც წინა კვირებში, შედეგი საკმაოდ მძიმე გამოდგა — პოლიციამ 1 723 მომიტინგე დააკავა, შეტაკებისას დაშავდა 264 ადამიანი, მათ შორის — 39 სამართალდამცველი. რას აპროტესტებენ „ყვითელი ჟილეტები“ და როგორ შეიძლება დასრულდეს მათი დაპირისპირება ხელისუფლებასთან?**

წინასაარჩევნო დაპირებებიდან გამომდინარე, **ემანუელ მაკრონს** რიგი რეფორმებისა უნდა გაეტარებინა. მისმა მთავრობამ დაიწყო შრომის ბაზრისა და შრომითი კანონმდებლობის ოპტიმიზაცია, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს პროფესიული განათლების სისტემის რადიკალური რეფორმირება და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება წარმოადგენდა. საზოგადოებამ ეს ცვლილებები მთლიანობაში პოზიტიურად შეაფასა, მით უმეტეს, რომ უმუშევრობა 8,9%-მდე შემცირდა.

შემდეგ ახალი პრეზიდენტი განათლების სისტემას მიადგა. მთავარი აქცენტი სოციალურად „რთული“ უბნების სკოლებზე გაკეთდა (კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება და სხვ.) — ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მაკრონის ოპონენტებსაც კი მოეწონათ.

შემდეგ დაიწყო საფრანგეთის რკინიგზის სახელმწიფო კორპორაციის რეფორმა. ის, რომ იტყვიან, „მომწიფდა“, რადგან რკინიგზის დავალიანება წლიდან წლამდე იზრდებოდა (ამჟამად ის 54 მილიარდ ევროს შეადგენს, მთავრობა თანახმაა, საკუთარ თავზე 32 მილიარდი აიღოს), ხოლო მომსახურების ხარისხი ეცემოდა. რეფორმა ითვალისწინებს კორპორაციის გადაქცევას სააქციო საზოგადოებად და რკინიგზაზე სხვა კომპანიის მუშაობის დაშვებას (რაც ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარეობს); ამასთანავე, რიგი შეღავათების გაუქმებას, რომლებიც ხელისუფლებას თავის დროზე რკინიგზელთა მძლავრმა პროფკავშირებმა გამოსძალეს. ამან, ცხადია, წინააღმდეგობა გამოიწვია. მარტში დაიწყო გაფიცვა — მონაწილეობა მასში რკინიგზელთა დაახლოებით მესამედმა მიიღო. რკინიგზის მუშაობა შეფერხდა, თუმცა მთავრობამ უკან არ დაიხია და პროფკავშირებთან მოლაპარაკების პარალელურად პარლამენტში მისთვის სასურველი კანონპროექტის დამტკიცებას მიაღწია. ივლისში გაფიცვა შეწყდა.

ჩამოთვლილმა რეფორმებმა ემანუელ მაკრონს პრობლემებიც მოუტანა. **პრეზიდენტობის პირველ წელიწადში მაკრონის რეიტინგი 40%-დან 30%-მდე შემცირდა, ხოლო ბოლოდროინდელი არეულობის პერიოდში, „იპოპ-ფიდუციალის“ მონაცემებით, 23%-მდე დაეცა. 2019 წლისათვის მაკრონი გაცილებით მტკივნეული რეფორმების გატარებას გეგმავდა — საპენსიო სისტემისა და საიმიგრაციო კანონმდებლობის, აგრეთვე, ევროკავშირის გარდაქმნის შესახებ რიგი ინიციატივების გასაჯაროებას, თუმცა კრიზისმა არა ამ ნაბიჯების, არამედ საწვავის ფასის მოსალოდნელი ზრდის გამო იფეთქა.**

საფრანგეთის მომხმარებელთა ასოციაციის მონაცემებით, ცვლილებების შემდეგ საშუალო ოჯახი საწვავზე თვეში 100 ევროს ნაცვლად 225 ევროს დახარჯავს. მთავრობას ახალი ეკოლოგიური მოსაკრებელი შემოაქვს, ფაქტობრივად, „გამონაბოლქვის გადასახადი“, რომელიც, მისი მტკიცებით, გარემოს დაცვას მოხმარდება. პრემიერმინისტრი **ედუარ ფილიპი** ირწმუნება, რომ ამ გადასახადის მიზანია „ისეთი სისტემის შექმნა, როდესაც საგადასახადო ტვირთი, რომელიც დღეს წარმოებისა და შრომის სფეროს აწევს, ნავთობს დააწვება“. მაკრონის ოპონენტები მიიჩნევენ, რომ დამატებით მიღებული 37 მილიარდი ევროდან ეკოლოგიის დაცვას მხოლოდ 7,2 მილიარდი მოხმარდება, ხოლო დანარჩენი — საბიუჯეტო დეფიციტის შევსებას. ზოგიერთი შეფასებით, ამ ცვლილებების შემდეგ, სანავთობო გიგანტის „ტოტალის“ წლიური შემოსავალი 8,6 მილიარდი ევროდან 14-15 მილიარდ ევრომდე გაიზრდება. ეს ძალიან აღიზიანებს იმ ადამიანებს, რომლებიც მაკრონსა და მის მთავრობას მსხვილი კაპიტალის ინტერესების დამცველებად თვლიან.

**„ყვითელი ჟილეტების“ შესახებ, რომლებიც დღეს საფრანგეთს აზანზარებენ, სულ რაღაც ერთი თვის წინათ არავის არაფერი სმენოდა, პირველად ეს სახელი 17 ნოემბრის აქციის შემდეგ გავრცელდა. მასში მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 300 ათასმა მოქალაქემ მიიღო (იმ დღეს ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასობით დაშავდა). მიჩნეულია, რომ ეს მოძრაობა „თავისით“ გაჩნდა და სრულიად სპონტანურ ხასიათს ატარებს, რომ მას არ ჰყავს ლიდერები, ფარული სპონსორები და ა.შ. თუმცა დამკვირვებლები გაკვირვებულნი არიან იმ ორგანიზებულობით, რომელსაც „ყვითელი ჟილეტები“ ავლენენ. მაგალითად, რადიკალი მემარჯვენეები და მემარცხენეები, რომლებიც ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანენ, აქციების დროს სხვადასხვა ფუნქციას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ასრულებენ**, როგორც კარგად აწყობილი მექანიზმის ორი დეტალი, ისევე, როგორც „ამრევები“ პრობლემური უბნებიდან და სავსებით კანონმორჩილი მოქალაქეები. ბევრს უჭირს იმის დაჯერება, რომ ეს რთული, საათივით აწყობილი სისტემა „თავისით“ ჩამოყალიბდა და ისეთი მძლავრი გამოდგა, რომ მის შესაკავებლად საჭირო შეიქნა ათიათასობით სამართალდამცველისა და ჯავშანტექნიკის მობილიზება. მოძრაობის აქტივისტები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პოლიტიკოსებთან კავშირი არ აქვთ. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი ლიდერებისა მათ მხარდაჭერას უცხადებს და აქციებშიც კი მონაწილეობს, როგორც, მაგალითად, რადიკალი მემარცხენე **ჟან-ლუკ მელანშონი.** მის გარდა ღია სიმპათიას „ყვითელი ჟილეტების“ მიმართ გამოხატავენ **მარინ ლე პენი** და **ლორან ვოკიე** მემარჯვენეთა ფლანგიდან, ცენტრისტი ჟან ლასალი, მემარცხენე ოლივიე ბეზანსნო და სხვები.





აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს** საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებზე ძალიან უცნაური რეაქცია ჰქონდა. მან „ტვიტერში“ დაწერა: **„მთელი საფრანგეთის მასშტაბით ადგილი აქვს პროტესტსა და შეტაკებას. ხალხს არ უნდა დიდი ფულის გადახდა, ძირითადად, მესამე მსოფლიოს ქვეყნებისთვის, იმისთვის, რაც თითქოს გარემოს დაცვას ემსახურება. ხალხი გაიძახის: „ჩვენ გვინდა ტრამპი!“. მიყვარს საფრანგეთი“. ამის შემდეგ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა ტრამპს ურჩია, ქვეყნის შიდა საქმეებში არ ჩაერიოს. მან განცხადება ასე დაასრულა: „დაანებეთ ჩვენს ხალხს თავი!“.**

რატომ მაინცდამაინც ყვითელი ჟილეტი? საქმე ისაა, რომ 2008 წლიდან მძღოლები ვალდებულნი არიან, მანქანაში მალალი გარჩევის ჟილეტი იქონიონ. ის, ერთი მხრივ, პირდაპირ კავშირშია ავტომობილთან (რომელიც, თავის, მხრივ, პირდაპირ კავშირშია საწვავის გაძვირებასთან) და იდენტიფიკაციის იაფ და ხელმისაწვდომ საშუალებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ყვითელი ჟილეტები უკვე გამოჩნდა საპროტესტო აქციებზე საფრანგეთის მეზობელ ქვეყნებში — ბელგიაში, ნიდერლანდებსა და იტალიაში და ეს, ალბათ, მხოლოდ დასაწყისია.

არეულობის მასშტაბიდან გამომდინარე, ზოგიერთი ექსპერტი 1968 წლის მოვლენებსაც კი იხსენებს, თუმცა, ალბათ, უფრო მართებულია პარალელების გავლება 1995 წელთან. მაშინ **ალენ ჟიუპეს** მთავრობა საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის წინადადებით გამოვიდა და პროფკავშირებმა მოსახლეობას გაფიცვისკენ მოუწოდეს — საპროტესტო აქციებში მონაწილეობა ასიათასობით ადამიანმა მიიღო. ამან ქვეყნის ფაქტობრივი პარალიზება გამოიწვია, მთავრობა იძულებული შეიქნა, უკან დაეხია, ხოლო პრეზიდენტმა **შირაკმა** ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. ის სოციალისტებმა მოიგეს და, შესაბამისად, ჟიუპე გადადგა.

დათმობებზე წასვლა მოქმედ ხელისუფლებასაც მოუწია. 4 დეკემბერს პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ გადასახადის გაზრდაზე ნახევარწლიანი მორატორიუმი დაწესდება. მომდევნო დღეს ედუარ ფილიპმა თქვა, რომ შესაბამის შემოსავლებს 2019 წლის ბიუჯეტის გეგმაში საერთოდ არ შეიტანენ. „ვერანაირი გადასახადი ვერ გაამართლებს ერის ერთიანობის ეჭვქვეშ დაყენებას“, — აღნიშნა საფრანგეთის პრემიერმა, თუმცა ამ გამოსვლას 8 დეკემბრის აქციის გაუქმება არ მოჰყოლია. შესაძლოა იმიტომ, რომ მის მონაწილეებს უფრო მყარი გარანტიების მიღება სურთ ან იმიტომ, რომ საწვავის პრობლემას მიება სხვა საკითხები (მაგალითად, საგადასახადო რეფორმის), ან იმიტომ, რომ გარკვეულმა ძალებმა გამწვავებაში მაკრონის დასუსტების რესურსი დაინახეს და ხელს უწყობენ აქციების გაგრძელებას. ასეა თუ ისე, კრიზისი გრძელდება და შეიძლება კიდევ უფრო დიდი არეულობა მოიტანოს.

საფრანგეთს ისტორიულად დინამიკური, რეფორმების მიმართ დადებითად განწყობილი ქვეყნის იმიჯი ჰქონდა, თუმცა 1995 წლიდან პოლიტოლოგები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ფრანგი საზოგადოება ინერტული გახდა, ნებისმიერ თამამ რეფორმას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს და ამის გამო საფრანგეთი უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე ევროკავშირის სხვა ქვეყნები. აშკარაა, რომ ფრანგებს არ სურთ იმ სოციალური შეღავათების გაუქმება, რომლებიც გასულ ათწლეულებში პროფკავშირებისა და მემარცხენე პარტიების ბრძოლის შედეგად მიიღეს, მაგრამ, ამასთანავე, არ მოსწონთ, რომ ბიზნესი ნელა ვითარდება. ფრანგ მეწარმეს ახალი სამუშაო ადგილის შექმნა გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე მის კოლეგებს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, რადგან, შრომითი კანონმდებლობიდან გამომდინარე, დასაქმებულს სხვადასხვა სახის გარანტიები უნდა შეუქმნას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საწვავის ფასი მხოლოდ ერთი, ცალკე აღებული პრობლემაა, რომელმაც მიტინგებისთვის საბაბი შექმნა. **საბოლოო ჯამში, მაკრონი ცდილობს გააუქმოს სოციალური სახელმწიფო, რიგით მშრომელებს გაუუქმოს ან გაუუარესოს სოციალური პირობები და პროტესტების მთავარი მიზეზიც სწორედ ეს არის. არსებითად, „ყვითელი ჟილეტები“ აპროტესტებენ არა ახალ გადასახადს, არამედ მაკრონის პოლიტიკას მთლიანად, შესაბამისად, სიტუაციის შემდგომი გართულების ალბათობა საკმაოდ მაღალია.**

საფრანგეთს არ ჰყოლია თავისი **ტეტჩერი** და **რეიგანი**, რომლებიც შეამცირებდნენ სოციალურ გარანტიებს, გადასახადებსა და სახელმწიფოს ჩარევას ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ანგლოსაქსური მოდელისგან განსხვავებით, ფრანგულ სახელმწიფოს ყოველთვის ახასიათებდა პასუხისმგებლობის ფართო სპექტრი და განსაკუთრებული ყურადღება სოციალური გარანტიების, სხვადასხვა სახის დოტაციების მიმართ. თუ ემანუელ მაკრონს სურს, ეს ტრადიციული როლი შეცვალოს, უფრო ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდება.

**ლუკა ნემსაძე**

**საბოლოო ჯამში, მაკრონი ცდილობს გააუქმოს სოციალური სახელმწიფო, რიგით მშრომელებს გაუუქმოს ან გაუუარესოს სოციალური პირობები და პროტესტების მთავარი მიზეზიც სწორედ ეს არის. არსებითად, «ყვითელი ჟილეტები» აპროტესტებენ არა ახალ გადასახადს, არამედ მაკრონის პოლიტიკას მთლიანად, შესაბამისად, სიტუაციის შემდგომი გართულების ალბათობა საკმაოდ მაღალია**

გრიგოლ ოniანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქრისტეს, მუჰამედის, ბუდას წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა მიმართულია ერთი მიზნისკენ — შექმნან პლანეტის ღმერთი, რომელიც მასონთა ლოჟის ერთ-ერთი წევრი იქნება და მათ ნებას დაემორჩილება. დანაშაულებრივი ორგანიზაციების შექმნა საშუალებაა, რომელიც რყვნის საზოგადოებას და არ ტოვებს ცარიელ ადგილს ადამიანური აზროვნებისთვის, სწორედ ეს არის ძირითადი ბერკეტი, რომლითაც ამუხრუჭებენ კაცობრიობას, სტალინსა და სტალინურ მოძღვრებას.**

**მკითხველის წინაშე გულახდილი რომ ვიყო, ვიტყვი: არ მინდოდა, სტალინის სახელთან მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკის კატაკლიზმების დაკავშირება, მაგრამ მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა ჩემზე პირდაპირი შეტევა განახორციელა, რათა ბოლომდე მიმეყვანა დაწყებული საქმე და თემა დამემთავრებინა, ამიტომ გადავწყვიტე, ფურცლებზე გადამეტანა ყველას დარდი და ტკივილი, რომლებიც თითოეულმა ჩვენგანმა იცის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო უთქმელი რჩება.**

# სტალინი — შტრიხები პორტრეტისთვის




**სტალინი თავისი მმართველობის ხანაში მთელი არსებით იბრძოდა ხალხთა მასების განათლებისთვის, იბრძოდა სახელმწიფო პროგრამით, იბრძოდა მორალურად გამძლე საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, ვინაიდან თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მოტრფიალედ მრავალმხრივ განათლებულ და ზნეობრივად მტკიცე ადამიანებსა და ხალხს მიიჩნევდა**

მაშინ, როდესაც პლანეტის დიდი სახელმწიფოები თითქოს ერთ მუშტად იკვრებიან, დიდი შვიდეულიდან დიდ ოცეულამდე ერთიანდებიან და კიდევ, ვინ იცის, რამდენი დაემატებათ, განა არ შეუძლიათ ყველა იმ სიმახინჯისა და ბოროტების აღკვეთა, რომლებიც აწუხებს დედამიწის მოსახლეობას? რა თქმა უნდა, შეუძლიათ და ეს შეუძლიათ თავისუფლად. **რატომ ებრძვიან სტალინს და რატომ კრძალავენ კომუნისტურ სიმბოლიკას? თუნდაც ჩაქუჩსა და ნამგალს?** — მხოლოდ იმიტომ, რომ არ დამეგობრდნენ მუშა და გლეხი. ნუ გგონიათ, რომ ვინმეს ხალხთა მეგობრობა და ხალხში ერთი აზრისა და მიზნის გაჩენა აწუხებს. გახსოვთ, ალბათ, ბაბილონის გოდოლის ამბავი, რომელიც თითქმის ცის კიდემდე იყო აგებული. **მისი მშენებლობა მაშინ შეწყდა, როცა მშენებელთა შორის ერთი ენა, ერთი განწყობა და ერთი მიზანი მოიშალა.** კაპიტალისტური სისტემა, რომელიც მხოლოდ კერძო საკუთრებასა და კერძო კაპიტალზე დგას, არ შეიძლება ერთობის მომხრე იყოს, რომლის გაჩენაც მყისვე დაამხობს ერთეულების მიერ ხალხის მართვის უმარტივეს მექანიზმს. ნარკომაფიისა და ტერორისტული ჯგუფების მომრავლება-გაძლიერება ერთი მუჭა კაპიტალისტებისა და მათი მმართველი ძალის (მასონთა) ერთობლივი „ბრძნული" გადაწყვეტილებაა — გაიხანგრძლივონ თავიანთი ერთმმართველობა პლანეტაზე.

**ქრისტეს, მუჰამედის, ბუდას წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა მიმართულია ერთი მიზნისკენ — შექმნან პლანეტის ღმერთი, რომელიც მასონთა ლოჟის ერთ-ერთი წევრი იქნება და მათ ნებას დაემორჩილება. დანაშაულებრივი ორგანიზაციების შექმნა საშუალებაა, რომელიც რყვნის საზოგადოებას და არ ტოვებს ცარიელ ადგილს ადამიანური აზროვნებისთვის, სწორედ ეს არის ძირითადი ბერკეტი, რომლითაც ამუხრუჭებენ კაცობრიობას, სტალინსა და სტალინურ მოძღვრებას.**

შეძლებს კი ერთი მუჭა კაპიტალისტებისა და მასონთა ერთობა, ყოველთვის მონობაში იყოლიონ მილიარდობით ადამიანი? შეუძლებელია.

იაპონიაში კომერციული საქმიანობის მოუგვარებლობით გამოწვეული ნერვული სტრესით ყოველწლიურად ათიათასობით წვრილი ბურჟუა იღუპება, მიუხედავად ამ ტრაგედიისა და მათი მესაკუთრული ტენდენციებისა, ქვეყნის ეკონომიკურ დასაყრდენს მაინც ეს დასაღუპავად განწირული ხალხის ფენა წარმოადგენს. განა იაპონიაში წასვლა გვჭირდება მაგალითების მოსაყვანად? როდესაც აქ, თბილისში, ვაკის რაიონში, ერთ-ერთი სახელოვანი ოჯახი თავისი კულტურითა და განათლებით წვრილ ბურჟუათა ნაკადში გაეხვია, სახლიდან ყველაფერი რომ გაყიდა ვალების დასაფარავად, ბოლოს აღმასრულებელმა სახლის დაცლა რომ დაიწყო, რათა სახლი გაეყიდათ. და ქვრივ დიასახლისს უკანასკნელი ვენური სკამი ოჯახიდან გაჰქონდა, შუა ოთახში სკამზე ჩამოჯდა და... სულიც განუტევა. ეს ადამიანი არ იყო ავადმყოფობის მსხვერპლი ან უბედური შემთხვევით გარდაცვლილი, ეს იმ სათაგურში მოჰყვა, რომლის გამართვაშიც თვითონ მონაწილეობდა.

არსებული წეს-წყობილების შეცვლა ეროვნული მენტალიტეტის გადასხვაფერება, პატრიოტული გრძნობების მასხრად აგდება და სამშობლო — ჩვენი საფიცარი სიწმინდე — სიბილწით შეიცვალა. ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი და გათვლილი ქმედებებია, რომლებიც ოკენის გაღმა დაიგეგმა და რომელსაც მოჰყვა უამრავი ცრუ ეროვნული, ცრუ პატრიოტული, ცრუ რელიგიური სექტების, პარტიებისა და ვითომდა ეროვნული გვარდიების შექმნა, მათ ჩამოაყალიბეს ცრუ იდეოლოგიაზე აღმოცენებული ფუყე სახელმწიფო, სხვაზე დამოკიდებელი, დამონებული, გაღარიბებული, გარყვნილი და უძლური ადამიანების ერთობა.

**ჰიტლერი** თავის წიგნში „ჩემი ბრძოლა" წერდა: რამდენი სუსტიც უნდა გაერთიანდეს, ის ძლიერ ძალად ვერასოდეს იქცევა". გათითოკაცებული, თავმოყვარეობადაკარგული მამაკაცები, რომლებიც სოფლისა და ქალაქის ბირჟებზე არიან ჩამომჯდარნი და საშოვარზე გასული ქალების უძველესი პროფესიით ნაშოვნ ფულს ელოდებიან, რომ საღამოს ან თვის ბოლოს ასი გრამი არაყი გადაკრან. ასეთი ხალხი დამოუკიდებელი ვერასოდეს იქნება და დამოუკიდებელ ქვეყანას ვერ ააშენებს.

**რამ შექმნა ასეთი კატასტროფა, როდესაც ჩვენი ქობულეთელი მეჩაიე თუ მეციტრუსე ოჯახი ორჯერ უფრო კარგად ცხოვრობდა, ვიდრე თურქეთში ვილაიეთის მფლობელი თურქი მოხელე?**

ქობულეთი, მახარაძე (ოზურგეთი), ზუგდიდი — ეს ხომ დასავლეთ საქართველოს ოქროს კუნძულები იყო, სადაც ცხოვრების დონე ნებისმიერი ქვეყნის საშუალო ფენის ცხოვრების დონეს ორჯერ მაინც აღემატებოდა. უნდა დავიმოწმო ჩემგან ხშირად ნახსენები უცნობი ავტორი **იმანო მეიმე**, რომელიც წერს:

„ამჯერად, განვმარტოთ, რატომ არ არის სტალინიზმი, იგივე სოციალიზმი „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ხალხების ინტერესებში. მართებული იქნება, ეს საკითხი რევოლუციამდელ რუსეთში მოსახლე ებრაელების მაგალითზე განვიხილოთ. თუმცა არც იმით შეიცვლება არაფერი, თუ, მაგალითად, ამ საკითხს ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლე ებრაელების მაგალითზე განვიხილავთ დღეის მდგომარეობით. მოკლედ, ქვეყანაში არსებული ტრადიციული სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ უსამართლობას, 95-99%-ით ებრაელის ინტერესების მქონეა, ხოლო სოციალური უსამართლობის დამამკვიდრებელი სახელმწიფო არ არის მხოლოდ 1-5% „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელებისა. ზედმეტად კი მიმაჩნია, მაგრამ მაინც განვმარტავ: 95% „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელებისა სოციალური უსამართლობის დამამკვიდრებელი სახელმწიფოების წყალობით უდავოდ მაღალ სოციალურ და, მე ვიტყოდი, პრივილეგიურ მდგომარეობაშიც კი იმყოფება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ შედარებით დაჩაგრული 1-5% „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელებისა წინააღმდეგია იმ სახელმწიფოსი, რომელიც ამკვიდრებს სოციალურ უსამართლობას? ნურას უკაცრავად, განსაკუთრებული აღზრდის გამო, საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს ამ 1-5% ებრაელებისა არამც და არამც არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების მოწინააღმდეგე. ამ მცირე ექსკურსის შედეგად, ალბათ, ბევრი მიხვდით, რომ ქვეყნებში, სადაც დამკვიდრებულია სოციალური უსამართლობის პრინციპები, „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ებრაელების იდეოლოგია ემთხვევა მკვიდრი ერის გაბატონებული ნაწილის იდეოლოგიას, მათი ფსიქიკური წყობაც, ეროვნული საკითხების გარდა, თითქმის ერთი და იგივეა.

**ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორი დამოკიდებულებაა დღეს მსოფლიოში სტალინიზმის, გნებავთ, სოციალიზმის იდეალების მიმართ? ვიტყოდი, ძალზე სავალალოა, რომ სოციალიზმის იდეალები ისევ და ისევ არის კაცობრიობის უმრავლესობის ინტერესებში, მაგრამ ეს იდეალები უკვე აღარ არის კაცობრიობის უმცირესი ნაწილის ნებაც კი.**

ასეთი ალოგიკური ვითარების არსი მდგომარეობს იმაში, რომ კაცობრიობა მოტყუებულია, ვფიქრობ, გადაგვარებულიც და სამყაროში აღარ არსებობს რეალური ძალა, რომელიც შეძლებდა ხალხთა მასების გამოფხიზლებას, განათლებასა და გადარწმუნებას. დღეს ეს უძნელესი ამოცანაა, რადგან გვაქვს „სოციალისტური ექსპერიმენტით" დანგრეულ-განადგურებული საბჭოთა კავშირი, კაპიტალიზმისკენ შებრუნებული ჩინეთი და სხვ. გვაქვს სოციალისტური იდეალებისადმი რწმენადაკარგული კაცობრიობა, კერძო საკუთრების მონოპოლიის გამარჯვება და, აბა, ვინლა მიაქცევს ყურადღებას იმას, რა ხერხებითა და საშუალებებით იქნა მიღწეული ეს მართლაც უსახელო გამარჯვება. დღეს დედამიწაზე უამრავია წვრილი მესაკუთრე, ვაჭარი, მეწარმე. ისინი მეწვრილმანეები არიან, მაგრამ მათი ფსიქიკა სრულფასოვანი ბურჟუაზიული ფსიქიკაა. როგორც აღვნიშნე, ბურჟუის მენტალიტეტი სოციალური სამართლიანობის საკითხებში მთლიანად ემთხვევა „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლეთა მენტალიტეტს, არამკვიდრი ერების ფსიქიკურ წყობას. სწორედ ბურჟუაზიული ფსიქიკის გადანერგვა დაიწყო საბჭოთა ხალხში **გორბაჩოვმა** თავისი გარდაქმნებით, როდესაც ქვეყანაში შექმნა უამრავი კოოპერატივი. როგორც გახსოვთ, ამ კოოპერატივებს მნიშვნელოვანი უპირატესობები მიენიჭა სახელმწიფო საწარმოებთან თუ დაწესებულებებთან შედარებით საფინანსო ოპერაციებში და მალე სახელმწიფო სექტორის ფინანსებმა კოოპერატივის ანგარიშზე გადაინაცვლა. ამ თავისი თუ სხვისი ავი ქმედებით გორბაჩოვმა შექმნა ბურჟუაზიის ფსიქიკის მქონე ადამიანები, რომლებიც შემდგომ გამოყენებულ იქნა სოციალური სამართლიანობის იდეალების წინააღმდეგ.

ამ დროისთვის „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლე ხალხების მიერ არამკვიდრთა იდეოლოგიით, აგიტაცია-პროპაგანდით განადგურდა მკვიდრი ერების ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა. განმეორებით აღვნიშნავ: ბურჟუის ფსიქიკა, „მშობლიურ უცხოეთში" მოსახლეთა გაბატონებული იდეოლოგიის წყალობით, ემთხვევა არამკვიდრი ერების ფსიქიკას და ისინი სოციალური უსამართლობის, ანტიეროვნული სახელმწიფოს დასაყრდენ ფენას წარმოადგენენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **დღეს მსოფლიოში ორი უმთავრესი პროცესი მიმდინარეობს: წვრილი ბურჟუაზიის რაოდენობის გაზრდა და მიგრაციული პროცესების მეშვეობით ამა თუ იმ ქვეყანაში მკვიდრ და არამკვიდრ მოსახლეობას შორის რიცხოვნული თანაფარდობის შეცვლა არამკვიდრთა სასარგებლოდ. ეს დღევანდელი ანტიპატრიოტული, ანტიეროვნული სახელმწიფოების უმთავრესი პოლიტიკაა.**

საქართველოში სოციალიზმის რღვევა, ეროვნული მენტალიტეტის შეცვლა მოხდა ათასი უზნეობისა და უსამართლობის პროპაგანდის პრესის ქვეშ. სოციალისტური იდეალების პატივისცემის, ეროვნული თვითშეგნებისა და, საერთოდ, **პატრიოტიზმის განელების მიზნით შექმნეს ე. წ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები და მიუსიეს ისინი თავგზააბნეულ ქართველ ერს. მერწმუნეთ, უცნაური ამბავი ხდებოდა საქართველოში: ხალხი არათუ ყოველწლიურად და ყოველთვიურად, არამედ ყოველდიურად იცვლებოდა. დღეს ერთ პოზიციაზე იდგა, ხვალ — მეორეზე, მოკლედ, ერთობ ძნელი შესაცნობი შეიქნა ერი. არც გაემტყუნება, ის ხომ უზნეობის წნეხის ქვეშ მოიყოლეს.**

ე.წ. ეროვნულ-დემოკრატულმა თუ დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიებმა, რომლებსაც ბატონები ქვეყნის გარეთ, კერძო კაპიტალის სამყაროში ჰყავდათ, წარმოუდგენლად უზნეო საქმეები გააკეთეს. ამ არამზადებისაგან შეკოწიწებული პარტიების მეშვეობით საქართველოში სოციალური უსამართლობის იმპორტის მამამთავრებმა მალე ქართველ კაცს თავისი ერი შეაზიზღეს. პარტიების წამოწყებული თავისი ერის შეზიზღების საქმე, მალე ე.წ. ეროვნულმა პარლამენტებმა განაგრძეს, პარლამენტებმა, რომლებიც უზნეობის ტონის მიმცემი შეიქნა ქვეყანაში. მარ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში პატრიოტული გრძნობების განელების თანამიმდევრულად ქართველ ერს თავს მოახვიეს „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლეთა იდეოლოგია. სწორედ ამ იდეოლოგიის ზეწოლის ქვეშ მოხდა ქართველთა გონებაში უცხო ტვინების გადმონერგვა, ე.ი., მოხდა ჩვენი ფსიქიკის შეცვლა. ამ უბედურების საწყის დროის მონაკვეთში, როდესაც მოხდა ნაციონალიზებული საკუთრების მონოპოლიის კერძო საკუთრების მონოპოლიით შეცვლა, ახალი ქართველები ახალი წარმოდგენებით ურცხვად ამტკიცებდნენ, რომ ფასიანი სწავლება და სხვა მომსახურება უკეთესია უფასოზე. ამასთანავე, რაზეც უნდა ჩამოეგდოთ სიტყვა, ყველა საკითხს თუ ამბავს აუცილებლად მოაყოლებდნენ ქართველი ერის ლანძღვა-გინებას და საკმაოდ მოკლე დროში მშობელი ხალხის ცნობა მართლაც შეუძლებელი შეიქნა.**

**პატრიოტიზმის განელების მიზნით, შექმნეს ე. წ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები და მიუსიეს ისინი თავგზააბნეულ ქართველ ერს. მერწმუნეთ, უცნაური ამბავი ხდებოდა საქართველოში, ხალხი არათუ ყოველწლიურად და ყოველთვიურად, არამედ ყოველდღიურად იცვლებოდა. დღეს ერთ პოზიციაზე იდგა, ხვალ — მეორეზე, მოკლედ, ერთობ ძნელი შესაცნობი შეიქნა ერი. არც გაემტყუნება, ის ხომ უზნეობის წნეხის ქვეშ მოიყოლეს**



◀ თალია, პირველი განდევნეს, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. მომდევნო პარლამენტს უკეთესობის საშუალება არ მისცეს და... პატრიოტებს სიცოცხლის უსაშინლესი დღეები დაგვიდგა, სამარცხვინო და გამანადგურებელი. **მაშინ, როცა საქართველოს გახლეჩვის საკითხი წყდებოდა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, საქართველოს პარლამენტი მისთვის ვერასდროს იცლიდა და გულისამრევად ურცხვად გაურბოდა ომის თემაზე ათასში ერთხელ წამოჭრილ საკითხებს. არც ეცალა, რადგან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში წყვეტდნენ თავისიანების თბილ ადგილებზე დანიშვნის საკითხებს;** სერიოზულად დავობდნენ არაფრის მაქნის დოკუმენტებში წერტილ-მძიმეების დასმის გამო. როგორც ამბობდნენ, მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება მათკენ იყო მიპყრობილი. შეიძლება ეს მართლაც ასე იყო — ისინი ხომ ქვეყანაში „სოციალური უსამართლობის“ დამფუძნებელ კანონმდებლობას ქმნიდნენ. ეტყობა, კარგად იცოდნენ, რა საშინელებასაც სჩადიოდნენ და ყურადღების გადასატანად ერთმანეთთან ურთიერთობაში ისეთ უზნეო ატმოსფეროს ქმნიდნენ, რომ ხალხი პარლამენტართა არამზადობით უფრო იყო აღშფოთებული, ვიდრე თანასწორობის თუ სოციალური სამართლიანობის იდეალების დაკარგვით.

ეს უფრო ერის სიძულვილი იყო, ვიდრე უბრალო თავის მართლება... დეპუტატები მართლაც რომ ზიზღს ანთხევდნენ. თავად განსაჯეთ მათი სიტყვები, შეგახსენებთ: საქართველოს პარლამენტი ზუსტად ის არის, — ამბობდნენ ისინი, რაც, — თავად ქართველი ერი.

მაინც, **რას არ მოვესწარით ქვეყანაში სოციალური უსამართლობის დამკვიდრების პერიოდში... საშინელ სანახაობას ხომ თვლა არ ჰქონდა და უნდა ვიფიქროთ, რომ დამკვეთთა მიზანი მიღწეულ იქნა... ქართველებს, უმეტეს ნაწილს მაინც, საბოლოოდ გაუნადგურდათ ეროვნული სიამაყისა და ღირსების განცდა, თავმოყვარეობაც დავკარგეთ.**

საქართველოს ტელევიზია ქართულ ენაზე ქართველ ახალგაზრდებს საოცარი სიმსუბუქით და არხეინობით ერთდროულად მოუწოდებდა საქართველოს მთლიანობისთვის აფხაზებისა და ოსების წინააღმდეგ საბრძოლველად და, ამასთანავე, სავაჭროდ ტურისტული ჯგუფების შესაქმნელად. ტელევიზია ერთიმეორის მიყოლებით გვაწვდიდა სარეკლამო ცნობებს და ცნობებს ომში დაღუპულთა შესახებ. მარიონეტ, მოღალატე პოლიტიკოსთა მეშვეობით ქართველი ერი გაიყო სამ ნაწილად: მისი საუკეთესო პატრიოტული ნაწილი, მეტწილად ახალგაზრდები, განწირული საზარბაზნე ხორცად; მისი უმრავლესობა, განწირული სილატაკისათვის და მისი უმცირესობა, გაფაციცებული ფულის მოსახვეჭად.

უარესი თურმე წინ გვქონდა... ჩემი აზრით, ეს არის ახალი ქართველების ახლებური აზროვნება, როცა ქართველმა პოლიტიკოსებმა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში წარმოებული ომები გადაჭრით მიიჩნიეს ფულის მოსახვეჭ სტრატეგიად... ომი, ხალხის ჟლეტა ბიზნესმენების გასამდიდრებლად. ჩემთვის ეს ახალი ამბავი არ ყოფილა, რადგან ვიცოდი, რომ კერძო კაპიტალის სამყაროში წარმოებულ ომებს ბიზნესგეგმაც მართავს და ეს სოციალური უსამართლობის სამყაროს სტრატეგიაა. მე, უბრალოდ, ამის მოსმენა იმ ხალხისგან გამიკვირდა, რომელიც სტალინიზმს უაზრო ექსპერიმენტად მიიჩნევს, ხოლო თვითონ სტალინს — სასტიკ პიროვნებად. მართლა არ მესმის, როგორ შეიძლება სისასტიკე გაემტყუნოს პიროვნებას, თუ იგი შეეცდება, ქვეყანას, კაცობრიობას აცდინოს ის წარმოუდგენელი საშინელებები, რომლებიც საქართველოში სოციალური უსამართლობის დამკვიდრებას მოჰყვა და მოჰყვება.

თავზარდამცემი იყო ის, რომ:

**საქართველოში პატრიოტული გრძნობების განელების თანამიმდევრულად ქართველ ერს თავს მოახვიეს „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლეთა იდეოლოგია. სწორედ ამ იდეოლოგიის ზეწოლის ქვეშ მოხდა ქართველთა გონებაში უცხო ტვინების გადმონერგვა, ე.ი., მოხდა ჩვენი ფსიქიკის შეცვლა. ამ უბედურების საწყის დროის მონაკვეთში, როდესაც მოხდა ნაციონალიზებული საკუთრების მონოპოლიის კერძო საკუთრების მონოპოლიით შეცვლა, ახალი ქართველები ახალი წარმოდგენებით ურცხვად ამტკიცებდნენ, რომ ფასიანი სწავლება და სხვა მომსახურება უკეთესია უფასოზე. ამასთანავე, რაზეც უნდა ჩამოეგდოთ სიტყვა, ყველა საკითხს თუ ამბავს აუცილებლად მოაყოლებდნენ ქართველი ერის ლანძღვა-გინებას და საკმაოდ მოკლე დროში მშობელი ხალხის ცნობა მართლაც შეუძლებელი შეიქნა.**

დღევანდელ მსოფლიოში კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე სოციალური სამართლიანობის იდეალებისადმი, სტალინიზმისადმი ადამიანთა ინტერესის განელება გამოწვეულია არაერთი დივერსიული ფაქტორით. არაერთხელ დავფიქრებულვარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ნარკომაფიისა და ტერორისტთა ჯგუფების მომრავლება-მომძლავრებაზე. ასევე, ქრისტიანული აღსარების ქვეყნებში გარყვნილებისა და კაცთა კვლის დამკვიდრებაზე. ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ ამ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებს საკმარისად გააჩნიათ ძალები, აღკვეთონ თავიანთ ქვეყნებში ეს უმსგავსოება, ჯგუფები თუ კლანები. მით უმეტეს, რომ ხალხი, კეთილი ნების ადამიანები ყოველთვის დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მომხრენი არიან. მოკლედ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ყველა შესაძლებლობა აქვთ, აღკვეთონ ქვეყანაში ადამიანთა შეურაცხმყოფელი, უფრო კი ხალხის გარყვნის, მოშხამვისა თუ მკვლელობის დანაშაულებრივი გაერთიანებები, თუმცა ასეთი რამ ამ ქვეყანაში ნამდვილად არ ხდება, პირიქით... ეს დანაშაულებრივი ძალები შემცირების მაგივრად მრავლდებიან და ძლიერდებიან. მახსოვს, ოდესღაც გაკვირვებულიც კი ვიყავი, თუმცა კარგა ხანია, ვხვდები, რაშიც მდგომარეობს ამ ანტიადამიანური მოვლენის საიდუმლო. უდავოა, რომ „დანაშაულებრივი გაერთიანებების“ არსებობა მთლიანად არის კერძო საკუთრების მონოპოლიის სახელმწიფოს საზოგადოების ინტერესებში. ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ერთად ეს ანტიადამიანური მოვლენაც კერძო საკუთრების მონოპოლიის საზოგადოების გადარჩენის უმთავრესი საფუძველია. ამასთანავე, **დანაშაულებრივი გაერთიანებები წარმოადგენს კერძო საკუთრების მონოპოლიის იდეოლოგებისა და მხედართმთავრების (მასონების) საიმედო დასაყრდენს. დიახ, ეს დანაშაულებრივი ძალები თავიანთი „მისიებით“ უარყოფითად მოქმედებენ, უფრო ზუსტად კი, რყვნიან მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის ინტერესებშია სოციალური და სამართლიანობის იდეალები ანუ სტალინიზმი.**

ვფიქრობ, ძნელად გასაგებს არაფერს ვამბობ. დიახ, გარყვნილი საზოგადოებისთვის თუ პირებისთვის არ არსებობს იდეალები, მათთვის არათუ უცხოა სოციალური სამართლიანობის იდეოლოგია, არამედ მოუთმენელიც. და ისინიც დაუფარავად ებრძვიან სტალინიზმს თავიანთ ქვეყანაში თუ მის მიღმა.

ამასთანავე, უდავოა, რომ სასამართლო პროცესის წარმოება სოციალური სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანების მიმართ აშკარად წამგებიანი საქმეა. ასეთი სასამართლო პროცესი ყველაზე თახსირ საზოგადოებაშიც წამგებიანია, რადგან ის წამიერად მაინც დააფიქრებს ადამიანებს თავისუფლების, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალებზე... გამოიწვევს თანაგრძნობას იმ პირთა მიმართ, რომლებიც იბრძვიან სამართლიანობისთვის. ალბათ, მიხვდით, დიახ, **სწორედ ამიტომ მოედო დედამიწას ტერორისტული გაერთიანებები, რომლებიც თითქმის ხელშეუხებლი არიან. ეს რეალური საშიშროებაა, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც კერძო საკუთრების მონოპოლიის წინააღმდეგ იბრძვიან. ეს მათი განადგურების საიმედო მექანიზმია. ამასთან, თუ საზღვარგარეთული ფილმების მიხედვით ვიმსჯელებთ, კერძო საკუთრების მონოპოლიის სახელმწიფოების სპეცსამსახურებიც არ ერიდებიან მკვლელობებს და ტერორისტულ აქციებს, „სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი“ ინტერესებიდან გამომდინარე.**

მოხდა ისე, რომ დღეს საზღვარგარეთის კომპარტიებში კერძო საკუთრების იდეოლოგიის მსახური უფრო მეტია, ვიდრე თავისუფლების, თანასწორობისა და სამართლიანობის იდეალების მოტრფიალე. ე.ი. პარტიებში ბევრია შეპარული „შპიონი“ და ეს პარტიები, ფაქტობრივად, უკვე ფიქციას წარმოადგენს.

სტალინიზმის იდეალებისათვის ბრძოლის გასაჩაღებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ზნეობრივი გარემო, კაცობრიობის გაკეთილშობილება. დღეს მართლა სასაცილოდ გამოიყურება სტალინიზმის იდეალების დასამკვიდრებლად ბრძოლის წარმოება „იატაკქვეშეთიდან“. სადღა არიან ადამიანთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც თავს გაწირავენ საკაცობრიო იდეალებისადმი. ასეთი ერთეულების პოვნაც კი გაჭირდება. ამდენად, **დღეს იდეალებისთვის ბრძოლა, უპირველესად, კაცობრიობის გაკეთილშობილებით უნდა დაიწყოს. ეს არის ერთადერთი გზა სტალინიზმისკენ.** სტალინი თავის მმართველობის ხანაში მთელი არსებით იბრძოდა ხალხთა მასების განათლებისთვის, იბრძოდა სახელმწიფო პროგრამით, იბრძოდა მორალურად გამძლე საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, ვინაიდან თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მოტრფიალედ მრავალმხრივად განათლებულ და ზნეობრივად მტკიცე ადამიანებსა და ხალხს მიიჩნევდა.

სტალინი, რა თქმა უნდა, თავისი ამ თვალსაზრისით ცამდე მართალი იყო. **კერძო საკუთრების მონოპოლიის იდეოლოგები სოციალური უსამართლობის საზოგადოების გადარჩენას, უზნეობის დამკვიდრების თანაბრად, მასების გაუნათლებლობაში ხედავენ. გასაგებია, თანამედროვე ამერიკელთა უმრავლესობამ არაფერი რომ არ იცის მეორე მსოფლიო ომზე... წარმოდგენა რომ არ აქვთ სტალინიზმზე, ე.ი. თანასწორობის, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის იდეალების შესახებ.**

უდავოა, რომ კაპიტალიზმის, ანუ კერძო საკუთრების მონოპოლიის საზოგადოების დამკვიდრება-გადარჩენას დღევანდელ მსოფლიოში სამი უმთავრესი საფუძველი აქვს: **ბურჟუაზიული, ანუ „მშობლიურ უცხოეთში“ მოსახლეთა იდეოლოგია, საყოველთაო უზნეობა და საყოველთაო გაუნათლებლობა.**

განვაგრძოთ მსჯელობა. ახალ საქართველოში, ახალმა ქართველებმა ახლებური მსოფლმხედველობით „გორბაჩოვის გარდაქმნების“ წლებში ქართველთა განათლებულობის წინააღმდეგაც გაილაშქრეს. ამტკიცებდნენ, რომ ასეთი პატარა ქვეყნისთვის სულაც არ არის საჭირო ამდენი საგანმანათლებო ცენტრის, თეატრის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების არსებობა. ახალ საქართველოში უმთავრესი სიახლე ქართველთა საყოველთაო განათლებისა და კულტურის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ბრძოლის ნიუანსებზე თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ ვიტყვი, რომ ამ ბრძოლის შედეგად ქართული კულტურის და მეცნიერების მთელი რიგი დარგებისა დასუსტდა და განადგურდა.

**დანაშაულებრივი გაერთიანებები წარმოადგენს კერძო საკუთრების მონოპოლიის იდეოლოგებისა და მხედართმთავრების (მასონების) საიმედო დასაყრდენს. დიახ, ეს დანაშაულებრივი ძალები თავიანთი «მისიებით» უარყოფითად მოქმედებენ, უფრო ზუსტად კი, რყვნიან მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის ინტერესებშია სოციალური და სამართლიანობის იდეალები, ანუ სტალინიზმი**

## განსაცდელი უკრაინაში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინაში საეკლესიო კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე ამ ქვეყნის უშიშროების სამსახურს არაერთხელ გამოუძახებია დასაკითხად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები. მაგალითად, დეკემბრის დასაწყისში გამოიძახეს სარნენსკის ეპარქიის სასულიერო პირები, კერძოდ, არქიმანდრიტი ილარიონი. 3 დეკემბერს უშიშროების სამსახურმა გაჩხრიკა მღვდელმსახურთა სახლები და ტაძრები ჟიტომირის ოლქში. უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში განაცხადეს, რომ უკრაინის ხელისუფლება ასე ცდილობს, აიძულოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსები, მონაწილეობა მიიღონ ე.წ. გამაერთიანებელ კრებაში.**

# უკრაინის უშიშროების სამსახურმა ტაძრებისა და ეკლესიის მსახურთა ჩხრეკა დაიწყო

**ტაძრებში ჩხრეკის ჩატარების შემდეგ ძალოვანებმა ამოიღეს ბეჭდური პროდუქცია, რომელშიც უწყების ექსპერტებმა „იპოვეს“ რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდისა და მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხმყოფელი ნიშნები.**

ამ უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ უკრაინის უშიშროების სამსახურმა (უშს) ბრალი დასდო უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ისეთი მასალების გავრცელებაში, რომლებიც აღვივებს შუღლსა და მტრობას.

„ჩხრეკის შედეგად ამოღებულია უამრავი პროდუქცია, რომლებიც შეიცავს მოწოდებებს რელიგიური და კონფესიათაშორისი შუღლის გაღვივების თაობაზე“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

**უკრაინის უშიშროების სამსახურის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბროშურამ „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია. დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. დამოკიდებულება ანტიტერორისტული ოპერაციისა და საეკლესიო განხეთქილების მიმართ. კითხვები და პასუხები“. ორი დღის განმავლობაში ძალოვანებმა ამოიღეს ამ ბროშურის 75 ეგზემპლარი.** უწყებაში დაადასტურეს, რომ არსებობს „შესაბამისი დასკვნა“ ექსპერტებისა, რომლებმაც ბროშურაში იპოვეს რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდისა და მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის ნიშნები. თუმცა ტექსტიდან ამ ნიშნების მაგალითები მოყვანილი არ არის.

**„უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დაკითხეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის როვნოსა და სარნენსკის ეპარქიების 12 მღვდელმსახური სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლების მიხედვით: „სახელმწიფოს ღალატი“ და „რელიგიათაშორისი შუღლის ჩამოგდება“,** — განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის პრესსამსახურის პრესმდივანმა ინა ილიუჩოკმა. ამასთანავე, მან უარი თქვა, რამე ცნობა მიეწოდებინა ჟურნალისტებისთვის დაკითხვების შესახებ და მიზეზად შესაბამისი ნებართვის უქონლობა დაასახელა. უფრო ადრე როვნოს ეპარქიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უშიშროების სამსახურმა დასაკითხად 14 მღვდელმსახური გამოიძახა.

### ეკლესიის საქმეებში ჩარევა

უკრაინაში საეკლესიო კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე ამ ქვეყნის უშიშროების სამსახურს არაერთხელ გამოუძახებია დასაკითხად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები. მაგალითად, დეკემბრის დასაწყისში გამოიძახეს სარნენსკის ეპარქიის სასულიერო პირები, კერძოდ, არქიმანდრიტი ილარიონი. 3 დეკემბერს უშიშროების სამსახურმა გაჩხრიკა მღვდელმსახურთა სახლები და ტაძრები ჟიტომირის ოლქში. უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში განაცხადეს, რომ უკრაინის ხელისუფლება ასე ცდილობს, აიძულოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსები, მონაწილეობა მიიღონ ე.წ. გამაერთიანებელ კრებაში.



უფრო ადრე უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის, პრეზიდენტმაც განაცხადეს, რომ არ ერევიან ეკლესიის საქმეებში, თუმცა ამას გამუდმებით აკეთებენ. მაგალითად, დაპირების მიუხედავად, **პოროშენკომ** მიაღწია იმას, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან მიიღო უკრაინის არაკანონიკური ეკლესიის აღიარება, რასაც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ განხეთქილების შეტანა უწოდა. უკრაინის რადამ მიიღო კანონი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთვის ანდრიას სახელობის ეკლესიის გადაცემის შესახებ. მოგვიანებით უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოართვა კიევში პოჩაევის ლავრის შენობების გამოყენების უფლება. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში აცხადებენ, რომ პოჩაევის ლავრის საწინააღმდეგო მოქმედებები მიუთითებებს იმაზე, რომ უკრაინის ხელისუფლება ცდილობს, დააშინოს მორწმუნეები. პოროშენკოს მრჩეველი **როსტისლავ პავლენკო** სტამბოლში ჩავიდა, სადაც აკვირდებოდა სინოდის სხდომის მიმდინარეობას, და ავტოკეფალიის საკითხზე ესაუბრა კონსტანტინოპოლის პატრიარქს.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**უკრაინის უშიშროების სამსახურის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბროშურამ «უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია. დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. დამოკიდებულება ანტიტერორისტული ოპერაციისა და საეკლესიო განხეთქილების მიმართ. კითხვები და პასუხები». ორი დღის განმავლობაში ძალოვანებმა ამოიღეს ამ ბროშურის 75 ეგზემპლარი. უწყებაში დაადასტურეს, რომ არსებობს «შესაბამისი დასკვნა» ექსპერტებისა, რომლებმაც ბროშურაში იპოვეს რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდისა და მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის ნიშნები», თუმცა ტექსტიდან ამ ნიშნების მაგალითები მოყვანილი არ არის**

# უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესია მონაწილეობას არ მიიღებს «გამაერთიანებელ» კრებაში



**„ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია მონაწილეობას არ მიიღებს ამ კრებაში, რადგან უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნა არ პასუხობს კანონიკურ ნორმებს“, — განაცხადა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილების ხელმძღვანელმა, არქიეპისკოპოსმა კლიმენტმა.**

რამდენიმე დღის წინათ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ განაცხადა, რომ „გამაერთიანებელი“ კრება 15 დეკემბერს კიევში ჩატარდება.

საეკლესიო ამბების ბერძნულმა სააგენტო Romfea.gr-მა ადრე გამოაქვეყნა „ახალი უკრაინული ეკლესიის“ წესდების პირველი გვერდი. გამოცემის ხელთ არსებული მონაცემებით, უკრაინის „ერთიანი ეკლესია“ შეიძლება შეიქმნას კრეტას მოდელის მიხედვით — ხელმძღვანელი იქნება მიტროპოლიტი და არა პატრიარქი, როგორიც არის დღეს ფილარეტი (დენისენკო). კრეტის ეკლესია ნახევრად ავტონომიურია და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილება.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

# პოროშენკო კონსტანტინოპოლის ქვაბში მოამწყვდიეს



**უკრაინის იუსტიციის ექსმინისტრმა ელენე ლუკაშმა რელიგიურ სფეროში პოროშენკოს ე.წ. გამარჯვებას კონსტანტინოპოლის ქვაბში მომწყვდევა უწოდა.**

„წავიკითხე ახალი საეკლესიო წესდება. კონსტანტინოპოლის ქვაბი მივიღეთ.

— არც დამოუკიდებლობა.

— არც თავისუფლება.

— არც წმინდანების კანონიზაცია.

— არც მირონი.

— არც საკუთარი პატრიარქია გათვალისწინებული.

— ყველა საკამათო საკითხს კონსტანტინოპოლი გადაწყვეტს.

— მას უნდა დაუჯეროს მიტროპოლიტმა. უკრაინას უარი უთხრეს, ჰყავდეს თავისი პატრიარქი, მიტროპოლიტი საკმარისიაო.

ეს „მარაოსებრი თითებიც“ კი არ არის, ეს მუხლებისა და იდაყვების პერემოგაა (გამარჯვება — ნ.კ.)“.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

გაირკვა, რომ უკრაინის რეალურ ავტოკეფალიაზე ლაპარაკიც არ არის. ეკლესიის წინამძღოლი, როგორც წესდება ითვალისწინებს, იქნება არა პატრიარქი, არამედ მიტროპოლიტი. და ეს ავტომატურად აუქმებს კითხვებს ავტოკეფალიის შესახებ, რომელიც ასე ითარგმნება: „საკუთარი თავის მმართველი“. ეს მიტროპოლიტი იქნება პირი, რომელიც დაემორჩილება სტამბოლის უფროსობას.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბუნტი თავისუფლების წინააღმდეგ: რატომ სურთ კიევში, ემსახურონ კონსტანტინოპოლს

## «უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესია» კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთი «პროვინცია» იქნება



**მას შემდეგ, რაც საეკლესიო ამბების ბერძნულმა სააგენტო Romfea.gr-მა გამოაქვეყნა „უკრაინის ეკლესიის“ წესდების პროექტის პირველი გვერდი, რომელიც დამტკიცებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის 27-28 ნოემბრის სხდომაზე, საბოლოოდ გაირკვა, საით მიილტვის „ერთიანი უკრაინული მართლმადიდებლობა“.**

პირველ რიგში, გაირკვა, რომ უკრაინის რეალურ ავტოკეფალიაზე, საერთოდ, ლაპარაკიც არ არის. ეკლესიის წინამძღოლი, როგორც წესდება ითვალისწინებს, იქნება არა პატრიარქი, არამედ მიტროპოლიტი. და ეს ავტომატურად აუქმებს კითხვებს ავტოკეფალიის შესახებ, რომელიც ასე ითარგმნება: „საკუთარი თავის მმართველი“. ეს მიტროპოლიტი იქნება პირი, რომელიც დაემორჩილება სტამბოლის უფროსობას, არ იქნება არანაირი „უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესია“, და, როგორც ჩანს, იქნება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთი „პროვინცია“. უკრაინის ეკლესია, ვერ შეძლებს წმინდანად ვინმეს შერაცხვას, არ ექნება უფლება, მოხარშოს მირონი, ის სტამბოლში უნდა შეიძინონ და ა.შ. მან ბევრი რამ უნდა სთხოვოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და უფროსობა მის თხოვნას ან გაითვალისწინებს, ან — არა.

მუდმივი სინოდის ნაცვლად უკრაინის „ავტოკეფალიურ ეკლესიას“ ეყოლება ე.წ. ყოველწლიური სინოდი წევრების მუდმივი როტაციით. ეკლესიის შიგნით წარმოქმნილ საკამათო საკითხებს გადაწყვეტს კონსტანტინოპოლის პატრიარქი, როგორც ამ სტრუქტურის ხელმძღვანელი. სხვათა შორის, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის კანონიკურ ეკლესიას გაცილებით მეტი თავისუფლებები აქვს — მოქმედებს მუდმივი სინოდი, აქვს კანონიზების უფლება, კიევის მიტროპოლიტი არის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრი. ეს ყოველივე არ ექნება „კიევის მიტროპოლიტს“ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდში.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**

**მუდმივი სინოდის ნაცვლად უკრაინის «ავტოკეფალიურ ეკლესიას» ეყოლება ე.წ. ყოველწლიური სინოდი წევრების მუდმივი როტაციით. ეკლესიის შიგნით წარმოქმნილ საკამათო საკითხებს, აგრეთვე, გადაწყვეტს კონსტანტინოპოლის პატრიარქი, როგორც ამ სტრუქტურის ხელმძღვანელი. სხვათა შორის, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის კანონიკურ ეკლესიას გაცილებით მეტი თავისუფლებები აქვს — მოქმედებს მუდმივი სინოდი, აქვს კანონიზების უფლება, კიევის მიტროპოლიტი არის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრი, რაც არ ექნება «კიევის მიტროპოლიტს» კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდში**

# გაერთიანება თუ რელიგიური ომის დასაწყისი?

## 2018 წლის 15 დეკემბერს, შაბათს, გაიმართება უკრაინის ეკლესიის ე.წ. «გამაერთიანებელი კრება». კრებას მოიწვევს არა უკრაინის, არამედ საფრანგეთის მიტროპოლიტი ემანუელი

**დასახელდა კონკრეტული თარიღი ე.წ. გამაერთიანებელი კრების ჩატარებისა უკრაინაში — 15 დეკემბერს სოფიას სახელობის კიევის ტაძარში.**

5 დეკემბერს, დილით, ადგილობრივი თვითმმართველობის ფორუმზე გამოსვლისას ეს დაადასტურა უკრაინის პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ: „მოხარული ვარ, გამოვაცხადო გამაერთიანებელი კრების ჩატარების შესახებ... ამრიგად, კრება გაიმართება 2018 წლის 15 დეკემბერს წმინდა სოფიას სახელობის ტაძარში. მისმა ყოვლადუწმინდესობა ბართოლომეოსმა, მსოფლიოს პატრიარქმა, მაცნობა, რომ ხელი მოაწერა შესაბამის დოკუმენტებს, რომლებითაც მოიწვია კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები, უკრაინის მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის იერარქები, მოსკოვის საპატრიარქოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა ამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მოვლენაში“.**

5 დეკემბერს, საღამოს, მსოფლიო პატრიარქის ოფიციალურ ბლოგზე — „ფენერის სინათლე“ — გაჩნდა მოკლე მასალა სახელწოდებით „15 დეკემბერი — გამაერთიანებელი კრება უკრაინაში“.

„2018 წლის 15 დეკემბერს, შაბათს, გაიმართება უკრაინის ეკლესიის პირველი სამიტი.



კრება, რომელსაც მოიწვევს საფრანგეთის მიტროპოლიტი ემანუელი, გაიმართება კიევის წმინდა სოფიას სახელობის ტაძარში“. ინფორმაციის თანახმად, ეკლესიის ახალ მეთაურს უწოდებენ კიევის არქიეპისკოპოსსა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტს. და ეს ეკლესია ბოლო იქნება მართლმადიდებელი ეკლესიების სამეულში (ლაპარაკია, ალბათ, უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიებზე აშშ-სა და კანადაში, რომლებიც ექვემდებარებიან მსოფლიო პატრიარქს).

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**




# ამერიკის სამთავრობო შენობა სატანისტებმა მორთეს

**საშობაო დღესასწაულის მოახლოების გამო სატანისტების ორგანიზაციამ თავისი სტატუა დადგა ილინოისის შტატის (აშშ) ადმინისტრაციის შენობაში.**

1 მეტრზე მაღალი სკულპტურა გამოსახავს გველს, რომელიც შემოხვეულია ვაშლიან გაწვდენილ ხელზე. ეს სკულპტურა დადგეს მორთული ნაძვის ხის გვერდით. უჩვეულო სტატუის დადგმის სპონსორია „სატანის ტაძრის“ ჩიკაგოს განყოფილება. შტატის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ორგანიზაციას ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც სხვა რელიგიურ საზოგადოებებს.



# საფრანგეთში არეულობების მიზეზი დასავლეთის დეგრადაციაა

**ამერიკული ინტერნეტგამოცემა The Federalist წერს, რომ საფრანგეთის არეულობების მიზეზი საწვავზე გადასახადების ზრდა არ არის, მიზეზი დასავლეთის დაცემაა და „ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო გამოსვლები დიდი პრობლემის მხოლოდ მცირე სიმპტომია და ეს დიდი პრობლემა ერთ დროს ბრწყინვალე საფრანგეთის დეგრადაციასა და დაცემაში მდგომარეობს.**

შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საფრანგეთში საწვავზე გადასახადების მომატების გამო მასობრივი საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინათ ხელისუფლებამ საწვავზე გადასახადების მომატების გადაწყვეტილების გაუქმებაზე განაცხადა, მაგრამ ამის მიუხედავად საპროტესტო აქციები მაინც არ შეწყდა და პროტესტმა სხვა სოციალურ თემებზე გადაინაცვლა.

# ევროპის ხუთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა ის ქვეყნებია, რომლებიც მცირე რაოდენობით იღებენ მიგრანტებს

**„ევროსტატის“ მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა აჩვენებს, ევროპის რომელ ქვეყნებში რამდენმა ადამიანმა განაცხადა კრიმინალის, ძალადობის ან ვანდალიზმის შესახებ 2017 წელს.**

**ამ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ევროპის 5 ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა ხორვატია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ფინეთი და უნგრეთი.** საინტერესოა, რომ ხუთივე ეს ქვეყანა მცირე რაოდენობით იღებს მიგრანტებს. ამასთანავე, ევროკავშირის ექვსი ყველაზე კრიმინალური ქვეყანაა **ბულგარეთი, ჰოლანდია, გერმანია, საბერძნეთი, საფრანგეთი** და **შვედეთი,** ანუ ექვსი ყველაზე კრიმინალური ქვეყნიდან ხუთში მიგრანტების დიდი რაოდენობა ცხოვრობს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ერის საგანძური

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოსე თოიძეს ყოველთვის აინტერესებდა, ფერის როგორი გრძნობა მქონდა. ერთხელ მითხრა: ფერწერა თუ გინდა, ძველ თბილისში ჩადი და იქ, რაც მოგეწონება, ის დაწერეო (დახატეო)“.**

გივი თოიძე:

# დავხატავდი ისევ ჩემს ძველ თბილისს

მეყო, რაც სხვათა კედლებში გკირეთ,
უცხო თარგებზე გფატრეთ და გჭერით,
აწ ჩვენთვის გავდოთ ჩვენივე დირე,
ჩვენს ლარდა-მაყიბს დავხუროთ ჭერი,
თორემ დაიმსხვრა ბროლი ბროლვილი,
ხმა შევაბზარეთ გამოხშულ საკნებს
და მაისიდან გზადჩამოვლილი
ბრუნავს ქარი და ველარსად გვაგნებს.

დავით წერედიანი

## „ვანდალიზმი“ სილამაზის სადარაჯოზე

ლადო ასათიანის პოეტური შეძახილი „მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!“, ცოლის გარდა, ხელოვანის შემოქმედებაზეც რომ ვრცელდება, ამ კერძო შემთხვევაში ასე დადასტურდა: **გივი თოიძემ** ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის მეოთხე სართულზე გამოფენილ თავის ნახატში „ძველი თბილისი“ ჩემ თვალწინ რაღაც ჩაასწორა შავი ფლომასტერით. ისე, თითქოს მოეფერა. რაღაც ხარვეზი დაფარა, რომელსაც სხვა ვერავინ შენიშნავდა, მაგრამ უნაკლო ქმნილებას არ ეკადრებოდა: „მე უფრო ლამაზი მინდა!“

ამის მნახველ ტურისტ ქალბატონს თვალები შუბლზე დაასხდა, გაოცდა, შეშინდა, იყო ეს ვანდალური აქტი თუ:

— Это Ваша работа? — მოკრძალებული იმედით შეეკითხა: ეგებ ღმერთმა დამიფარა და დანაშაულის უნებური მოწმე არ გამხადაო.

— Здесь все мое, — გაშალა ხელი ბატონმა გივიმ ისე, თითქოს ჟესტ-მიმიკის ენაზე გადათარგმნა სკოლაში ნასწავლი ილიას პოემის სტრიქონი: „გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი“. აქ, ამ დარბაზის კედელზე ბინა (სახლ-კარი) დაიდეს მისმა შედევრალურმა ნამუშევრებმა.

სანამ ისინი საუბრობენ (დაინტერესდა ქალბატონი — ასე უბრალოდ მუზეუმში გამოფენილი ნახატების ავტორებს ვერ ხვდებიან: Повезло!), იმას გეტყვით, როგორ აღმოვჩნდით მე და ბატონი გივი თოიძე ამ მუზეუმში.

გივი თოიძე — ცნობილი ქართველი შემოქმედი, რუსთაველისა და დავით კაკაბაძის პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ქართული კულტურის რაინდი და ა.შ. და ა.შ. შესანიშნავი პოეტი ქალი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი** მისდამი მიძღვნილ წერილში შენიშნავს: „რაინდობაზე მინდა მოგახსენოთ: შუა საუკუნეების რაინდებს ფარზე ამოტვიფრული ჰქონდათ: „უმალ სიკვდილი, ვიდრე უმცირესი ლაქა“.

ეგებ, ის მიკრომამბავი, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ, ამ რაინდობის დამადასტურებელი შტრიხი იყო — არავითარი ხინჯი!

„უმალ სიკვდილი“ კი არ გამოვა — 18 დეკემბერს 86 წლისა ხდება და ერთ ამდენს კიდევ აპირებს! გილოცსვთ და მრავალჟამიერ სიხარულსა და ბედნიერებას გისურვებთ, ბატონო გივი, ჩვენი რედაქცია!

შემთხვევის ნებით შევხვდით ერთმანეთს, შემთხვევის, რომელიც კანონზომიერების შედეგია: უნდა შევხვედროდით.

ქუჩას, რომელიც ქაშვეთის ეკლესიიდან ჩამოუხვევს, ზემოთ მივყვებოდი, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმისკენ, რომელიც პირველად ხვდება ახალ წელს, საგაზეთო რუბრიკისთვის მასალის დასაწერად: მილევადი წლის მოვლენები.

გახსნა მართლაც მოვლენა იყო — 2018 წლის 26 სექტემბერი — ქართული ფერწერის ისტორიული დღე. როგორ ჩაეწერა კულტურის ეს კერა დედაქალაქის ცხოვრებაში? შემხვდება ვინმე ხელოვანი და იმას დაველაპარაკები-მეთქი ამ თემაზე.

შემთხვევას მივენდე.

გამიმართლა.

ლადო გუდიაშვილის ძეგლი რომ დგას, ალექსანდროვის ბაღში, ცოტა ქვემოთ, ჩარჩოებს რომ აკეთებენ, იმ სახელოსნოში ბატონ გივის არ გადავეყარე?! თავისი ახალი ნამუშევარისთვის („ზამთარი თუშეთში“) ჩარჩოს არჩევდა.

## „კაზიმირ, ამოდი ჩვენთან!“

მაშინ შევთანხმდით შეხვედრაზე.

მუზეუმის დაცვის სამსახურის უფროსმა **ზურაბ ჭოღოშვილმა** გულღიად მიგვიღო და „ბროლის კიბეს“, რომელიც ბატონ **გია ჯოხთაბერიძის** დაპროექტებულია, გამჭვირვალე და ჰაეროვანია, ავყევით ისე, როგორც რეჟისორ მიტას ფილმში „შაგალი — მალევიჩი“ **მარკ შაგალი** მიწიერ მიზიდულობასა და პროვინციული ვიტებსკის მშრომელი ებრაელების აბობოქრებული მასების თავზე ამაღლდება.

გენიალური კინომეტაფორაა!

და იქიდან გადმოსძახებს კოლეგა მხატვარს, „სუპრემატიზმის“ მოგონილი მიმართულების ავტორს — კაზიმირ მალევიჩს, თავის ანტიპოდს:

„— კაზიმირ, ამოდი ჩვენთან! ჩემს ზეცაში ხალვათობაა“.

ყველასთვის არის ადგილიო.

„— მარკ, — ამოსძახებს მალევიჩი, — სამყარო ცარიელია და ჩვენ უნდა შევავსოთ იგი“.

მიწაზე მდგარმა ადამიანებმაო. ამ ხილვამ დაბადა პარალელი:

**— ბატონო გივი, ეს მუზეუმიც თავის სივრცეში ყველა ხელოვანს დაიტევს უთუოდ.**

— მხოლოდ ღირსეულებს!

**— არ დამეთანხმება გივი თოიძე და მეტაფორული ირეალობიდან მიწაზე დამაბრუნებს,** — ეს მუზეუმი ქართველი ხალხის, განსაკუთრებით, მხატვრების ახდენილი ოცნებაა, **გია ჯოხთაბერიძის** მიერ ხორცშესხმული. მხატვრის სულში ჩაძვრა და უკვდავყო ჩვენი სახელები. კი მაქვს ჩემი სახელოსნო, რომელშიც ჩემი ნახატებია დავანებული, მაგრამ აქ სხვა სივრცეა, სხვა ასპარეზი და მზის ეს სინათლე, რომელიც ასე საჭირო და აუცილებელია ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწისთვის. ამ შუქით განათებული გადის ჩვენი ხელოვნება მსოფლიო სივრცეში.

არაჩვეულებრივი მხატვრები არიან აქ გამოფენილი და ეს უზარმაზარი კოლექცია ბატონ გია ჯოხთაბერიძეს აქვს შეგროვებულ-შეძენილი.

სასწაულია.

წავა ცხოვრება, მეც წავალ და აღარ ვიქნები, მაგრამ დარჩება აქ, ამ ნათელ სივრცეში ჩემი ნახატები, მეც დავრჩები და არც ჩემი სახელი მიეცემა დავიწყებას.

ასე ფიქრობს, ასე აფასებს ამ მოვლენას ყველა ჩემი კოლეგა და დიდი მადლობა ბატონ გია ჯოხთაბერიძეს ასეთი მადლის გაღებისთვის. ვამაყობ, რომ საქართველოს აქვს ასეთი დიდებული, თანამედროვე მუზეუმი, რომლის ექსპოზიციაში მოხვედრა დიდი პატივია ფერმწერალისთვის.

არის დიდი სივრცე, მაგრამ, როგორც ვთქვი, მხოლოდ ღირსეულთათვის.

## „მაგის ნახატს ხელი რომ მოვაწერო, დაიჯერებენ, რომ ჩემია“

ბატონი გივი ინტერვიუერისთვის საჩუქარია: სანამ მე შეკითხვის ფორმულირებაზე ვფიქრობდი, იგი უკვე მიპასუხებდა არდასმულ შეკითხვაზე: — **მხატვრობისადმი მათი გვარის მიდრეკილება განსაზღვრულია თუ არა გენეტიკური კოდით?**

— მოსე თოიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, ბაბუაჩემი იყო. ამაზე დიდი და კარგი მასწავლებელი არავინ მყოლია. **რეპინის** მოწაფე იყო თვითონ.

მამა ფრონტზე დამეღუპა და ნათესაობამ გადაწყვიტა, ამ ბიჭს უნდა მივხედოთო. მოსემ, რომელიც დაჯილდოვებული იყო „ღირსების ორდენით“, ამ ჯილდოთი გათვალისწინებული თანხის განკარგვის უფლება დედაჩემს გადასცა. ამით ვირჩენდით თავს. მე კი დღე და ღამე მოსესთან ვიყავი. მამიდაჩემები — თამარა, შურა, ნინა ყურადღებას არ მაკლებდნენ.

ხელოვანთა წრეში იზრდებოდა, მაგრამ, ამასთანავე, იყო „ჩემი უბანიც“ ორბელიანის ქუჩაზე. იარმუკა ერქვა (ბაზრობა იმართებოდა უწინ, იარმარკა) ტიპურ თბილისურ უბანს, ქართველებთან ერთად იქ ქურთებიც ცხოვრობდნენ და სომხებიც, ებრაელებიც და აზერბაიჯანელებიც, რუსებიც, რა თქმა უნდა. იცოდნენ იმ უბანში, ისევე, როგორც თბილისში ყველგან, ქალის პატივისცემა და კაცობის ყადრი, ფასობდა სიტყვაც და მუშტიც, ბევრი სხვა რამ კარგი, ხოლო ტუზიკას და ქიშვარდას ორიენტაცია არავის აინტერესებდა, რადგან ასეთები გარიყულ განზომილებაში ბოგინებდნენ.

ასე უყალიბდებოდა ბიჭობიდან გივი თოიძეს მაღალი მორალის პრინციპები, რომლებსაც დღესაც ერთგულებს და რომლებიც მისი ბრწყინვალე შემოქმედების საფანელია.

— ჩემი მეზობელი, ჩემი უბნის ბიჭი, ძმაკაცი ჩემი **ვალოდია ვართანოვი,** რომელიც იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის მოწაფე იყო, მე კი საღებავებით ვამარაგებდი, შემიჩნდა: შენც ხომ ხატავო (სახლში მთელი კედლები მქონდა მოჩხაპნილ-მოხატული ომის სცენებით. არავინ არ მსაყვედურობდა ამის გამო), წამოდი, განახვებ იქაურობას, იქნებ დაინტერესდე კიდეცო. წავყევი. მომეწონა. ახლა ვითომ აკადემიად გადააკეთეს, ფაქტობრივად, მოშალეს, ისევე, როგორც მოსე თოიძის სასწავლებელი, ჭონქაძეზე რომ იყო. გაანადგურეს ყველაფერი...

დაგვიანებით მივედით მე და **თენგიზ გიგაური** სასწავლებელში. დირექტორის მოადგილე **ჭანიშვილმა** (სასწაული კაცი იყო) დირექტორ **კოტე კიკნაძესთან,** არაჩვეულებრივ პიროვნებასთან, შეგვიყვანა. გავსინჯოთ, როგორი მონაცემები აქვთო ამ ბავშვებს. ჯერ თაბაშირის ცხვირი და ტუჩები დამიდეს, შემდეგ — ინდაურის ფიტული, დავხატე. არაუშავსო, — შეგვაფასა დირექტორმა. თენგიზის ნაძერწი ფიგურები მოიწონა. ჩვენი ვინაობითა და წარმომავლობით დაინტერესდა. გაირკვა, რომ თენგიზის ძმა, გივი, აქ სწავლობდა. კარგი ბიჭი იყოო. 1949 წელია. ომი ახალი დამთავრებულია. ხალხი ჯერ კიდევ შიმშილობს. ის დროა, რომ ხელოვნებისთვის არავის არ უნდა ეცალოს, ჩვენ კი მაინცდამაინც სამხატვრო სასწავლებელში მივდივართ...

გვარი მკითხა დირექტორმა.

ვუთხარი.

მოსე რა არისო შენი? ვუპასუხე, რომ ბაბუაჩემის ძმაა.

გაუკვირდა:

— მოსეს რომ არ დაურეკია?!

— რატომ უნდა დაერეკა?! — ჩემი გაკვირვების ჯერი დადგა.

— კარგი ბიჭები ყოფილხართ. ყოჩაღ! აწი თქვენ იცითო.

იქიდან მოსესთან მივედი. ვხედავ, კარგ ხასიათზეა. ღიღინებს. შემომხედა: კარგი ბიჭი ხარ შენ! — სიტყვასიტყვით გაიმეორა დირექტორის ნათქვამი. ეტყობა, შეატყობინეს ჩემი იმდღილანდელი თავგადასავალი.

**ასე წავიდა და წავიდა... დაამთავრა ეს სასწავლებელი. სამხატვრო აკადემიის დამთავრების დროც დადგა.**

— მოსე თოიძეს ყოველთვის აინტერესებდა, ფერის როგორი გრძნობა მქონდა. ერთხელ მითხრა, ფერწერა თუ გინდა, ძველ თბილისში ჩადი და იქ, რაც მოგეწონება, ის დაწერეო (დახატეო). აბანოთუბნის სიღრმეში ჩანჩქერი გადმოდის. იქ ქალები ხალიჩებს რეცხავდნენ ხოლმე. ამ ხეობას გადმოჰყუდებული ძველი სახლები, ისეთ ფერებშია, ტანში გაგაჟრიალებს, მით უფრო, თუ ფერმწერალი ხარ! *(ფერმწერალს განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვამს. არა ფერმწერი, არამედ ფერმწერალი).* გაგიჟდებოდი, ისეთი რამე იყო. დავწერე და მივუტანე. ამ დროს მოსკოვიდან ჩამოსულები იყვნენ ბიძაჩემები — ირაკლი და გოგი *(მოქანდაკე),* რომლებიც მოსესთან დამხვდნენ.

— აბა, ვნახოთ, რა მოიტანა გივიმო.

ვაჩვენე.

ირაკლი თოიძე სიტყვაძუნწი კაცი იყო, გოგი პირიქით — არ მალავდა, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა, ტემპერამენტიანი იყო.

მოსეც ძალიან ემოციური გახლდათ. დახედა და თქვა:

— ნახეთ, რა ეტიუდია! მაგის ნახატს ხელი რომ მოვაწერო, დაიჯერებენ, რომ ჩემია.

ვერ წარმოიდგენთ პატარა ბიჭის აღფრთოვა- ▶



მუზეუმში. 2018 წლის 9 დეკემბერი

**«დავხატავდი კახეთის კარგ სოფელს, პატარძეულს თუნდაც, სადაც ბავშვობა მაქვს გატარებული. არ უნდა მიედ-მოედო იმას, რაც შენთვის უცხოა. პორტრეტი მაქვს ერთი გაკეთებული — ონაშვილი ანდრია შენამლული ვენახის ფონზე»**

# „გემოვნება თუ არ გაქვს, საქმე არ გაქვს არც მხატვრობასთან, არც საერთოდ ხელოვნებასთან, ვინც გინდა, ის იყავი. სურათი რომ მიგიზიდავს, მიგიკრავს, შვიდჯერ რომ დაგაბრუნებს, რაღაც დეტალი რომ გამოგრჩა იმის გამო. ჩემს თავზე ვამბობ, უწინარეს ყოვლისა“.

ერის საგანძური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ნებას, რომელიც მაშინ მე დამეუფლა.

**ცხოვრება კონტრასტების ერთობლიობაა, ეს სრულიად განიცადა გივი თოიძემ დიდ პაპასთან ურთიერთობის დროს: ცხონებულმა მის ხელში დალია სული და გაპატიოსნებულ დიდ ხელოვანს (რის პარიკმახერი! რა პარიკმახერი!) გივიმ გაპარსა წვერი:**

— ჯერ კიდევ თბილი იყო, გაიგე? თან ვპარსავდი, თან ვტიროდი... რამე არ ვატკინო-მეთქი. რაღაცები ხდება მაგ დროს, სხვა სამყაროში აღმოჩნდები...

მოხდა ისე, რომ მოსეს დაკრძალვის დღეს ლეგენდარულ **ნატო ვაჩნაძესაც** ასაფლავებდნენ. მოილაპარაკეს თოიძეებმა და ვაჩნაძეებმა (შენგელიებმა) ერთმანეთში და ჯერ ნატო დაკრძალეს, შემდეგ მოსე მივაბარეთ მიწას დიდუბეში.

გივი თოიძე ბოლოსკენ გადის:

— შენ თავზე ილაპარაკე, ხშირად მსაყვედურობენ, სულ მოსეზე რომ ლაპარაკობო. იმის გაზრდილი ვარ და იმიტომ ვლაპარაკობ.

**არც ჩვენი საუბარი აღმოჩნდა გამონაკლისი.**

— დიდად მადლობელი ვარ ჩემი წინაპრების. ვისაც რა და როგორ შეეძლო, გააკეთა, გზაზე დამაყენა და ხალხში გამომიყვანა. სიყვარულსა და სითბოში ვარ გაზრდილი, — დაასკვნის ბატონი გივი.

ასე უპასუხა ბატონმა გივიმ ჟურნალისტის (ამ შემთხვევაში, ჩემ მიერ) დაუსმელ შეკითხვას თოიძეების გვარის გენეტიკურ დონეზე ხელოვნებისკენ სწრაფვის შესახებ და დააგვირგვინა:

— ოთხი შვილი მყავს, მათგან სამი — მხატვარი. შვილიშვილებიდან ერთმა წლეულს სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა.

მაყვალა გონაშვილს დავესესხები ისევ: „ადამიანი გენეტიკური ყულაბაა და მასში წვეთ-წვეთობით იკრიბება ყველა მადლი თუ ნაკლი“.

> **«ქართველ მხატვრებს განსაკუთრებულ პატივს გვცემდნენ მოსკოვში და ახლაც ასეა. არცთუ დიდი ხნის წინათ მოსკოვის პუშკინის მუზეუმში რომ მივედით და სალაროში მხატვართა კავშირის მოწმობა რომ წარვუდგინე მოლარეს, ისე გაიხარა, — ძალიან მოგვენატრე და ძალიან გვიყვარხართო, კინაღამ ატირდა. იმდენი გველაპარაკა, რომ სალაროსთან რიგი დადგა. ისევ მე ვუთხარი, რომ უხერხული იყო ამდენი ხალხის დაყოვნება და შევაწყვეტინე სიყვარულის ახსნა, მაგრამ პირობა ჩამომართვა, კიდევ რომ ჩამოხვალთ, აუცილებლად შემოგვიარეთო»**



ჩუღურეთი



დაბახანა



ქუთაისი, ჯაჭვის ხიდი



ნატურმორტი მარაოთი

## მიქელანჯელოს რომ ეჩვენებინა...

**— მხატვრის უმთავრეს თვისებად რომელს მიიჩნევთ?**

— გემოვნებას. გემოვნება თუ არ გაქვს, საქმე არ გაქვს არც მხატვრობასთან, არც საერთოდ ხელოვნებასთან, ვინც გინდა, ის იყავი. სურათი რომ მიგიზიდავს, მიგიკრავს, შვიდჯერ რომ დაგაბრუნებს, რაღაც დეტალი რომ გამოგრჩა იმის გამო. ჩემს თავზე ვამბობ, უწინარეს ყოვლისა. ჩემი სახე, ალია-ბალია, ეს არის, — **და მიმითითებს გამოფენილ ნახატებზე,** — სხვათა შორის, გია ჯოხთაბერიძე სწორედ მაღალი გემოვნებით არის გამორჩეული, რასაც ამ მუზეუმის ექსპოზიცია ადასტურებს.

**— რუსთაველის პრემია მოგანიჭეს პანოსთვის „დღესასწაული ხევსურეთში“, რომლითაც ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის ცენტრალური შენობის კედელი მოხატეთ...**

— ბიჭვინთის კომპლექსი საკავშირო მშენებლობა იყო, ამიტომ ყველა დეტალი, პროექტით დაწყებული, მოსკოვთან თანხმდებოდა. ჩემი ესკიზიც დასამტკიცებლად მოსკოვში წარადგინეს. ძალიან მოეწონათ. გამომსვლელებმა შეაქეს ჩემი ნამუშევარი — კომპოზიცია, ფერები. ტრადიციულიაო — ეს კოშკები ლაპარაკობენო თავიანთ თავზე. წარმატება მისურვეს. შატილი, ეს უზარმაზარი კედლები, შეხედავ და მიხვდები, რა ერთან გაქვს საქმე: კაცობაც არის, სინაზეც არის, სიყვარულიც, სილამაზეც — ყველაფერია ჩაქსოვილი. ღმერთმა ასე დაგვანათლა!

ამ დროს გამოდის ერთი ლეკი და მეკითხება: რომელი საუკუნეა? გამაღიზიანებლად მკითხა. არა გრცხვენიათ, ამას რომ მეკითხებით-მეთქი? შატილის უკან თქვენ ცხოვრობთ და უნდა იცოდეთ, რომ XVI საუკუნეა. ნუთუ ერთხელაც არ გადმოსულხართ შატილში ან არავის დაუპატიჟებიხართ შატილობაზე? ნუ ჩხუბობთ, ნუ ჩხუბობთო, — დამშვიდება დაგვიწყეს. ვუთხარი, რომ არც ვაპირებ ჩხუბს, მხოლოდ მივუთითებ, რომ მისი მხრიდან უხერხულია ასეთი შეკითხვების დასმა. მიქელანჯელოს რომ ეჩვენებინა თქვენთვის თავისი ესკიზი, ამას ნაღდად არ მოეწონებოდა-მეთქი.

ქართველ მხატვრებს განსაკუთრებულ პატივს გვცემდნენ მოსკოვში და ახლაც ასეა. არცთუ დიდი ხნის წინათ მოსკოვის პუშკინის მუზეუმში რომ მივედით და სალაროში მხატვართა კავშირის მოწმობა რომ წარვუდგინე მოლარეს, ისე გაიხარა, ძალიან მოგვენატრეთ და ძალიან გვიყვარხართო. კინაღამ ატირდა. იმდენი გველაპარაკა, რომ სალაროსთან რიგი დადგა. ისევ მე ვუთხარი, რომ უხერხული იყო ამდენი ხალხის დაყოვნება და შევაწყვეტინე სიყვარულის ახსნა, მაგრამ პირობა ჩამომართვა, კიდევ რომ ჩამოხვალთ, აუცილებლად შემოგვიარეთო.

**— ირაკლი თოიძის პლაკატი „დედასამშობლო გვიხმობს!“ გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოთა ცნობილი ტრიადიდან ერთ-ერთია: ეს პლაკატი, რაიხსტაგზე ქანთარიასა და ეგოროვის მიერ აღმართული წითელი დროშა და ალექსანდროვის დიდებული „Идет война народная, священная война“.**

— ირაკლის ეს ნახატი უნიკალური ქმნილებაა. მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პლაკატი. ქართველი კაცის შექმნილია. მე ვამაყობ ამით, რადგან, სადაც კი გამოჩნდება, იქ ჩვენი გვარიც გაჟღერდება. ჩვენი კულტურა და ხელოვნება გამობრწყინდება. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს. რა ნიჭი უნდა გქონდეს, როგორი ტალანტი, ასეთი შედევრი რომ შექმნა. სახელმწიფო პრემიის ოთხგზის ლაურეატი იყო, ხუმრობა საქმე ხომ არ არის! „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები აიღეთ თუგინდ. ყველას, ვინც კი მხატვარი გახდა, გადახატული აქვს მისი ილუსტრაცია, ტარიელი ვეფხვს რომ ახრჩობს. არც მალავენ.

## „ამ ქალაჩუნებთან მტოვებ?!“

**— მხატვრობა და პოლიტიკა როგორ გესახებათ?**

— ჩემი პოლიტიკა ჩემი მხატვრობაა.

**— და ტრფიალი — ძველი თბილისი?**

— მართალი ხართ.

**— წინ ელენე ახვლედიანის მაგალითი გქონდათ და, მიუხედავად ამისა, შებედეთ ძველი თბილისის თემატიკას.**

— ქალბატონ ელენეს ძალიან დიდ პატივს ვცემდი ყოველთვის.

ერთ კურიოზულ ამბავს მოგიყვებით ქალბატონ ელენეზე. დამიბარა და მითხრა, რომ ჩემი ფერწერა მოსწონს და შემომთავაზა მის ჯგუფში გაერთიანება, რომელიც კახეთში მიემგზავრებოდა და სიღნაღში იმუშავებდა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ჩავედით, ეტიუდებს ვწერთ, ვსაქმობთ. სკოლის ეზოში, თეატრის გვერდზე, ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ვცხოვრობდით. მეორეზე ქალები იყვნენ, უყურადღებოდ ირჯებოდნენ, ნაგავს თავზე გვაყრიდნენ, ჩვენი საწოლები ჭუჭყით იყო სავსე. შენიშვნა მივეცი და ერთი-ორი მწარე სიტყვაც მივაყოლე. ელიჩკასთან მიჩივლეს. ისიც გამოვიდა და გამომლანძღა: როგორ გაბედე, შე ხულიგანო, ასეთო და ისეთოო, და შემაგინა, კაცო, ...твою мать!

ბიჭები განრისხებულ ქალბატონს ოთახში დაემალნენ, ფარდა ჩამოაფარეს ფანჯარას და ელოდნენ, როდის ჩაივლიდა ფართომასშტაბიანი შემოტევა.

**— ცნობილია, რომ ქალბატონი ელენე მწარე სიტყვისთვის ჯიბეში ხელს არ ჩაიყოფდა.**

— მართალი ხართ. შემაგინა და დავუბრუნე, мать твою, უფრო მეტიც. აქ დამრჩენის დედაც-მეთქი. დაიძაბა სიტუაცია. იქიდან ქალები ხელებს მიქნევენ, მანიშნებენ, გაჩუმდი, არ შეეპასუხოო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო.

და ვხედავ, ელიჩკა ჩემკენ მოდის და მეუბნება:

— ბიჭო, არა გრცხვენია? ამ ქალაჩუნებთან მარტოს მტოვებ? ამათ ამარა უნდა ვიყო? იცი, როგორ მითხრა? დედა შვილს რომ ეტყვის, ისეთი საყვედურნარევი სითბოთი. ცრემლი წამომივიდა, ბიჭო.

მას შემდეგ უფრო დავვახლოვდით.

**— წარმოიდგინეთ, რომ შემოგთავაზეს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის დახატვა. რას შესთავაზებდით საზოგადოებრიობას?**

— დავხატავდი ისევ ჩემს ძველ თბილისს. ამოუწურავი თემაა, დაუშრეტელი წყარო. დავხატავდი კახეთის კარგ სოფელს, პატარძეულს თუნდაც, სადაც ბავშვობა მაქვს გატარებული. არ უნდა მიედმოედო იმას, რაც შენთვის უცხოა. პორტრეტი მაქვს ერთი გაკეთებული — ონაშვილი ანდრია შეწამლული ვენახის ფონზე. „ფოთოლცვენა“ მაქვს დახატული, რომელმაც მოსკოვში 1987 წელს გამართულ რეტროსპექტულ გამოფენაზე „საქართველოს 60 წელი“ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ძალიან დიდ ფულად შეიძინეს.

**სიტყვამ მოიტანა და გეტყვით: გივი თოიძის ნახატები, რომლებიც ორიგინალურობით, ფერადოვნებით, კოლორიტითა და მაჟორული გამით არის გამორჩეული, შეძენილი აქვს მსოფლიოს წამყვან მუზეუმებს, ამშვენებს აშშ-ის პრეზიდენტების კერძო კოლექციებს. და აგერ, „საქართველო და მსოფლიოს“ წინასაახალწლო ნომერში გამოსაქვეყნებლად დახატა და გადმოგვცა: „ძველი ქუჩა მთაწმინდაზე“, რომელსაც ჩვენს საახალწლო ნომერში წარმოგიდგენთ.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ეტყობა, 9 დეკემბერი იმათი დღე იყო, ვისაც სახელად ერქვა გივი: მუზეუმიდან გამოსულებს ქაშვეთის წინ ხელგაშლილი გივი სიხარულიძე გადაგვეღობა და ჩამოსულ სტუმრებს ჩვენი თავი წარუდგინა — გივი თოიძე, მისი მეგობარი და სახალხო მხატვარი, და მე ყოფილის რანგში. რისი ყოფილი, ამას ჩვენი მკითხველებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.**

**ორიოდ ნაბიჯში ერთი ახალგაზრდა ქალი ცნობისმოყვარე ბავშვებს ჩვენკენ მიუთითებდა და, ეტყობა, უხსნიდა, რომ ამ ბიძიებსა და დეიდებს შორის ორი სუპერპოპულარული ადამიანი იყო და ორივე იყო გივი — თოიძე და სიხარულიძე.**

**გავერიდე, და წასაკითხად ეს პუბლიკაცია დაგიტოვეთ.**

**ა.ს.**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მოღებულსა ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის“.**

ქართველმა ხალხმა საკმაოდ რთული გზა გამოიარა დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, გზა საყოველთაო პროტესტებისა და დაუმორჩილებლობის, იმედებისა და მათი გაცრუების...

ამ გზაზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხალხის მხარდაჭერა დაკარგა, მეორეს მხრივ, დიდად არც „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა იმედებისა და მოლოდინების გამმართლებელი.

მწარე გამოცდილებასთან ერთად ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა ხალხის განწყობები და დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიებისადმი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მოძალადე ხელისუფლება გადავარდა და ქვეყნის სათავეში ქველმოქმედი ოლიგარქის გუნდი მოვიდა, სამართლიანობამ მაინც ვერ იზეიმა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა.

ამიტომ ხალხს მათი აღარ სჯერა!

როდესაც ვეზირმა სედრაქმა ვირის გულისხმიერება უსურვა უფლისწულს, ამგვარი დალოცვა ასე ახსნა: „ვირი ერთსა უყესა ტალახსა შინა გაატარე, რათა დაეფლას, მერმე გზა იგი გაახმე. თუცა შენ ვირი გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს“ (სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“), ანუ ვირმა ტალახში, რომც გაახმო, მეორედ რომ გაიაროს უგუნური იქნებაო. მრავალჯერ მოტყუებული ამომრჩეველი კი, რომელიც ხელისუფლების სათავეში ხალხისავე მოყვანილმა პოლიტიკურმა პარტიებმა იმდენჯერ გაატარეს სიცრუისა და უსინდისობის ტალახში, უგუნური არ არის!

დღეს ქვეყანაში არსებობს საზოგადოებრივი შიმშილი, სიახლისთვის მზაობა, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებობს კი ახალი ძალის გაჩენის პოტენციალი? ერთი რამ ფაქტია: ცვლილებები ვერ განხორციელდება მანამ, სანამ ქვეყანაში არ გაჩნდება პარტიული პოლიტიკის ახალი კულტურა და სანამ პარტიები იდეოლოგიური დაქსაქსულობის ბუდე იქნებიან.

საზოგადოება ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინშია და იმისიც, რომ მომავალ არჩევნებზე მრავალპარტიულ პარლამენტსა და კოალიციურ მთავრობას მიიღებს. სავარაუდოდ, ამ დარჩენილ წელიწად-ნახევარში უნდა ჩამოყალიბდეს (ან გამოჩნდეს) ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდება არსებულ პოლიტიკურ პრაქტიკას; ექნება მწყობრი, მკვეთრად განსაზღვრული პოლიტიკური კურსი და, როგორც დიდი ილია ბრძანებს, „ხალხის დაწინაურებული თავობა, მაშინვე მიხვდება, რომ დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცა სუნი ახალის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმის ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად, რათა მადლობით გაისტუმროს ძველი და სიხარულით მიეგებოს და გზა გაუხსნას ახალსა...“

# «ილიას გაკვეთილებიდან» «ღიმილიან საქართველომდე»

## საზოგადოება ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინშია



**„ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს. მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ“**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №44 (468)

„საძირკველის ამოყვანაა ძნელი, თორემ სხვას ისინიც გააკეთებენ. საძირკველის ამომყვანელიც არ დაიგვიანებს ხოლმე მოსვლას. მაშინ გამოჩნდება გენიოსი. ჩვენ არ გვინდა ამითი ვსთქვათ, ვითომც სწორედ იმ წამს იბადებოდეს გენიოსი. ის იქნება აქამდინაც იყო, და უთუოდაც უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას თავის ძუძუთი გამოეზარდა, თავისთან გამოეცადა, მოემზადებინა თავის ვითარებისვე აღსახსნელად. თუ აქამდინ არ გამოჩნდა იგი, იმიტომ, რომ იმისი ძლიერი სულის შესაფერი საქმე არსად იყო; გამოჩნდა თუ არა საქმე, იმანაც გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და, როგორც მზე, გამობრწყინდა ცხოვრების გასანათებლად. ეს გოლიათი გონიერებისა თავის ძლიერის მკლავით გადასწვდება მთელს ცხოვრების ნამუშევარსა; შემოაგროვებს ერთად, რაც ცხოვრებას გამოუჩენია; თავის გამჭრიახ თვალით თავიდამ ბოლომდინ განსჭვრიტავს, გაანათლებს იმ შემოგროვილსა, და ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს შესაფერის პასუხს, ყოველს ფაქტსა — ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ყოველს მიმართულებას — კუთვნილს გზასა და ღონისძიებასა, — ერთი სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და, ახალის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთა მუშაკთა.

**მეცნიერება და ხელოვნება — ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა — არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა. იგინი თავის უკეთეს წარმომადგენლების ხელით გენიოსისგან ნაჩვენებ საძირკველზედ განაგრძელებენ ხოლმე მუშაობასა, გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა.** მაგ წარმომადგენელთაგან ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა. **რამოდენადაც ეგ ახალი ცნობაები, აზრები ადვილად გასაგებნი არიან ხალხისათვის, იმოდენად ადვილად განსდევნიან უწინდელებსა, რომ ცხოვრებაში იმათი ადგილი თითონ დაიჭირონ და იწარმოვონ შემდგომში. ეგრე, ცხოვრებისავე მოღებულსა ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე; ეგრე, ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის.** რასაკვირველია, **მინამ ეს ასე მოხდება და ხალხი, თუ არ სრულიად, უფრო მომეტებული მაინც მიიღებს განახლებასა, დიდი დრო გადის. ცხოვრება, ამ ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზრდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა და მერე ისევ ჭკნება,** როგორც ზემოთა ვსთქვით. ის არ მოუცდის ხოლმე ხალხსა — „აცა ჯერ რაც მოვამზადეო ამას წინათ და რაც მეცნიერებამ და ხელოვნებამ გენიოსის შემწეობით ცნობაში მოიყვანა და კანონად დასდვა, ჯერ ისინი ხალხმა მიიღოსო და დაისაკუთროსო“. არა, ცხოვრება ამას არ მოუცდის ხოლმე, ეგ დაუყოვნებლივ გასწევს თავის წარმატების და განვითარების გზაზედ, ასე, რომ მინამ ხალხი მიიღებს დიდიდამ პატარამდე მის უწინდელ ჭირნახულსა, იგი ხელ-ახლად მოასწრობს ხოლმე ახალ მოსავლის მოყვანასა, სხვა ახალ ფაქტების და საჭიროების შემუშავებას და შემოჯგუფებას. **კიდევ მოვა დრო განახლებისა, კიდევ ამრიგად მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მოიყვანს „ახალსა“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა.** აი, როგორც შევიძელით, ვაჩვენეთ, რომ **ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან.**

როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა... როგორცა ვსთქვით, **მეცნიერება და ხელოვნება — ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთს და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესნი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა – არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი. მაგ სალაროში შედიან ხოლმე მხოლოდ აღმორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან...**

მართალია, ყოველ ცოტაოდენ განათლებულ ხალხში არის ღონისძიება, საშუალობა, რომ მეცნიერების ნაყოფი გადიტანოს ხალხშია; მართალია, არიან სკოლები, სხვა-დასხვა სასწავლებლები, რომელნიცა ავრცელებენ ხალხში, მის გამო ცხოვრებაშიაც, სასარგებლო და გამოსაყენ სწავლასა და ცოდნასა, და მით შველიან ხალხსა. მაგრამ იმათამდინ ისე ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენ ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ ის ცოტა — წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლების გარეთ, ბევრს მათგანს უნდა, სურვილი აქვს, გაიგონ რამე, შეივსონ სწავლა, გაიხსნან გონება, მაგრამ ზოგი შეუძლებლობისა გამო, ზოგი კიდევ სხვა-და-სხვა დაბრკოლებისაგან მაგ მიუცილებელ ღონისძიებასაც მოკლებულნი არიან. **საჭიროა სკოლების გარდა ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალობაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკვის ძვირფასნი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა. ის საშუალობა, ის ღონისძიება უნდა ცდილობდეს, თუ არ სრულიად ხალხთან, მომეტებულ ნაწილთან მაინც დაიჭიროს საქმე, შეიქმნას შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორის მხრით. მაგ ძნელ საქმეს ასრულებს ყველგან ლიტერატურა.**

ბოლო დროს, თითქმის ჩვენი საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში, შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამჩნივეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღე-და-დღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა — და ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭვდის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმის გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმ-გვარ ლიტერატურისა, რომელიც, როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულ შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. მაგ-გვარ ლიტერატურას ჰქვიან „პოპულიარული ლიტერატურა“, ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფვა ყველასათვის; მათგან დამუშავებული ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამ-გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“. აი, რარიგ სამსახურისათვის ნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა“. რომ ჟურნალი საჭიროა, ამას თქმა აღარ უნდა. ჟურნალი, როგორც სხვა, ისე ჩვენიცა, არ არის ერთის კაცის სურვილის ნაყოფი: მოუვიდა ჟინი წერისა და გამოსცა. არა, მაგისთანა ჟურნალი თავს დიდხანს არ დაიჭერს. ჩვენა ვსთქვით, რომ **ყოველი საჭიროება ცხოვრებიდგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს მარტო ის საქმეა მკვიდრი და მტკიცე, რომლის ფესვიც შიგ ცხოვრებაშია გამოკვანძილი; უამისოდ ვერა საქმე ვერ გასძლებს, ვერ მოიტანს ნაყოფსა, როგორც თესლი უდედამიწოდ.** როცა ცხოვრებას უმოქმედნია და იმ მოქმედებით მოუყვანია როგორიმე მოსავალი, რომლის გაგება და გარჩევა უძნელდება ხალხს და რჩება ის მოსავალი მოუხმარებლად; როცა ხალხში ისმის სურვილი, ძლიერი ნდომა იმ ნაჭირნახულევის გაგებისა, ცნობაში მოყვანისა; როცა ხალხს უნდა და ვერ მისწვდომია მეცნიერების ნაყოფსა, მაშინ ხალხის საშველად სხვათა შორის გამოვა ჟურნალიცა. რასაკვირველია, რამოდენადაც ცხოვრება — ეგ დედა ყოველ საქმისა — ძლიერია და ღონიერი, იმოდენად მოსავალი და ნაჭირნახულევი დიდია და უხვი.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

**ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863წ., №1**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

## 1975-1976 წლებში დაზვერვის შედეგად გლდანის მიდამოებში მიაკვლეს სხვადასხვა ეპოქისა და ხასიათის არქეოლოგიური ძეგლებს, ნასახლარებს, აღმოჩენილია უამრავი უძველესი და საყურადღებო ნივთი. ჩატარებული გათხრების შედეგად, ნათელი გახდა, რომ გლდანის მიდამოებში მრავალი ნასოფლარია.

დედაქალაქის ისტორია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისის ყველა ცენტრალური დასახლება ოდესღაც ქალაქის გარეუბანი იყო. ასე რომ, სამომავლოდ დედაქალაქის დღევანდელ გარეუბნებს დიდი შანსი და პერსპექტივა აქვს, ქალაქის ცენტრალურ ნაწილებად იქცეს. ერთ-ერთი ასეთი გარეუბანია გლდანი, სადაც დედაქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს.**





**გლდანი დღეს თანამედროვე ტიპის დასახლებაა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებითა და სხვადასხვა დაწესებულებებით**

# გლდანი

გლდანი ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია თამარ მეფის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვრის, თხზულებაში **„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.** მასში აღნიშულია: **„დააწყუეს კარითგან ქალაქისათა ხევამდე გლდანისა ტყუე ყოველი...“.**

გლდანი განსაკუთრებით ხშირად იხსენიება XVI-XVIII საუკუნეების საბუთებში. მათ შორის უნდა დავასახელოთ 1579 წლის საბუთი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ალექსანდრე კახთა მეფემ განუახლა სვეტიცხოველს გლდანში ღაჭიძეების შეწირულობა. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გლდანი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მისი ყმა-მამულის დიდი ნაწილი კახეთის თავადთა შორის უწარჩინებულესსა და შემძლებელს — ჯანდიერებს ეკუთვნოდა, ხოლო ნაწილი — ისევ სვეტიცხოვლის მონასტერს. 1579 წელს კახთა მეფე ალექსანდრე II-მ სვეტიცხოველს განუახლა მამულები გლდანში. XVI-XVIII საუკუნეებში ჯანდიერის შვილებს გლდანის ყმა-მამულების ნაწილს გურამიშვილები ედავებოდნენ. კახეთის სამეფო კარი ცდილობდა, სვეტიცხოვლისთვის წაერთმია ყმა-მამული და თავის ვასალებისთვის გადაეცა. შუა საუკუნეების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე გლდანი, ისევე როგორც მთელი კახეთის სამეფო, შედიოდა რუსთველის სადროშოში, რომელსაც რუსთველი ეპისკოპოსი უძღვებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ სოფელი ტფილისის გუბერნიის თიანეთის მაზრაში შევიდა. გაზეთ „დროებაში“ (1885 წ. 180 ) ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ისტორიის მკვლევარი **ზაქარია ჭიჭინაძე** წერდა: „თბილისის ახლო-მახლო სოფლებში გლდანისა და დიღომისთანა ნაყოფიერი და სარგებლიანი სოფლები, მგონი, არც ერთი არ უნდა იყოს. ეს ორი სოფელი მართლაც ხომ სანაქებონი არიან, როგორც ვენახებით, ისე ჰაერით, ერბოთი და წყლით“. გლდანის რეგიონი უძველესი პერიოდიდან ყოფილა დასახლებული. მთელი ამ ხნის მანძილზე მან ისეთივე ბედი გაიზიარა, როგორც თბილისმა და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებმა, რომელთა ისტორიიდან იგი არასოდეს ყოფილა ამოვარდნილი. მიუხედავად ამისა, მრავალჯერ მტრისაგან განადგურებული ძალას იკრებდა, მტერს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა, ცხოვრება დროდადრო ჩვეულ რიტმში დგებოდა და ძველებურ სიდიადეს უბრუნდებოდა.

სოფელი გლდანი დღეს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული, მდებარეობს საგურამოს ქედის სამხრეთ კალთის ძირში, მცხეთიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდ. გლდანის წყლის ორივე ნაპირზე. სოფელი გლდანი დედაქალაქის საგარეუბნო სოფელს წარმოადგენს.

1960-იან წლებში, როდესაც ქალაქ თბილისის ინტენსიური სამოსახლო განაშენიანება მიმდინარეობდა, სოფელ გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენდა **გლდანის მასივი**. გლდანის დასახლების მშენებლობისათვის თავდაპირველად გამოიყო 750 ჰექტარი ფართობი. ამ პერიოდში გლდანის ტერიტორიაზე აშენდა საცხოვრებელი კვარტლები.

გლდანი სხვა მასივებიდან იმითაც გამოირჩეოდა, რომ აქ არის მეტროსადგური „ახმეტელი“, თეატრი (1979 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელსაც 1987 წლის 14 იანვარს ქართველი რეჟისორის — სანდრო ახმეტელის სახელი მიენიჭა).

1975-1976 წლებში დედაქალაქის გლდანის საცხოვრებელი მასივის მშენებლობის გამო მასივის ტერიტორიაზე გათხრებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გლდანის არქეოლოგიური ექსპედიცია. გათხრებთან ერთად ექსპედიციამ დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა სოფ. გლდანის, აგრეთვე, მისი მიმდებარე ჯოხთანისა და ვეჯინის ხევების მიდამოებში. აღსანიშნავია, რომ გლდანის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრები გაცილებით ადრე — 1903 წელს ჩაუტარებია **ე. რესლერს;** 1964 წელს სოფელში, მშენებლობის დროს, დანგრეულა ადრე შუა საუკუნეების ქვის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის რამდენიმე სამკაული. 1979 წელს კი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მდ. ხევძმარის მარჯვენა ნაპირზე, გლდანის მასივის V მიკრორაიონის ტერიტორიაზე გათხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი და შუა საუკუნეების ნამოსახლარი. **1975-1976 წლებში დაზვერვის შედეგად გლდანის მიდამოებში მიაკვლეს სხვადასხვა ეპოქისა და ხასიათის არქეოლოგიური ძეგლებს, ნასახლარებს, აღმოჩენილია უამრავი უძველესი და საყურადღებო ნივთი. ჩატარებული გათხრების შედეგად, ნათელი გახდა, რომ გლდანის მიდამოებში მრავალი ნასოფლარია**. არც ისე დიდი ხნის წინათ აქ დასახლებული პუნქტები იყო ვეჯინი, მამკოდა, მშრალიხევი, ლელუბანი, თუმცა უკანასკნელი სამი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მოქმედ დასახლებულ პუნქტებადაა შეტანილი, გაცილებით ძველი ნასოფლარებია — დიდმანიანი, პატარა მანიანი, ზედვაკე, ნატუსები, საყინულე, ხოდაბუნები და სხვ.

სოფელ გლდანის სამხრეთით, ახალ სასაფლაოზე დგას **ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც** თარიღდება VIII-IX საუკუნეებით. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვითა და ქვიშაქვით. აღდგენამდე სრული სიმაღლით შემორჩენილი იყო აღმოსავლეთი კედელი. შესასვლელი დასავლეთიდანაა. სწორკუთხა საკურთხეველში ერთი ვიწრო სარკმელია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში თითო მაღალი თაღოვანი სარკმელი და თითო სწორკუთხა ნიშია.

გლდანის ჩრდილოეთით, ძველ სასაფლაოზე **წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესია** დგას, აგებულია IX-X საუკუნეებში.

არქიტექტურული ძეგლია **ვეჯინის კომპლექსი**, რომელიც სოფელ გლდანის დასავლეთით, ვეჯინის ხევში, გლდანი-თიანეთის გზიდან 1,5 კმ-ზე მდებარეობს. იგი VIII-IX საუკუნეებით თარიღდება.

გლდანის დასახლებით ჩრდილოეთით სერზე დგას პატარა გვიან შუასაუკუნეების დარბაზული ეკლესია — **იყდრიას საყდარი**. ნაგებია რიყის ქვით. დასავლეთის მხრიდან აქვს კარი, ხოლო დანარჩენ კედლებზე — თითო სარკმელი. აფსიდი სწორკუთხაა და რამდენიმე ნიში კედელშია.

როგორც გაზეთი „ივერია“ წერდა, აქ **სამონასტრო სკოლა** აკურთხეს 1897 წლის 20 იანვარს, რომლისთვისაც შენობა უფასოდ დაუთმია **ექიმ სპირიდონ ვაწაძეს.** იგი 1897 წლის 8 ივნისს ამავე სკოლის მეთვალყურედ დაუნიშნავთ. აღნიშნული სასწავლო დაწესებულების ბაზაზე შეიქმნა სამი ჯგუფისაგან შემდგარი სკოლა — ქართული, რუსული და საღმრთო სჯული. ამ სასწავლებლის ხელმძღვანელი იყო ქართველი პედაგოგი გიორგი ფარადაშვილი. ახლა ეს სკოლა ასზე მეტი წლისაა და მისი აღზრდილი დამსახურებული მოღვაწის, პროფესორის — შალვა გოგიძის სახელს ატარებს. სკოლაში არაერთი გამოჩენილი ადამიანი გაიზარდა.

გლდანის ტერიტორიაზე არის **დიდი გლდანის ტბა** (თეთრი ტბა). ტბის წარმოშობა ტექტონიკურია. მდებარეობს ზღვის დონიდან 546 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართობი 0,2 კმ-ია, აუზის ფართობი — 0,77 კმ. ტბის სიგრძე დაახლოებით 900 მ-ია, ხოლო სიგანე — 300 მ. ტბა, ძირითადად, წვიმისა და თოვლის წყლებით, აგრეთვე, მარილოვანი წყაროებით საზრდოობს, რის გამოც იგი დამლაშებულია და თითქმის მოკლებულია იხტიოფაუნას. მაღალი დონეა გაზაფხულზე, დაბალი — ზაფხულში. ტბა გაუდინარია და სიბერის სტადიაშია; მისი ფართობი თანდათან მცირდება და სანაპიროები მლაშობის მცენარეულობით არის დაფარული.

XIX საუკუნის ბოლოს გლდანში 150 კომლი ცხოვრობდა, 1926 წლის მოსახლეობის აღწერით, 288 კომლი (1277 სული) ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ გლდანი 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ავჭალის სასოფლო საბჭოში შედიოდა.

გლდანის რაიონის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე მწყობრში ჩადგა რამდენიმე ქარხანა: 1934 წელს ამოქმედდა ქარხანა „ცენტროლიტი“, 1940 წელს — ავჭალის შამპანურის ქარხანა, 1941 წელს — ჩაის საწონი ფაბრიკა, 1954 წელს — კონიაკის ქარხანა, 1967 წელს — საფუარის ქარხანა, 1978 წელს — სამკერვალო ტრიკოტაჟის ფაბრიკა, 1984 წელს — ჩაის კომბინატი „ბახმარო“.

როგორია გლდანი დღეს?

გლდანი დღეს თანამედროვე ტიპის დასახლებაა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსებითა და სხვადასხვა დაწესებულებებით. 2014 წელს გლდანში აიგო და ფუნქციონირებს „გლდანი მოლი“ — 7 სართულიანი სავაჭრო ცენტრი, რომელიც ერთ კომფორტულ სივრცეში სხვადასხვა ტიპის მაღაზიებს, კაფეებს, რესტორნებს, ბავშვთა გასართობ და სადღესასწაულო ცენტრს აერთიანებს. „გლდანი მოლში“ 100-მდე კომერციული ობიექტი მუშაობს, მათ შორისაა ცნობილი საერთაშორისო ბრენდებისა და ქსელების მაღაზიები. მოკლე ხანში გლდანში ახალი პარკის მშენებლობა იწყება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა კალათბურთის მოედანი, ამფითეატრი, სასეირნო სივრცე, სათამაშო მოედნები, ბილიკები... გლდანის მე-6 მიკრორაიონს რამდენიმე თვეში ულამაზესი პარკი ექნება.

**გლდანი განსაკუთრებით ხშირად იხსენიება XVI-XVIII საუკუნეების საბუთებში. მათ შორის უნდა დავასახელოთ 1579 წლის საბუთი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ალექსანდრე კახთა მეფემ განუახლა სვეტიცხოველს გლდანში ღაჭიძეების შეწირულობა. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გლდანი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მისი ყმა-მამულის დიდი ნაწილი კახეთის თავადთა შორის უწარჩინებულესსა და შემძლებელს — ჯანდიერებს ეკუთვნოდა, ხოლო ნაწილი — ისევ სვეტიცხოვლის მონასტერს**



ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ გლდანში

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შოტლანდიელმა ქალბატონმა უკანასკნელი ფული 26 წლის შრილანკელ ბოიფრენდს დაახარჯა, მაგრამ ერთი წლის თავზე მისი ბედნიერება დასრულდა — პრიანიანი მოკლეს და დიანა დე ზოისა ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა სამშობლოში.



## ცოლი ქმარს არ დაუწვა და სიცოცხლესაც გამოემშვიდობა

**ეჭვიანმა ქმარმა დაახრჩო თავისი ცოლყოფილი მას შემდეგ, რაც იმ საწყალმა უარი უთხრა, უკანასკნელად დაწოლილიყო მასთან. მარტინ კავანა 100 გირვანქა სტერლინგსაც დაჰპირდა, მაგრამ არც ამან გაჭრა. 31 წლის სოფის ცხედარი მეორე დღეს მის საწოლში საბანგადაფარებული იპოვეს, — იუწყება The Sun.**

მკვლელობამდე ერთი დღით ადრე სოფიმ მეგობარს უამბო, რომ ქმარი ფულს სთავაზობდა, უკანასკნელ სექსუალურ აქტზე რომ დათანხმებულიყო. ილტვოდა მისკენ და გამუდმებით წერდა შეტყობინებებს, ეფიცებოდა სიყვარულს: „შენ ჩემს ჭრილობებს მარილს აყრი", „მინდა, რომ უკანასკნელად ჩემი გახდე".

მკვლელობის დღეს კი სოფი და მარტინი ინგლისის კენტის ველური ბუნების პარკში სეირნობდნენ, შემდეგ წავიდნენ მეგობრებთან შესახვედრად.

გამოძიებით დადგინდა, რომ სიკვდილის წინ ქალი დიდხანს ელაპარაკებოდა ვილაცას, რამაც ისედაც ეჭვიანი ქმარი კალაპოტიდან ამოაგდო და დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. ჩხუბი ტრაგედიით დამთავრდა.



## პენსიონერმა ქალმა იყიდა ახალგაზრდა ქმარი, რომელიც ბანდიტებმა მოუკლეს

**შოტლანდიელმა ქალბატონმა უკანასკნელი ფული 26 წლის შრილანკელ ბოიფრენდს დაახარჯა, მაგრამ ერთი წლის თავზე მისი ბედნიერება დასრულდა — პრიანიანი მოკლეს და დიანა დე ზოისა ცარიელ-ტარიელი დაბრუნდა სამშობლოში, — იუწყება Daily Record.**

ქალმა საყვარელ ქმარს სახლი და მიკროავტობუსიც კი უყიდა, მაგრამ ადგილობრივმა ბანდიტებმა მოკლეს პრიანიანი. ამ უკანასკნელის ოჯახმა კი მძევლად აიყვანა ქვრივი და მის პენსიას ითვისებდა.

„იქ დარჩენა არ შემეძლო. დავრწმუნდი, რომ სულელურად მოვიქეცი, როცა ჩემი ოჯახის წევრებსა და ჩემს მეგობრებს არ დავუჯერე. ისინი მიმტკიცებდნენ, რომ სიყვარული მოჩვენებითი იყო და ყველაფერი ფულის გამო კეთდებოდა".

დიანამ პრიანიანი შვიდი წლის წინათ გაიცნო, შრილანკაში რომ ისვენებდა, მაშინ. ახალგაზრდა კაცი მუშაობდა სასტუმროში, სადაც შოტლანდიელი პენსიონერი ცხოვრობდა. შვიდი თვის თავზე ისინი დაქორწინდნენ.

„ჩემი ქმრის ოჯახს ორი წლის განმავლობაში ფაქტობრივად დაპატიმრებული ვყავდი. ვერსად გავდიოდი, პლაჟზეც კი. თავი სასწაულებრივ დავიხსენი", — აცხადებს ქვრივი.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## ნარკოვაჭარმა გააუპატიურა მოსწავლე გოგონა და მხოლოდ 3 წლით ჩაჯდა ციხეში

**The Sun იუწყება, რომ ნარკოტიკების გამსაღებელმა ბრაიან ვარელამ გადაჭარბებული დოზირებით სიკვდილის პირამდე მისული გოგონა გააუპატიურა და ამ საშინელი დანაშაულის ჩადენისთვის სასამართლომ მას მხოლოდ 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა.**



უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე **ლინდა კრეზმა** განაცხადა, რომ მანქანების გამტაცებლებიც კი უფრო მკაცრად ისჯებიან, მაგრამ, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მას ხელ-ფეხი შეკრული აქვს და მეტს ვერაფერს გააკეთებს.

ტრაგედიის დღეს 19 წლის ბრაიანმა მეგობრებს გონებადაკარგული გოგოს ფოტოსურათი გაუგზავნა წარწერით: „პოლ, მგონი ამ გოგომ ზედმეტი დოზა მიიღო". მომდევნო შეტყობინებაში ყვება: „დრო რამენაირად რომ მოვკლა, ამ გოგოს ვცემ", რაზეც მეგობრები უპასუხებენ: „მკვდარს ჰგავს" და „ძმობილო, მგონი, მოკალი იგი". ბრაიანმა, სასწრაფო დახმარების გამოძახების ნაცვლად, ვიდეოთამაშებით გართობა გადაწყვიტა და შინიდან წავიდა, შემდეგ უშფოთველად დაიძინა.

გაიღვიძა მეორე დილით. **ალისა ნოსედა** უკვე გარდაცვლილი იყო. ცხედრის თავიდან მოცილება გადაწყვიტა, ის უბედური სიეტლის შემოგარენში, სანაგვეზე გადააგდო, დაღუპულის თითის გამოყენებით განბლოკა მისი მობილური ტელეფონი და დედას მისწერა, რომ სახლიდან გაიქცა.



ბრაიან ვარელა



ალისა ნოსედა

შედეგად მას ბრალად წაუყენეს პირველი ხარისხის მკვლელობა და გვამის უკანონოდ დამარხვა. რის გამოც 9 წლით პატიმრობა უნდა მიესაჯათ, მაგრამ პროკურორებს მტკიცებულებები არ ეყოთ და დამნაშავეს საპროცესო გარიგება შესთავაზეს. ამ შემთხვევაში კი მეტის მისჯას კანონი არ ითვალისწინებს. ამას გარდა, ვაშინგტონის შტატის კანონმდებლობით სამედიცინო დახმარების განუხორციელებლობისთვის მოქალაქეებს საერთოდ პასუხს არ სთხოვენ, თუ ეს (დახმარება) არ ესაჭიროება ხანდაზმულებს, ბავშვებსა და ორსულ ქალებს.

## მაფიამ ძაღლის მოკვლისთვის ჯილდოდ 4400 ევრო დააწესა




**ძაღლი პოჩო იტალიური მაფიის დიდ დაბრკოლებად იქცა და ამიტომაც დააწესეს ჯილდო მისი მოკვლისთვის. პოჩომ არაერთხელ ჩაუშალა მაფიოზებს ნარკოტიკებით ვაჭრობის გეგმა თავისი არაორდინარულად „მგრძნობიარე" ცხვირის წყალობით, — იუწყება Daily Star.**



გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ძაღლმა კამორა (მაფია) მილიონობით დოლარით დააზარალა. პოჩომ ორ ტონამდე აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩენინა სამართალდამცველებს.

ეს ძაღლი პოლიციელების სამსახურში შემთხვევით მოხვდა: ყოფილმა პატრონმა მოიცილა იმის გამო, რომ შვილს ალერგია დაემართა. პოჩოს მწვრთნელმა ადგილობრივ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს ძაღლი იდეალური მაძებარია — პატარაა და შეუძლია, შეძვრეს იქ, სადაც დიდი ძაღლები ვერ შეეტევიან. ასე აღმოაჩინა მან ნეაპოლში 30 კილოგრამი კოკაინი.

**თუკი ევროპა მთლიანად დემითოლოგიზებულია, საქართველო, პირიქით, ინარჩუნებს მითოლოგიზებული საზოგადოების ყველა ნიშან-თვისებას, რაც თავის თავში ისტორიასა და ტრადიციებზე უფრო დიდი აქცენტის გაკეთებას ნიშნავს. ეს აქცენტი ზოგჯერ ძალზე ჭარბად არის კიდეც გამოხატული. შესაძლოა, რომ სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარეობს ჩვენში ძლიერ ლიდერზე მოთხოვნა, რასაც, განსხვავებით დასავლეთის ძლიერი ლიდერებისგან (დემითოლოგიზებულ საზოგადოებაშიც არის მოთხოვნა ძლიერ ლიდერებზე), გადამეტებული ემოციური ფონი ახლავს, მაგრამ ძლიერ ლიდერთან დაკავშირებული მოლოდინი კრახით სრულდება ნომინალური დამოუკიდებლობის თითქმის უკვე სამი ათეული წლის განმავლობაში.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ ვერ ეღირსა საქართველოს პრეზიდენტის «მამობრივი» ტიპი

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ყაზახეთის სახელმწიფოებრობისთვის პრეზიდენტის ინსტიტუტის და, კერძოდ, ნურსულთან ნაზარბაევის მნიშვნელობასა და ღვაწლზე მქონდა საუბარი. რედაქციამ მთხოვა, ეს თემა საქართველოს მიმართ გარკვეულწილად განმევრცო და შემევსო. ამ თხოვნას სიამოვნებით ვასრულებ. აქვე აღვნიშნავ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა მხოლოდ საკითხის ერთგვარი დასმა იქნება, შემდგომი პოლიტოლოგიური კვლევების აუცილებლობით. იმედია, საქართველოში გაჩნდება მოთხოვნა მეცნიერულ კვლევებზე, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ ამისგანაც შორს ვართ.**






## ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ გადაიქცა «მამობრივი ტიპის» მზრუნველ მმართველად, კონსენსუსისა და თანხმობის წყაროდ, ყველა მხარისთვის, მხარდამჭერებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც, მისაღებ, ავტორიტეტულ ლიდერად

ნაზარბაევის შესახებ აღვნიშნე, რომ იგი არის პრეზიდენტის „მამობრივი“ ტიპი, რომლის მსგავსიც ჩვენს საპრეზიდენტო ისტორიაში, 1991 წლიდან დღემდე, ან თუნდაც 1918-1921 წლების რესპუბლიკა რომ ავიღოთ, არ გვყოლია. არადა, ქართველობა, თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, ბაგრატოვანთა მონარქიას სწორედ ასეთ „მამობრივ“ მოვლენად აღიქვამდა და ქართული ბატონყმობაც, ამ მოვლენასთან დაკავშირებული ყველა სიმახინჯის (მაგ., ტყვის სყიდვის) მიუხედავად, ერთგვარ მამაშვილურ ურთიერთობად აღიქმებოდა ბატონსა და ყმას შორის. აქვე აღვნიშნავ, რომ პრეზიდენტის „მამობრივი ტიპი“ სახელდახელოდ მოვიგონე საგაზეთო სტატიისთვის, მეცნიერული სიღრმის გარეშე, მაგრამ ეს ტერმინიც ერთგვარად ამ ისტორიულ რეალობას ასახავს. მონარქს არა მხოლოდ საქართველოში აღიქვამდნენ „მამად“; მაგალითად, რუსეთშიც მეფეს, იმპერატორს, არაოფიციალურად „მამად“ მოიხსენიებდნენ (Царь-батюшка). მონარქიის არქონის პირობებში ქართველობისთვის წმინდანი-განმანათლებელი **ილია ჭავჭავაძე** (ილია მართალი) მიჩნეული ერის მამად, ხოლო დღეს ერზე მოამაგე სულიერი მამა მისი უწმინდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გახლავთ. თუმცა წმ. ილია მართალი თავის დროზე ისევ ქართველებმა მოკლეს და მისი ღვაწლი ქართველებს ერის კიდევ ერთმა უდიდესმა შვილმა, დღეს თავის სამშობლოში ძეგლწართმეულმა **იოსებ სტალინმა** შეახსენა, ხოლო პატრიარქი, გამომდინარე ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან კონსტიტუციური გამიჯვნისა, არ ფლობს პოლიტიკაზე ზემოქმედებისთვის აუცილებელ ყველა ბერკეტს.

პრეზიდენტის თანამდებობა ბურჟუაზიული ეპოქის, მონარქიულ წყობილებას დაპირისპირებული რესპუბლიკური სისტემის ნაყოფს წარმოადგენს. რესპუბლიკა, ახალი ეპოქის ნაციონალური სახელმწიფო, სახალხო სუვერენიტეტის იდეა, „მოქალაქე“, ნაცვლად ქვეშევრდომისა... ამ კონტექსტში პრეზიდენტი ვერ იქნება „მამა“, როგორც მირონცხებული მეფე იყო თავისი ხალხისთვის. მაგრამ, თუკი პრეზიდენტს აღვიქვამთ არა მხოლოდ „დაქირავებულ პოლიტიკოსად“, რომელმაც უნდა შეასრულოს „სოციალური დაკვეთა“, არამედ ერის ლიდერად, მაშინ, „ქარიზმასთან“ ერთად, შესაძლებელია, მასთან „მზრუნველი მამის“ არქეტიპის დაკავშირება. საინტერესოა, რომ ბრიტანულ მონარქიასთან ბრძოლის შედეგად წარმოშობილი ამერიკის შეერთებული შტატების დამაარსებლები, შემდეგ კი პრეზიდენტები — **ვაშინგტონი, ადამსი, ჯეფერსონი, მედისონი** და სხვ. ისტორიაში შეერთებული შტატების „მამა-დამაარსებლებად“ შევიდნენ.

არსებობს ერისა და სახელმწიფოს მითოლოგიზებული და დემითოლოგიზებული ცნებები. თუკი ევროპა მთლიანად დემითოლოგიზებულია, საქართველო, პირიქით, ინარჩუნებს მითოლოგიზებული საზოგადოების ყველა ნიშან-თვისებას, რაც თავის თავში ისტორიასა და ტრადიციებზე უფრო დიდი აქცენტის გაკეთებას ნიშნავს. ეს აქცენტი ზოგჯერ ძალზე ჭარბად არის კიდეც გამოხატული. შესაძლოა, რომ სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარეობს ჩვენში ძლიერ ლიდერზე მოთხოვნა, რასაც, განსხვავებით დასავლეთის ძლიერი ლიდერებისაგან (დემითოლოგიზებულ საზოგადოებაშიც არის მოთხოვნა ძლიერ ლიდერებზე), გადამეტებული ემოციური ფონი ახლავს, მაგრამ ძლიერ ლიდერთან დაკავშირებული მოლოდინი კრახით სრულდება ნომინალური დამოუკიდებლობის თითქმის უკვე სამი ათეული წლის განმავლობაში. ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ გადაიქცა „მამობრივი ტიპის“ მზრუნველ მმართველად, კონსენსუსისა და თანხმობის წყაროდ, ყველა მხარისთვის, მხარდამჭერებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც, მისაღებ ავტორიტეტულ ლიდერად.

1991 წელს საქართველომ, ისევე, როგორც დანგრევის პირას მისული საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უმრავლესობამ, საპრეზიდენტო მოდელს დაუჭირა მხარი, ამ ბურჟუაზიული ტერმინის ჩათვლით. საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის უდიდეს ნაწილში არ იყვნენ „პრეზიდენტები“, სახელმწიფოს მეთაურის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები გამოიყენებოდა და სხვა თანამდებობები არსებობდა. მაშასადამე, საქართველომ, დამოუკიდებლობის პირობებში, მიიღო ეს დასავლურ-ბურჟუაზიული ტერმინი. 1992 წელს, გამომდინარე იქიდან, რომ **გამსახურდიას** დამხობის შედეგად პრეზიდენტის პოსტმა თურმე „ვერ გაამართლა“, ეს ტერმინი დროებით ქრება საქართველოს პოლიტიკური რეალობიდან, შინ დაბრუნებული შევარდნაძე, ქართული შესატყვის- „სახელმწიფოს მეთაურად“ იწოდება, მაგრამ 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, ისევ აღდგა პრეზიდენტის ცნებაც და ინსტიტუტიც, რადგან შევარდნაძე ყველაფერს „გააკეთილშობილებდა“, რასაც შეეხებოდა.

სააკაშვილის უკიდურესად ძლიერი საპრეზიდენტო მოდელი, მისი მმართველობის დასრულების შემდეგ თვით სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო ეტაპზე განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე გარდაიქმნა ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელად. დღეს კი, როგორც ცნობილია, უკანასკნელად მოხდა საყოველთაო-სახალხო გზით პრეზიდენტის არჩევა და 2022 წლიდან ეს თანამდებობა უმნიშვნელო ხდება. ნაწილობრივ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სააკაშვილმა ნებაყოფლობით გაიმეორა 1992 წელს გამსახურდიას შემდეგ შექმნილი ვითარება, როდესაც ძლიერ საპრეზიდენტო მოდელზე ითქვა უარი. ხალხიც შედარებით იოლად შეელია ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტს, ალბათ, იმიტომაც, რომ ვერ ეღირსა თან ძლიერი და თან „მამობრივი“, ანუ მზრუნველი ტიპის პრეზიდენტს, ერის ლიდერს.

ქართული სპეციფიკა საკმაოდ მკაფიო ხასიათისაა. იკვეთება ერთგვარი ციკლურობა და კორელაციები. კერძოდ, ყოველი ახალი ლიდერის მოსვლას თან ახლავს დიდი საერთო-სახალხო აღტკინება, რომელიც მალევე ნელდება და იმედგაცრუება და აპათია ისადგურებს. ასე იყო პირველი პრეზიდენტის ჟამს. დიდი ენთუზიაზმით პრეზიდენტად მოსული ეროვნული ლიდერი შეცდომას შეცდომაზე უშვებს და გაპრეზიდენტებიდან სულ რამდენიმე თვეში ამხობს საკუთარი გარემოცვა დაშლილი „მრგვალი მაგიდიდან“. რომ არა საზოგადოების ნაწილში პრეზიდენტით იმედგაცრუება, ეს შეუძლებელი იქნებოდა. რუსეთისკენ თითის გაშვერა თავის მოტყუებაა. დაშლილი საბჭოთა კავშირის პერიფერიაზე დარჩენილი რუსული გარნიზონები იარაღს ჰყიდდნენ როგორც ერთ, ისე მეორე დაპირისპირებულ მხარეზე, ხოლო თბილისის ქუჩებში ხალხმრავალი მიტინგები ეწყობოდა, როგორც პრეზიდენტის მხარდამჭერების, ისე მისი მოწინააღმდეგეების მიერ. შინაარსით ანტიეროვნული, მაგრამ ფორმით საკმაოდ მსგავსი მოვლენა იყო სააკაშვილის მმართველობა. სააკაშვილი მართლაც საერთო-სახალხო ენთუზიაზმის ტალღაზე მოვიდა, მაგრამ ხალხის ნდობა მის მიმართ მალევე შეიცვალა უნდობლობით. შეიძლება ითქვას, რომ 2006-2007 წლების მიჯნაზე სააკაშვილის პოპულარობა მკვეთრად შემცირდა საკუთარი შეცდომებისა და არასწორი კურსის გამო, რამაც შესაძლებელი გახადა 2007 წლის ნოემბრის ხალხმრავალი აქციების დაწყება მისი გადადგომის მოთხოვნით. ამ მომენტიდან მისი მმართველობის დასრულებამდე 2012-2013 წლებში, სააკაშვილის ხელისუფლება მუდმივი წნეხის ქვეშ იყო საზოგადოების მხრიდან და მართვის სადავეებს მხოლოდ რეპრესიული მეთოდებით ინარჩუნებდა. 2008 წლის დანაშაულებრივი ომიც ამ კონტექსტში ჯდება — როგორც პირველი პრეზიდენტის დროს მიდიოდა „სუკის აგენტების“ მუდმივი „მხილება“, სააკაშვილმა, თვითონ რუსეთის აგენტის დისშვილმა, „რუსეთის აგენტებზე“ ნადირობა გამოაცხადა (ბიძამისის გამოკლებით).

სააკაშვილმა მოახერხა და შეკრიბა რაღაც რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც მისი ფანატიკური მომხრეები არიან და მას აღმერთებენ. გამსახურდიას დროსაც ჩამოყალიბდა მისი მომხრეების კატეგორია, რომელიც თავისი ლიდერის მიმართ ოდნავ კრიტიკასაც დიდი აგრესიით ხვდებოდა. უნდა ითქვას, რომ, თუ გამსახურდიას დროს ეს პროცესი სპონტანური იყო, სააკაშვილმა ხელოვნურად შექმნა თავის მიმართ უკრიტიკოდ განწყობილი ფანატიკოსების მასა, ამ მასაში მრავალი მეგი გოცირიძეა, 1990-იანების დასაწყისის კარვის ქალების მსგავსად.

გამსახურდიას შემდეგ მოვიდა განსხვავებული ტიპის ლიდერი, ისევე, როგორც სააკაშვილის შემდეგ მოვიდა წინამორბედისგან განსხვავებული ტიპის ლიდერი — შევარდნაძე და ივანიშვილი ერთმანეთს ჰგვანან გარეგნული სიდინჯით, საქმიანი მანერით, სოლიდურობის იმიჯმოსილობით. შევარდნაძესა და ივანიშვილს, განსხვავებით გამსახურდიასა და სააკაშვილისაგან, ასე ვთქვათ, ნაკლები ხმაური ახლავს, მათი მომხრეები ნაკლებ ეგზალტირებულნი არიან. თუმცა, ისიც შეიძლება აღვნიშნო, რომ რეალურად, შევარდნაძეს, გარკვეული ხნის შემდეგ, თითქმის აღარ დარჩა მომხრეები ხალხში და ძალაუფლებას იგი იმით ინარჩუნებდა, რომ რეალური ოპოზიცია, მასზე უკეთესი, არ ჰყავდა, სანამ სააკაშვილმა არ დაამხო იგი. ასევეა ივანიშვილიც — იგი საზოგადოებას აშანტაჟებს „ნაციონალური მოძრაობით“, რომ, თუ არა ის, მოვა ისევ სააკაშვილი, „გიჟი მიშა“. იმის თქმა მსურს, რომ ივანიშვილსაც არ დარჩა ხალხში რეალური მომხრეები. მით უმეტეს, არ ჰყავს ფანატიკური მომხრეების ყურადსაღები რაოდენობა, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური კერპის კრიტიკის გამო ოპონენტებს „თვალებს დათხრიან“.

მაგრამ მათაც აქვთ საერთო პირველ და მესამე პრეზიდენტებთან — ეს არის ანტირუსული კურსი. შევარდნაძესაც და ივანიშვილსაც რუსეთთან შედარებით უკეთესი ურთიერთობები ჰქონდათ, ვიდრე გამსახურდიასა და სააკაშვილს, მაგრამ არსებითად უფრო მძიმე და სიღრმისეული დაპირისპირება გრძელდებოდა და გრძელდება მეზობელ სახელმწიფოსთან, რომელიც ჩვენი ძალისხმევით მოვიკიდეთ მტრად და ვაქციეთ „ოკუპანტად“, თუმცა ეს მტრობაც არ არის რუსეთის მხრიდან ბოლომდე თანამიმდევრული მტრობა (რაც ლოგიკით უნდა მიგვეღო) და ეკონომიკური თვალსაზრისით ისევ რუსეთია ჩვენი გადამრჩენი, როგორც შევარდნაძის დროს გადაგვარჩინა. შეიძლება ეს პარადოქსია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება ***(შეხსენებისთვის: რუსული შრომისა და გასაღების ბაზარი, უდიდესი წილი ფულად გადმორიცხვებში, ტურისტების უზარმაზარი ნაკადი...).***

აი ეს კორელაციები და ციკლები მინდოდა გამომეყო საქართველოს ბოლო ოთხი ლიდერის მმართველობას შორის (არ დამვიწყებია, რომ ივანიშვილს პრეზიდენტის თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ რეალურად იგი იყო და არის ლიდერი, პრეზიდენტზე მეტი). ვიცი, რომ ეს არის ჯერ კიდევ საკამათო და დასამუშავებელი ფორმულირებები, მაგრამ დაფიქრება მაინც გვმართებს. რატომ ვერ იქცა ვერც ერთი პრეზიდენტი საყოველთაო, „მამობრივ“ ლიდერად, რთული სათქმელია და ერთ-ერთი მიზეზი ამისა, ალბათ, საზოგადოების მიამიტობა, მოუთმენლობა და სხვა ნეგატიური თვისებებია, ამ ლიდერების სისუსტეებთან ერთად. მაგრამ, გამომდინარე ზემოთ ასახული კორელაციებიდან და ციკლებიდან, სავსებით შესაძლებელია, რომ ფლეგმატური ივანიშვილისა და უსახურ-უნიათო „ოცნებისგან“ გადაღლილ საზოგადოებას ისევ მოსწყურდება ქარიზმული ლიდერი, ოღონდ უმრავლესობისთვის ეს ლიდერი ვერ იქნება სააკაშვილი (ეს ამ ბოლო არჩევნებმაც დაამტკიცა). შესაბამისად, **საზოგადოება ახალი, ქარიზმული, მაგრამ უფრო დაბალანსებული ლიდერის მოლოდინშია, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გადახედავს რუსეთის მიმართ აღებული კონფრონტაციის კურსს, მაგრამ, საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტოზე გადასვლის გამო, შესაძლოა, ციკლის ნაცვლად მივიღოთ ახალი, სამწუხაროდ, ქაოსური და გაუთვალისწინებელი შედეგი.**

**გულბაათ რცხილაძე**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დედამიწაზე ყველაზე მაღალი მწვერვალია ჯომოლუნგმა (ევერესტი). ტიბეტურ ენაზე ჯომოლუნგმა ნიშნავს „სასიცოცხლო ენერგიის ღვთაებრივ დედას“. მთას ეს სახელი ჰქვია ქალღმერთ შერაბ ჩჟამას პატივსაცემად. ინგლისური სახელწოდება ევერესტი კი ბრიტანეთის ინდოეთის გეოდეზიური სამსახურის ხელმძღვანელის, სერ ჯორჯ ევერესტის, პატივსაცემად უწოდეს.**

# 10 ყველაზე მაღალი მწვერვალი მსოფლიოში

ყველამ, ალბათ, იცის, რომ მსოფლიოში ყველაზე მაღალი მწვერვალი ჯომოლუნგმაა (ევერესტი), მაგრამ შეგიძლიათ დაასახელოთ მეორე მთა სიმაღლის მიხედვით ან თუნდაც 3 ყველაზე მაღალი მთა? იცით, მსოფლიოში რამდენია 8000-მეტრიანი მწვერვალი? პასუხები იხილეთ ქვემოთ:



## 10. ანაპურნა (ჰიმალაი) – 8091 მ

ყველაზე მაღალი მწვერვალია მთათა სისტემისა ანაპურნა. სიმაღლით 8091 მეტრია და მეათე ადგილს იკავებს ყველაზე მაღალი მთების სიაში. ამ მწვერვალზე ასვლისას მთამსვლელთა დაღუპვის დონე 32% იყო, მაგრამ 1990 წლიდან ეს მონაცემი 17%-მდე შემცირდა.

ანაპურნა სანსკრიტიდან ითარგმნება, როგორც ნაყოფიერების ქალღმერთი.

ეს მწვერვალი პირველად 1950 წელს დაიპყრეს ფრანგმა ალპინისტებმა **მორის ერცოგმა** და **ლუი ლაშენალმა.**



## 9. ნანგაპარბატი (ჰიმალაი) – 8125 მ

ნანგაპარბატი ძალიან სახიფათო მწვერვალია ალპინისტებისთვის. ამ მთის სიმაღლე 8125 მეტრია. ევროპელთაგან ეს მწვერვალი მე-19 საუკუნეში პირველად შენიშნა **ადოლფ შლაგინტვეიტმა** და პირველი ჩანახატებიც გააკეთა. 1895 წელს მწვერვალის დაპყრობის პირველი მცდელობა ჰქონდა ალპინისტს დიდი ბრიტანეთიდან — **ალბერტ ფრედერიკ მამერის,** მაგრამ ის და მისი გამყოლები დაიღუპნენ. შემდეგ იყო სხვა მცდელობებიც 1932, 1934, 1937, 1939, 1940 წლებში, მაგრამ ყველა უნაყოფო. მწვერვალი კი 1953 წელს დაიპყრო გერმანულ-ავსტრიული ექსპედიციის წარმომადგენელმა **გერმან ბულმა.**



## 8. მანსალუ (ჰიმალაი) – 8156 მ

მანსალუ (კუტანგი) — ეს არის მთა, რომელიც შედის ნეპალის მანსირი-ჰიმალაის მთათა სისტემაში. 1950 წელს ტილმანმა გააკეთა მთის პირველი რეკოგნოსცირება და აღნიშნა, რომ მასზე ასვლა შეიძლება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. და მხოლოდ 34 წლის შემდეგ, რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის მერე, 1984 წლის 12 იანვარს მწვერვალი დაიპყრეს პოლონელმა მთამსვლელებმა **რიშარდ გაევსკიმ** და **მაჩეი ბერბეკამ.**

**P.S. კავკასიონზე ყველაზე მაღალი მწვერვალებია: იალბუზი (5642 მ), დიხტაუ (5204 მ), შხარა (5203 მ), კოშტანტაუ (5162 მ), ყაზბეგი (5033 მ), თეთნულდი (4856 მ), ჯიმარაიხოხი (4780 მ), უშბა (4710 მ), დუმალატაუ (4681 მ), უილატა (4649 მ).**



## 7. დჰაულაგირი I (ჰიმალაი) – 8167 მ

დჰაულაგირი I მთათა მასივ დჰაულაგირის უმაღლესი წერტილია. მწვერვალის სიმაღლე 8167 მ-ია. 1808-დან 1832 წლამდე დჰაულაგირი მსოფლიოში ყველაზე მაღალ მწვერვალად ითვლებოდა. მას ალპინისტებმა ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 50-იან წლებში მიაქციეს და მხოლოდ მერვე მცდელობის შემდეგ შეძლეს მწვერვალის დაპყრობა. ევროპის საუკეთესო ალპინისტების ჯგუფმა **მაქს აიზელინის** ხელმძღვანელობით დჰაულაგირი I 1960 წლის 13 მაისს დაიპყრო.

სანსკრიტზე დჰავალა ნიშნავს თეთრს, გირი — გორას, მთას.



## 6. ჩო-ოიიუ (ჰიმალაი) 8201 მ

ჩო-ოიიუ სიდიდით მეექვსე მწვერვალია მსოფლიოში. პირველი ასვლა განხორციელდა 1954 წელს ავსტრიელთა ექსპედიციის მიერ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: **ჰერბერტ ტიხი, იოზეფ იეხლერი** და **პაზანგ დავა ლამა.** ამ ექსპედიციამ 8-ათასმეტრიანი მთა პირველად დალაშქრა ჟანგბადის ნიღბებისა და ბალონების გარეშე. დღეს ჩო-ოიიუზე 15 სხვადასხვა მარშრუტი მოქმედებს.



## 5. მაკალუ (ჰიმალაი) – 8485 მ

მაკალუ სიმაღლით მეხუთე მწვერვალია მსოფლიოში. მდებარეობს ცენტრალურ ჰიმალაიში, ნეპალისა და ჩინეთის საზღვარზე (ტიბეტის ავტონომიური რაიონი).

მაკალუზე პირველად ავიდნენ 1955 წლის 15 მაისს ფრანგი ალპინისტები **ლიონელ ტერაისა** და **ჟან კოზის** ხელმძღვანელობით. დღეს მაკალუზე ასასვლელად მოქმედებს 17 სხვადასხვა მარშრუტი.




## 4. ლჰოცზე (ჰიმალაი) – 8516 მ

სიმაღლის მიხედვით მეოთხე მწვერვალი ტიბეტის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობს. ლჰოცზეზე პირველი წარმატებული ასვლა განხორციელდა 1956 წლის 18 მაისს შვეიცარიელთა ექსპედიციის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: **ერნსტ რაისი** და **ფრიც ლუქსინგერი.**

ლჰოცზეზე ასვლის მცდელობათა მხოლოდ 25% დასრულდა წარმატებით.



## 3. ყანჩენჯანღა (ჰიმალაი) – 8586 მ

1852 წლამდე ყანჩენჯანღა ყველაზე მაღალ მწვერვალად ითვლებოდა, მაგრამ 1849 წლის ექსპედიციის მიერ შესრულებული გათვლების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე მაღალი მწვერვალი არის ევერესტი (ჯომოლუნგმა).

ყანჩენჯანღაზე 1955 წლის 25 მაისს პირველები ავიდნენ **ჯორჯ ბენდი** და **ჯო ბრაუნი.** ყველა მწვერვალზე მცირდება დაღუპვის მონაცემები, მაგრამ ყანჩენჯანღა გამონაკლისია, დღეს ეს მონაცემი 23%-ს შეადგენს.

## 2. ჩოგორი (ყარაყორუმი) – 8614 მ



ევროპულმა ექსპედიციამ ჩოგორი აღმოაჩინა 1856 წელს და აღნიშნა, როგორც მთა K2, ანუ ყარაყორუმის მეორე მთა.

მწვერვალი 1954 წელს პირველად დაიპყრო იტალიელების ექსპედიციამ **არდიტო დეზიოს** ხელმძღვანელობით.

ამჟამად ჩოგორზე ასასვლელი 10 მარშრუტი მოქმედებს. ჩოგორზე ასვლა გაცილებით რთულია, ვიდრე ჯომოლუნგმაზე. სირთულითა და ხიფათის მხრივ ის მეორეა 8-ათასიანებს შორის, ანაპურნას შემდეგ.



## 1. ჯომოლუნგმა (ჰიმალაი) – 8848 მ

დედამიწაზე ყველაზე მაღალი მწვერვალია ჯომოლუნგმა (ევერესტი). ტიბეტურ ენაზე ჯომოლუნგმა ნიშნავს „სასიცოცხლო ენერგიის ღვთაებრივ დედას“. მთას ეს სახელი ჰქვია ქალღმერთ შერაბ ჩჟამას პატივსაცემად. ინგლისური სახელწოდება ევერესტი კი ბრიტანეთის ინდოეთის გეოდეზიური სამსახურის ხელმძღვანელის, სერ ჯორჯ ევერესტის, პატივსაცემად უწოდეს.

ჯომოლუნგმაზე პირველი წარმატებული ასვლა 1953 წლის 29 მაისს განახორციელეს ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და შერპამა თენცინგ ნორგეიმ. ჯომოლუნგმას დაპყრობის მცდელობისას დაიღუპა 260 ადამიანი, თუმცა ყოველწლიურად ამ მწვერვალზე ასვლის მსურველი 400-ზე მეტი ადამიანია.

**ნიკა კორინთელი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიშელ პლატინის თავდაპირველად გაუჭირდა ტურინულ კლუბთან ადაპტაცია, მაგრამ ძალიან დაეხმარა ის, რომ იტალიური ფესვები ჰქონდა, თუმცა ზოგიერთი გულშემატკივარი მის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი, ამასთანავე, პრობლემები შეექმნა ადგილობრივ მედიასთან, მაგრამ ყველაფერს ითმენდა და თავგამოდებით ვარჯიშობდა. შედეგმაც არ დააყოვნა. მიშელი ნელ-ნელა შეეჩვია ადგილობრივ ატმოსფეროს, წეს-ჩვეულებებს. გულშემატკივრების აღიარება კი მოიპოვა „იუვენტუსის“ დაუძინებელ მტერთან, ტურინის „ტორინოსთან“ ცნობილი მატჩის შემდეგ.**

# მიშელ პლატინი — დიდი «მოკლე»

**მიშელ პლატინი (დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს) იყო გამორჩეული ფეხბურთელი, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა საჯარიმო დარტყმებს და მისი ტალანტი მხოლოდ საფეხბურთო მინდვრით არ შემოფარგლულა — ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ პლატინი საფეხბურთო ფუნქციონერად გარდაიქმნა, რაც მიუთითებს მის სულიერ და გონებრივ სიძლიერეზე. ლიონელ მერის გარდა, პლატინი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება და მასთან ერთად ჯილდო — „ოქროს ბურთი“ (ეს ჯილდო მესიმ ზედიზედ 4-ჯერ მოიპოვა).**



**პლატინის** ბიოგრაფიის შესწავლისას გასაგები ხდება, რომ მისგან შეიძლება ფეხბურთელი არ გამოსულიყო, მამა რომ არა. სწორედ მან ჩაუნერგა ყმაწვილ მიშელს ფეხბურთის სიყვარული და ხელს უწყობდა, საფეხბურთო მოედანზე დაუფლებოდა აუცილებელ ჩვევებსა და გაცნობოდა იმ პერიოდის საუკეთესო კლუბების ტაქტიკურ სიახლეებს. იმის გათვალისწინებით, რომ მიშელ პლატინის არ ჰქონდა უნიკალური ფიზიკური მონაცემები და, საერთოდ, დაბალი იყო (მოკლე — ეს მეტსახელი შეარქვეს თანატოლებმა ბავშვობაში), ბიჭი მაინც შესანიშნავად დაეუფლა ბურთთან მუშაობის ტექნიკურ ილეთებსა და ტაქტიკურ ეშმაკობებს. თვითონ პლატინი ამბობდა: „შეიძლება მოიძებნოს 2 მილიონი ფრანგი, რომლებიც სირბილში გამასწრებენ, კიდევ ორ მილიონს შეუძლია ბექებზე დამდოს“.

მიშელის მამა **ალდო პლატინი** ხშირად ასრულებდა შვილის აგენტის როლს. იყო პერიოდი, სელექციონერებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული ახალგაზრდა ტალანტის სახლი. ერთადერთი გამოსავალი იყო, რაც შეიძლება სწრაფად შეერჩიათ კლუბი „მოკლესთვის“. და მამამ აირჩია ლოტარინგიის უძლიერესი კლუბი „ნანსი“. თანაც ალდომ მიიღო ბრძნული გადაწყვეტილება — მარტო არ დაეტოვებინა მიშელი საფეხბურთო აკადემიაში და ეს კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვა. „ნანსის“ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ალდო პლატინი გუნდის მესამე შემადგენლობის გაწრთვნას თავს იოლად გაართმევდა. და შედეგად, მამა და შვილი აღმოჩნდნენ ერთი გუნდის შემადგენლობაში.

ჭაბუკ პლატინის თავდაპირველად ძალიან უჭირდა უფროს პარტნიორებთან ვარჯიში და თამაში, ამიტომ 19 წლის შესრულებამდე მიშელი იშვიათად ჩნდებოდა ძირითად შემადგენლობაში (ითამაშა სულ რამდენიმე მატჩი და გაიტანა 6 გოლი). მაგრამ 1974-75 წლების სეზონში ის გულშემატკივრების წინაშე წარდგა, როგორც ზრდასრული და გამოცდილი მოთამაშე. გასაკვირი არ არის, რომ იმ სეზონში პლატინიმ 17 ბურთი გაიტანა მეტოქეების კარში. იმ წელს „ნანსი“ გავარდა საფრანგეთის ელიტური დივიზიონიდან, მაგრამ ლოტარინგიული კლუბი, რომელსაც თავის რიგებში ჰყავდა ახალგამომცხვარი ლიდერი, 1975-76 წლების სეზონში კვლავ დაბრუნდა უმაღლეს დივიზიონში. მიშელ პლატინი კი სულ უფრო იპყრობდა საფეხბურთო ექსპერტების ყურადღებას. ნაკრებში გამოძახებამაც არ დააყოვნა — 1976 წლის 22 მარტს პლატინის დებიუტი ჰქონდა საფრანგეთის ეროვნულ გუნდში ამხანაგურ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. და თავი გამოიჩინა ფენომენური დარტყმით. მიშელმა საფრანგეთის ნაკრებში შესანიშნავი სტარტი აიღო. სანაკრებო წარმატების შემდეგ პლატინიმ „ნანსისაც“ მოაპოვებინა გამარჯვებები. ლოტარინგიულმა კლუბმა საფრანგეთის თასი მოიგო 1978 წელს. ეს იყო პლატინის პირველი ნადავლი უმაღლეს დონეზე. წარმატებების ტალღაზე პლატინი საფრანგეთის ნაკრებთან ერთად არგენტინაში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე გაემგზავრა, მაგრამ ე.წ. სიკვდილის ჯგუფში მოხვდა და გათამაშების შემდეგ ეტაპზე ვერ გააღწია.







1979 წელს მიშელი გადავიდა იმხანად საფრანგეთის ყველაზე ძლიერ კლუბ „სენტ-ეტიენში“. 1981 წელს პლატინიმ ახალ გუნდთან ერთად მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი. ამ ტრიუმფის შემდეგ 26 წლის უნიჭიერეს ფეხბურთელზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს მსოფლიოს გრანდებმა — „რეალმა“, „არსენალმა“ და „იუვენტუსმა“. პლატინიმ არჩევანი „იუვენტუსზე“ შეაჩერა და იქ 1982 წელს, ესპანეთის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წინ, გადავიდა.

**მიშელ პლატინის თავდაპირველად გაუჭირდა ტურინულ კლუბთან ადაპტაცია, მაგრამ ძალიან დაეხმარა ის, რომ იტალიური ფესვები ჰქონდა, თუმცა ზოგიერთი გულშემატკივარი მის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი, ამასთანავე, პრობლემები შეექმნა ადგილობრივ მედიასთან, მაგრამ ყველაფერს ითმენდა და თავგამოდებით ვარჯიშობდა. შედეგმაც არ დააყოვნა. მიშელი ნელ-ნელა შეეჩვია ადგილობრივ ატმოსფეროს, წეს-ჩვეულებებს. გულშემატკივრების აღიარება კი მოიპოვა „იუვენტუსის“ დაუძინებელ მტერთან, ტურინის „ტორინოსთან“, ცნობილი მატჩის შემდეგ.**

ამ მატჩში პლატინიმ გაიბრწყინა თავისი მაღალი ოსტატობით და გამარჯვების გოლიც გაიტანა. იმავე წელს მიშელმა ფეხბურთისადმი მიძღვნილი რამდენიმე სატელევიზიო გადაცემა წაიყვანა და იტალიელი გულშემატკივრების კეთილგანწყობა და უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა.

პლატინისთვის წარმატებული აღმოჩნდა 1984 წელი. „იუვენტუსმა“ უამრავი ტიტული და პრიზი მოიპოვა: იტალიის ჩემპიონობა, თასის მფლობელთა თასი, ევროპის სუპერთასი, თვითონ მიშელი კი ევროპის ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა საფრანგეთის ნაკრებთან ერთად, თანაც 5 მატჩში 9 გოლი გაიტანა. ეს უნიკალური მიღწევაა, ბუნებრივია, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მიშელ პლატინიმ დაიმსახურა. ერთადერთი მწვერვალი, რომელიც ვერ დაიპყრო დიდმა „მოკლემ“, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1982 და 1986 წლებში ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც მძლავრმა გერმანულმა მანქანამ გააჩერა.

1987 წელს, ყველასთვის მოულოდნელად, 32 წლის პლატინიმ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. გამოსათხოვარ მატჩში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ვარსკვლავმა პელეს მეთაურობით. პლატინიმ მსოფლიო ჩემპიონობა ვერ მოიპოვა, მაგრამ ჩემპიონივით გააცილეს.

მიშელი ფეხბურთს 1991 წელს დაუბრუნდა, როცა საფრანგეთის მწვრთნელის პოსტი დაიკავა. იმ წელს ნაჩვენები შედეგის (8 თამაში — 8 მოგება) მიხედვით საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, მაგრამ შვედეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ფრანგებმა ნახევარფინალსაც ვერ მიაღწიეს. ეს ჩაფლავება იყო და პლატინიმ უარი თქვა მწვრთნელობაზე. მისი აზრით, საკმაოდ რბილი ხასიათი ჰქონდა და ეს მწვრთნელობაში ხელს უშლიდა. მიშელს ფეხბურთთან კავშირი არ გაუწყვეტია, ის იყო ორგანიზატორი 1998 წელს საფრანგეთში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატისა, რომელიც საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ტრიუმფით დასრულდა. 2002 წელს პლატინის ოფიციალურად ეკავა მაღალი პოსტები ფიფასა და უეფაში. 2007 წელს კი მიშელმა უეფას პრეზიდენტის პოსტზე შვედი **ლენარტ იუჰანსონი** შეცვალა.

2015 წლის 15 დეკემბერს ფიფას ეთიკის კომიტეტმა პლატინი კორუფციაში დაადანაშაულა, და, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება არ დადასტურებულა, პლატინის უეფას პრეზიდენტის პოსტი დაატოვებინეს.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**





## მიღწევები

საკლუბო და სანაკრებო:

* ევროპის ჩემპიონი — 1984 წ.
* მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1986 წ.
* საფრანგეთის ჩემპიონი — 1981 წ.
* საფრანგეთის თასის მფლობელი — 1978 წ.
* იტალიის ჩემპიონი — 1984, 1986 წწ.
* თასის მფლობელთა თასის მფლობელი — 1983 წ.
* ევროპის სუპერთასი — 1985 წ.
* საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — 1985 წ.

პირადი:

* ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი — 1983, 1984, 1985 წწ.
* საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელი — 1976, 1977 წწ.
* შედის ფიფას მიერ შედგენილ 100 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.

# გეშინოდეს, მაკრონ, ევროკავშირში სახალხო ამბოხება დაიწყო!




**იტალიელმა ფილოსოფოსმა დიეგო ფუზარომ გამოცემა Affari Italiani-ში დაწერა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და სხვა „საერთაშორისო მებაზრეები“ სერიოზულად უნდა უფრთხოდნენ მოძრაობა „ყვითელ ჟილეტებს“.**

ფუზაროს მიაჩნია, რომ „ყვითელი ჟილეტების“ პროტესტი მხოლოდ დასაწყისია ევროკავშირის ხალხების ამბოხებისა.

**„საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი სინჯარაში შექმნეს „ტურბოფინანსურმა ელიტებმა“ და არის მარიონეტი, მაგრამ ევროპის მშრომელთა კლასი აღარ აპირებს, შეურიგდეს მმართველი კლასის საზიზღრობებს“,** — აღნიშნა ფილოსოფოსმა.

# «ყვითელი ჟილეტების» მასობრივი საპროტესტო აქციები ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო



**17 ნოემბერს საფრანგეთში დაწყებული „ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო აქციები, რომლებმაც მასობრივი სახე შეიძინა და არ წყდება, უკვე ევროპის სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს.**

**მსგავსი აქციები გაიმართა ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში და ახლა უკვე შვედეთშიც.**

თვით საფრანგეთში კი ძალადობრივი აქციების ახალ ტალღას ელოდებიან და დიდი შანსია, რომ ევროპაში მზარდი ნაციონალისტური განწყობების პირობებში ამ საპროტესტო მოძრაობამ სრულიად ევროპაში გააღვივოს პოლიტიკური კრიზისი.

# აშშ-ის ხელისუფლება ვენესუელაში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს

**ვენესუელის პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს განცხადებით, აშშ-ის ხელისუფლება ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს.**

„დღეს თეთრი სახლი კოორდინირებას უწევს მცდელობას, გაანადგუროს დემოკრატიული ცხოვრება ვენესუელაში და დაამხოს დემოკრატიული, თავისუფალი და კონსტიტუციური რეჟიმი“, — განაცხადა ვენესუელის პრეზიდენტმა. ნიკოლას მადურო აპირებს პრესკონფერენციის გამართვას, სადაც აღნიშნული შეთქმულების შესახებ დეტალებს გაასაჯაროებს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში გამოცემა The New York Times-მა ინფორმაცია გაავრცელა, რომ **დონალდ ტრამპის** ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა საიდუმლო შეხვედრა გამართეს ვენესუელელ აჯანყებულებთან, სადაც მადუროს დამხობის შესაძლებლობას განიხილავდნენ.

ვენესუელა ბოლო წლებში ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. დაწყებულია ჰიპერინფლაცია და ეროვნული ვალუტის დევალვაცია. მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით ინფლაციამ 287 ათასი პროცენტი შეადგინა.



# გაეროს სამთავრობოთაშორისო კონფერენციამ მიგრაციის შესახებ გლობალური პაქტი მიიღო

## მიუხედავად იმისა, რომ ამ პაქტზე უარი განაცხადა ევროკავშირის თითქმის ყველა წამყვანმა სახელმწიფომ

**19 დეკემბერს მაროკოს ქალაქ მარაკეშში გაეროს სამთავრობოთაშორისო კონფერენციამ მიგრაციის შესახებ გლობალური პაქტი მიიღო.**

აღნიშნულ პაქტს იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვს და ამ სფეროში მხოლოდ გლობალური თანამშრომლობისთვის შესაძლებლობებს იძლევა. მისი მიღების ინიციატორია ევროკავშირის სტრუქტურები.

აღსანიშნავია, რომ ბელგიამ, ბულგარეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, ავსტრიამ, ისრაელმა, იტალიამ და შვეიცარიამ გადაწყვიტეს, მონაწილეობა არ მიეღოთ მიგრაციის შესახებ გლობალური პაქტის კონფერენციაში, ხოლო აშშ აღნიშნული პაქტის განხილვებიდან 2017 წელს გამოვიდა.

**გასაოცარია, თუ ამ ე.წ. მიგრაციის გლობალურ პაქტზე უარს ამბობენ ევროკავშირის ისეთი ქვეყნები, როგორებიც არის იტალია, შვეიცარია, ბელგია ჩეხეთი და ა.შ., მაშ, ვისთვის შეიმუშავეს ეს დოკუმენტი — საფრანგეთისა და გერმანიისთვის თუ ისეთ ქვეყნებზე ზემოქმედებისთვის, როგორიც არის საქართველო?**

შეგახსენებთ, რომ, გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში დღეის მდგომარეობით 68 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



# იარაღის გაყიდვებით აშშ პირველ ადგილზეა

**ორგანიზაცია SIPRI-ს მონაცემებით, რომელიც იარაღის კონტროლზეა სპეციალიზებული, პირველ ადგილს იარაღის გაყიდვით აშშ იკავებს. ანგარიშში 42 ამერიკული კომპანია მოხვდა, რომლებმაც 2017 წელს 226,6 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი გაყიდეს.**

მეორე ადგილზე კი ბრიტანეთი რუსეთმა ჩაანაცვლა. სიაში ათი რუსული კომპანია მოხვდა, რომლებმაც 2017 წელს 37,7 მილიარდი დოლარის იარაღი გაყიდეს.

# vali.ge-ზე უკვე 407 ათასზე მეტი მსესხებლის შესახებ აიტვირთა ინფორმაცია

**ვებგვერდზე Vali.ge-ზე 407 ათასზე მეტი მსესხებლისა და 679 ათასზე მეტი სასესხო ჩანაწერის შესახებაა ინფორმაცია ატვირთული. ამ სასესხო დავალიანების მთლიანი მოცულობა შეადგენს 3 მილიარდ ლარზე მეტს.** ვებგვერდზე საკუთარი მონაცემების შესამოწმებლად საჭიროა სამი მარტივი ეტაპის გავლა: მსესხებლის პირადი ნომრის და დაბადების თარიღის (დღე, თვე, წელი) შეყვანა; უსაფრთხოების მიზნით სპეციალური გრაფის „მე არ ვარ რობოტი“-ს მონიშვნა. ამ ეტაპების გავლის შემდეგ, თუ მსესხებელი იპოვის თავის მონაცემებს, ეს ნიშნავს, რომ მას 15 დეკემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში გაუნულდება ვებგვერდზე გამოტანილი დავალიანება. ამ ეტაპისთვის ვებგვერდზე ატვირთულია შემდეგი საფინანსო ორგანიზაციებიდან შეძენილი სესხები და კრედიტები: „საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „ლიბერთი ბანკი“, „სილქ როუდ ბანკი“, „ხალიკ ბანკი საქართველო“, „იშბანკი საქართველო“, პარალელურ რეჟიმში მუშავდება სხვა საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია და უახლოეს პერიოდში ერთიან მონაცემთა ბაზას დაემატება მათი მონაცემებიც.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894